



ისტორიული მემკვიდრეობა

**4 «ყოველი
ერი თავისი
ისტორიით
სულდგუ-
ლობს»**

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2017 წ. მარტი, №3(77), ფასი 3 ლარი

დადის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა,
შვილი რომ უკვდებოდეს, ორი დღის სიხოცხლე კიდევ მიემატება
შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნოდ ჯოჯოხეთს მიეხიო,
დაღა მაგას იქმს; შვილმა კი დადისათვის ეგა ქმნას, დაღა იწყენს.

ილია ჭავჭავაძე





სარჩევი

ილიას გაგვითმულები

■ „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს“	4
„მათ სსოვნას ჭმეყანა სანთლებად აინთებს“	
■ „საში გვირის დედა“	7
მარადიული საფიქრალი	
■ გერონტი ქიქოძე: მსოვრება და ზნეობრივი იდეალი	93
რელიგია	
■ დიდგვარსა	14
■ ნეიდა ვესტათი ანტიოქიელი	15
■ ნეიდა ტიფოთა სიგოლელი	16
ისტორიული გვარები	
■ ალექსი-მესხიშვილები	17
დედაუნებერსიტეტი	
■ ქართული მესხიერების საზილიშვილო საქე	24
დედაისტორია	
■ ივანე ჯავახიშვილი: ბრძოლა საქართველოს განმეახლებელსა და დამაქვეითებელს ქალს შორის	28
მოგზაურის ჩანაწერები	
■ თედო სანოქია: სამეგრეოსელო	34
რჩეგები	
■ როდის და როგორ გავსსლათ ვაზი?	40
■ რა სამეშაოები უნდა ჩავატაროთ გავაფსულზე ბაღებში	41
■ საადრეო ჩითილი: იაფიზ, სარისსიანიზ	43
ეს საინტერესოა	
■ ქავქასიური ნაგავი — პატრონის ერთგული ქოგავი	44
დედაქალაქის ისტორია	
■ ფიროსმანის დასაბული თბილისი	45

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიამე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უბკ) 050 (479.22)

0-892

«ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს»

რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ქართველებისთვის ილია ჭავჭავაძის ფენომენი. განსაკუთრებით ეს ეხება მის პუბლიცისტიკას, რომელთან პირველი შეხებისთანავე მკითხველს ატყვევებს ავტორის მრავალმხრივი და ღრმა ერუდიცია, ფართო თვალსაზრისი და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარი. არ დარჩენილა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც ილიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას, იქნება ეს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, თეატრი, ეკონომიკა თუ სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე და ფინანსები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა. შ. წერილი „ოსმალის საქართველო“ ითვლება ერთ-ერთ ფუნდამენტურ ტექსტად, რომელშიც ავტორი მკაფიოდ აყალიბებს კონცეფციას ეროვნული ერთიანობის შესახებ. წერილის ტექსტი გამოქვეყნდა ანონიმურად „ივერიის“ 1877 წლის IX ნომერში. მისი დაწერა უკავშირდება რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომს და ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩენილი ქართული ტერიტორიების დაბრუნების იმედს, რომელიც ამ ომმა ქართველთა შორის წარმოშვა. ნაშრომში პირველად არის აღნიშნული ერთი ერის ორად გახლეჩილი ნაწილის სისხლისა და ენის ერთობის შესახებ, ტექსტში ყურადღება ეთმობა ისტორიულ ხსოვნას, როგორც ეროვნული ერთიანობის საყრდენსა და მომავალი მთლიანობის შესაძლო საძირკველს.

ოსმალის საქართველო

ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბეგრას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა

სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვანლის დამდეგი, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მეგრძოლი, ერთა და იმავე ქირსა და ლხინში გამოტარებული

— ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალეა, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენიებულს ნაწილებს ოსმალის საქართველოსას დიდი პატივისცემა და ხელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისთვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაა გვექონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთა ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალის ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისთვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იოგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამათვროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე — ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალის ზემოქმედების ქვეშ, ზემო-ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალის საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს,

თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალეა, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპ-თავყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა შესანიშნავი ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ეხლანდელი ოსმალის საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძლეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება, ქართველი კათალიკოზი იყოლიონ. „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვნდეს უაღრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელ-



მთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამგვარად, მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისა და ამგვარად დიდი ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა. თუმცა ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა

გვარი გაძიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდშენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰყვებოდნენ სწავლასა და საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტიფლისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიონების გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისთვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებელთ მართავდნენ.

უნარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიკეთადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელმგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპმსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადრეკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპ-თავყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისათვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე.

კაცი მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ეხლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას, დიდი სისხლი და ანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე.ი. ჟამს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთობა დაირღვა, ეხლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახლ-ციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი ნოდებულის იყო სამცხე საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავ-განირულობით, თავ-დადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეანირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორ-თულიანი ფაშობა ოსმალეთისგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოსნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოდღვროდ, უეკლესიოდ და სასონარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

ოსმალებმა ვერ დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეანირვინეს.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თერთმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე.

ეგრეთ, – მთავრობამ, მუხთლობამ, ლალატმა, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ უქმად ჩაუარა ამოდენად ტან-

ჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლ-დათხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვადა-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვეზიყოს ოდესამ სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ ნაგვაყვადრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — ამ ჩვენში ჰყოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და — სინიღისის თავისუფლებასა. არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიღისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამ-პაპათა.

„ივერია“. 1877. №9. გვ.1-3.

ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვეზიყოს ოდესამ სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ ნაგვაყვადრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — ამ ჩვენში ჰყოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და — სინიღისის თავისუფლებასა

სამი პარტი დედის დედა

«სამი გმირის დედა»

ისტორიას არც ცხრა ძმა ხერხეულიძის დედის სახელი შემოუნახავს, არც უსახელო უფლისციხელის... მათ ერთი სახელი დაერქვათ — ქართველის დედა. გმირების გამზრდელი დედა კი გმირზე უფრო გმირია. ამას ადასტურებს ჩვენი ერის ტრაგიკული წარსული, როცა ომი ყველა ოჯახიდან დღენიადაგ ზვარაკად ითხოვდა რჩეულ ვაჟკაცებს. შემდეგ კი ასობით ოჯახში სიცოცხლემონყურებულ ვაჟკაცთა ადგილს გადიდებული ფოტოები იკავებდა...

ზოგიერთს ფოტოსურათიც არ დარჩენია.

ახლახან, პრესის არქივის თვალთვლებისას შემთხვევით თვალში მომხვდა სათაური «სამი გმირის დედა» და ფოტო, რომელზეც შოსანის ქალი თავისი სამი ვაჟის გადიდებულ ფოტოებს დასცქეროდა. მისი სახელი — ნინო მოისწრაფიშვილი, მკითხველს არაფერს ეუბნება... სწორედ ამიტომ გადაწყვიტე, მასზე მომეთხრო და ამით ერთგვარი მოწინება გამომეხატა საქართველოში უკვე გარდაცვლილი თუ ჯერაც ცოცხალი უამრავი ნინო მოისწრაფიშვილისთვის, რომელთა აღზრდილმა შვილებმა სამშობლოსათვის თავი განირეს.



„კიდევაც დაიზრდებიან“ — მერაბ ბერძენიშვილი

„სოფელ ჩოჩხათში, ოდილაურში, ცხოვრობს ხანდაზმული, შოსანი ქალი ნინო მოისწრაფიშვილი, რომელიც ყოველდღე სიყვარულით დასცქერის სამი ვაჟკაცის გადიდებულ სამ სურათს. უყურებს ამ სურათებს და თვალწინ ცოცხლდება ნაწვავ-ნადაგი შვილების ბავშვობა, ახალგაზრდობა და... მათ მიერ ომის მრისხანე დღეებში გამოგზავნილი ბათებია...“

შოთა, მიხეილ, ქეთო, ივანე, ილია, ნადია — აი, ნინო და ევგენი მოისწრაფიშვილების ძე-ასულნი. ომის დაწყების წინ ყველა მათგანი სწავლობდა, შრომობდა, ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით.

შოთა, ადრე ნინოშვილის რვანლიანი სკოლის დირექტორად ნამუშევარი, იმჟამად ჩოჩხათის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო. ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის კურსდამთავრებული, დაუსწრებლად იღებდა უმაღლეს განათლებას ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შოთა მოისწრაფიშვილი სამამულო ომში 1941 წლის აგვისტოში გაიწვიეს. იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე...

მიხეილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის მეოთხე კურსიდან გაიწვიეს დიდ სამამულო ომში. იბრძოდა კარელია-ფინეთის, მეორე ბელორუსიის ფრონტებზე...

ივანემ ჩოჩხათის საშუალო სკოლა დაამთავრა და მაშინვე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მისი საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი... და ამ ომში ივანე მოისწრაფიშვილიც მონაწილეობდა.

ილია სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ჩოჩხათის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე მოხალისედ წავიდა დიდ სამა-

მულო ომში. 1944 წლამდე იგი თავდადებით იბრძოდა ქერჩში, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე, ოთხჯერ დაიჭრა, მაგრამ ხელიდან იარაღი არ გაუშვია...

შინ დარჩენილი მშობლები და დები — ქეთო და ნადია დღენი-დაღ მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, ოჯახს აპურებდნენ, ქვეყანას ზურგს უმაგრებდნენ, საბჭოთა არმიას აწვდიდნენ სურსათ-სანოვარს, ჩასაცმელ-დასახურავს.

სოფლად დარჩენილ ადამიანთა სიხარული სამკუთხა ბარათები იყო. ჯარისკაცებიც, — როგორც კი წუთით სადმე ჩაიმუხლებდნენ, მაშინვე თავიანთ გულისნადებს ბარათებს ანდობდნენ და მშობლიური კუთხისაკენ გზავნიდნენ.

„ძვირფასო დედა და მამა! მოულოდნელად მივიღე თქვენი ბარათი. კარგია, რომ ბარათი მომწერეთ. პასუხს მიღებისთანავე გწერთ. მე კარგად ვარ, ისე, რომ სახლში არ ვიყავი ასე კარგად. ჩემთან ერთი ქართველია ბერულავა (ცნობილი ქართველი პოეტი ხუტა ბერულავა — რედ.), კარგი ბიჭია... აბა, თქვენ იცით, რაფერ კარგად იქნებით. მე გავანადგურებ მტერს და მშვიდობით დაგიბრუნდებით, ნახვამდის, მომწერეთ წერილები. მოკითხვა ყველას. ივანე“.

შოთა ოფიცერი იყო. მისი წერილები ხშირად მოდიოდა სახლში, მაგრამ დღემდე ერთიც კი არ შემორჩათ...

ოთხი ვაჟკაციდან შინ მხოლოდ ერთი — მიხეილი დაბრუნდა.

მიხეილს შესანიშნავი ოჯახი აქვს, ჰყავს შვილები, უფლის საყვარელ დედას და გულში სათუთად ინახავს ძმების ნათელ მოგონებას.

ომში დაკარგული ძმებიდან შოთას ორი ქალიშვილი დარჩა. მათგან ერთმა — ლეილამ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-

РОДИНА-МАТЬ ЗОВЕТ!



ირაკლი თოიძის „დედასამშობლო გვეძახის“

ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა, მუშაობს თბილისის ერთ-ერთ კომბინატში, აქვს საკუთარი ოჯახი, ჰყავს ორი შვილი, მეორე — გუგულიც გათხოვილია, დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული

ინსტიტუტი და სამგორის მეფრინველეობის ჯიშთა გამოცდის სადგურში მუშაობს.

ძმებს — ივანე და ილია მოისწრაფიშვილებს ცოლ-შვილი არ დარჩენიათ, მაგრამ დარჩათ უსაყვარლესი მშობლები, რომელთაგან მამა — ევგენი 1960 წელს გარდაიცვალა, დედა — ნინო კი უკვე ხანდაზმული, შვილებზე დარდით ჯანგატეხილი ქალი, ხშირად გაჰყურებს ჭიშკარს...

გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1980წ., 18 მარტი.

ლევ სვანიძე

დედაპაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში. დედაა გადაწყვეტი შვილების გად-იღვლისა. შვილის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ დედა რა შთაბეჭდილებებით ასაზრდოვან შვილის ნორჩი, მამრამ ღრმად აღმზაქდავი გული და გონება.

ვაჟა-ფშაველა

გერონტი ქიქოძე:

სწოვრება და ზნეობრივი იდეალი

ჩვენ, ყველანი, მომავლის იდეალებით ვცხოვრობთ, თვით მაშინაც კი, როცა ზნეობა ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩნია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში“ ვხედავთ. წარსული ჩვენს წარმოდგენაში ხშირად სევდის მომგვრელ სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულ ქალაქს“, როგორც ერთმა მგოსანმა თქვა. მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე“ და საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა სწორედ ამ ოცნებაშია შეტანილი. ადამიანი ან, მით უმეტეს, მთელი ხალხი უიდეალოდ, რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩნია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისაგან, რომ ის ყოველ თავის მოქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობდეს და პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაცქევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია. ზნეობრივ პიროვნებას და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინ დაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია, მაგრამ, თუ კარგად დავეუკვრებოდით ამ კეთილშობილ ნიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველებისგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...



(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №2)

დიდი ზნეობრივი ტრაგედიაა კაცობრიობის ისტორია საერთოდ, თუმცა ცალკე პიროვნებათა ცხოვრება შეიძლება უფრო ხშირად უშინაარსო და ზნეობრივად უღირს ფარსს ჰგავდეს. მართლაც, რა არი ალმოსავლეთის, საბერძნეთის, რომის, პირველყოფილ ქრისტიანობის ისტორია ან ჯვაროსანთა ომები, ალორძინების ხანა, რეფორმაცია, „ბრძოლა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის“, „ბრძოლა თეთრსა და ალისფერ ვარდს შორის“, „ოცდაათი წლის ომები“, რევოლუციის ეპოქა, ნაპოლეონის ომები, ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, თუ არა უზარმაზარი, შემადრწუნებელი მოქმედებანი მსოფლიო დრამისა, რომელიც შეუწყვეტლივ, საბედისწერო აუცილებლობით, ეხლა გათვალისწინებულით უუმცირეს მიზეზებამდე, ამხობს და ანადგურებს ცხოვ-

რებას, რათა მეტი ცხოვრება შექმნას. სადაა ამ ტრაგედიის დასასრული, თუ არა მის ზნეობრივ გამართლებაში, თუ არა თვით უზენაესი ადამიანობის იდეაში, რომელიც მიღწეული უნდა იქნას, მაგრამ რომელიც სავალალოდ ჭეშმარიტად არასოდეს არ იქნება მიღწეული...

განა მთელი ეს სანახაობა, უაღრესი და უბრწყინვალესი ყოველ სანახაობათა შორის, იმავე მოდგმის ქმნილება არ არი, რომელიც თავის ყოველდღიურ არსებობაში თავისსავე წარსულს და, მაშასადამე, მთლიანობას მოწყვეტილი, ხშირად ასე გაუტანელია, მხდალი, ეგოისტური, სულმდაბალი, უნიჭო. **თვით ქართველი ერი, რომელსაც, თუ ინდივიდუალისტური დახასიათების თვალსაზრისით შევხედავთ, ასე ნათლად ეტყობა დღეს მცონარობა, პასივობა, თავისი თავის უპატივცემ-**

ლობა, რომელსაც ძვალსა და რბილში წამბაძველობა აქვს გამჯდარი და უკულმართი მსახიობობა, მსახიობობა შინაც და გარეთაც, მხიარულებაშიც და მწუხარებაშიც, უმოქმედობაშიც და იდეალებისთვის ბრძოლაშიც, განა ეს, დღეს შინაურების და გარეულების მიერ ყბად აღებული ქართველი ერი, როგორც მთელი, როგორც ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის? რა განსაცვიფრებელი ზნეობრივი ენერგია არ გამოააშკარავა მან საუკუნეთა განმავლობაში თავის დამოუკიდებელ ეროვნულ მეობის შესანახად. განა საფიქრებელია, რომ ეს ენერგია სამუდამოდ გაქრა, რომ ის ეხლა აღარ არსებობს. რასაკვირველია, არა! საჭიროა მხოლოდ „დაკარგული მთლიანობის“ აღდგენა, საჭიროა მხოლოდ პანია, ხშირად სმენისათვის მიუწვდომელი ხმების „მწყობრ მელოდიაში“ შეერთება...

* * *

„ადამიანური“ ცხოვრებაა უდიდესი ეთიკური ღირებულება; ეს უკანასკნელი კი ინდივიდუალობას აუცილებლად ქვემდებარე როლს ანიჭებს საზოგადოებასთან შედარებით. მაგრამ აქედან სრულიადაც ის უკიდურესი ანტი-ინდივიდუალისტური დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომელიც შოპენჰაუერმა გააკეთა, რომ პიროვნებას არავითარი დამოუკიდებელი ზნეობრივი ღირებულება არა აქვს, რომ მას თავისივე თავის წინაშე არავითარი ზნეობრივი ვალდებულება არ უნერია, რომ მარტოდმარტო თანაგრძნობა და თავის უარყოფა უნდა ჩაითვალოს ეთიკურად გასამართლებელ მოტივად. პირიქით, **არსებობს ძლიერ მიმდინარე და სერიოზული ზნეობრივი ვალდებულება თავისივე პიროვნების წინაშე და, ვინც ამ პირდაპირ და მახლობელ ვალდებულებას ივიწყებს, ის ვერც იმ უდიდეს მოთხოვნილებათა სიმაღლეზე ავა, რომელთაც მას საზოგადოება უყენებს წინ.**

ამ მხრივ გიუომ ძლიერ კარგად გამოხატა ჭეშმარიტება. მისი ეთიკის ძირითადი დებულება ამბობს, რომ ინდივიდუალურ ცხოვრების ინტენსივობა პირდაპირ და აუცილებელ დამოკიდებულებაში იმყოფება მის ექსტენსივობასა და სოციალურ გაშლასთან. საჭურისები, გაუთხოვრად დამჭკნარი ქალწულები, ბავშვები, რომელნიც ზედმეტს ენერგიას საჭიროებენ ზრდისათვის, ავადმყოფნი, სულიერად და ხორციელად სუსტი არსებანი და საიქიოსთვის გამ-

ზადებულნი, რომელთაც სააქაო ცხოვრებისთვის ძალა აღარ შესწევთ, უფრო ხშირად ეგოისტები არიან, ვიდრე მათი თანაარსნი: „ყოველთვის, როცა სიცოცხლის წყაროს დენა გაუმეტებლად ხდება, ყოველ არსებაში ძლიერდება მოთხოვნილება, რაც შეიძლება ძუნნად, რაც შეიძლება გამოზოგვით მოეპყროს თავის ძალებს, რომ ცოტა რამ თავისთვისაც დაიტოვოს. ასეთი არსება შიშობს, არ დაღვაროს გარეთ ერთი წვეთიც ცხოველმყოფელ წყაროდან“. პირიქით, **როცა ჩვენი ინდივიდუალური ცხოვრების წყარო სჩქევს და გადმოედვს, როცა ჩვენი ფიზიკური, გონებრივი და ემოციონალური ძალები მეტნი არიან, ვიდრე პირადად ჩვენთვისაა აუცილებლად საჭირო, მაშინ ჩვენში იბადება მოთხოვნილება სხვისთვის მოქმედებისა, ექსტენსიურად გაშლისა, თავგანწირულებისა:** „ჩვენ აღარ გვყოფნის ჩვენი თავი; ჩვენ მეტი ცრემლები გვაქვს, ვიდრე ჩვენ საკუთარ ტანჯვას სჭირია და მეტი მზა სიხარული, ვიდრე მას ჩვენი საკუთარი ბედნიერება მოითხოვს. ჩვენ იძულებულნი ვართ, თავი სხვასაც გავუზიაროთ, იძულებულნი ვართ, აზრთა და გრძნობათა გაზიარებით ჩვენივე არსება გავამრავლოთ“, ამ შინაგან იძულებიდან გიუოს ვალდებულების გრძნობის უარყოფა გამოჰყავს: „დიდი პანი — ბუნების ღმერთი მოკვდა, იესო — ღმერთკაცი მოკვდა; დარჩა ვალდებულება, ეს შინაგანი და იდეალური ღვთაება: შეიძლება ისიც მოკვდეს ერთ დღეს“ (ჟ.მ. გიუო: *მორალი თვინიერი ვალდებულებებისა და დადასტურებისა*, გერმანული თარგ., ლეიპცი., 1909, გვ. 79 და 7).

ბისა და დადასტურებისა, გერმანული თარგ., ლეიპცი., 1909, გვ. 79 და 7).

ეს ჭეშმარიტი შეხედულება სრულიად უმართებლო დასკვნით თავდება. მართალია, თავის პიროვნების ყოველმხრივი გაღრმავება და გაძლიერება უპირველესი და უახლოესი საფეხურია ზნეობრივი განვითარების კიბეზე, მაგრამ ის სრულიადაც არ არის ერთადერთი ან უმაღლესი, როგორც ინდივიდუალიზმს ჰგონია, და მისი მიღწევა ვერავითარ შემთხვევაში ვალდებულების მოსპობას ვერ გამოიწვევს, როგორც ეს გიუოს სწამს. **ზნეობრივი არსების სიღრმეშია ვალდებულების შეგნება ჩამარხული და იმ მწვავე კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით საზრდოვან, რომელიც ადამიანობის მუდმივ განუყრელ ხვრალს შეადგენს.** ერთ ამ წინააღმდეგობაზე, რომელიც თვით უდიდესი ზნეობრივი ღირებულების, ე.ი. ცხოვრების დედაარსში იმალება, ჩვენ უკვე მივუთითეთ. მეორე პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის ღვიძლი შვილია და ზნეობრივ მოქმედების მოტივთა ბრძოლისაგან გამომდინარეობს.

რაც უნდა განვითარებული იყოს პიროვნება, მასში აუცილებლად მდებალი და ნაკლებ ფასიანი ფსიქიკური მოტივებიც მოქმედებს. კიდევ მეტი: **რაც უფრო განვითარებული და მდიდარია სულიერად პიროვნება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ იმის გუნებაში აღმოჩნდება ყოველგვარი ადამიან-**

თვით ქართველი ერი, რომელსაც, თუ ინდივიდუალისტური დახასიათების თვალსაზრისით შევხედავთ, ასე ნათლად ეტყობა ღვთის მსონარობა, პასივობა, თავისი თავის უპატივსქემლობა; რომელსაც კვალსა და რბილში ნაგებაკვლობა აქვს გაგზადარი და უკუღმართი მსახიობობა, მსახიობობა შინას და გარეთას, მხიარულებას და მწუხარებას, უმოქმედობას და იდეალებისთვის გრძნობას; განა ეს, ღვთის შინაუკების და გარეუკების მიერ ყბად აღებული ქართველი ერი, რომლის მთელი, რომლის ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის?

**ნური განცდა, როგორც შე-
საქმელობა ან როგორც რე-
ალობა.** სულიერი განვითარება
სრულიადაც არა ნიშნავს ყველა
მდაბალი და საძრახისი ინსტინქ-
ტის მოსპობას; პირიქით, ის უნი-
ნარეს ყოვლისა, ინსტინქტთა,
გრძნობათა, აზრთა და შეხედუ-
ლებათა გამრავალფეროვნებას მოას-
ნავებს. კულტურული წინსვლა
აძლიერებს როგორც ეგოისტ-
ურს, ისე უფრო მაღალ ინდივი-
დუალურ და სოციალურ გრძნო-
ბებს, როგორც ბოროტების და
დანაშაულობის, ისე კეთილ და
სასიკეთლო მოქმედების ნიჭს
და ზნეობრივი პრობლემა სწო-
რედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ
მრავალმხრივ ერთიმეორეს მო-
წინააღმდეგე ძალთა შორის სათ-
ანადო ურთიერთობა დაამკვიდ-
რეს; საჭიროა ეგოისტური მოტი-
ვები უფრო სპეციალ ინდივიდუა-
ლისტურ მოტივებს დაექვემდებარ-
ოს, ხოლო ეს უკანასკნელი —
სოციალურ გრძნობებს და ადამი-
ანობის იდეას. დიდებულებოვანობა
სწორედ ამ სახიფათო შინაგან
ბრძოლაში და საბოლოო გამარჯ-
ვებაში ამკარავდება. პირიქით,
ძლიერ იაფად ფასობს იმ უსუ-
სურ არსებობა ზნეობრივი მოქ-
მედება, რომელთაც დანაშაულ-
ობის ჩადენა მხოლოდ იმიტომ არ
ძალუძთ, რომ მათი ღარიბი სუ-
ლი ძლიერ ვიწროა, რათა ბორო-
ტების და შეცოდების გულისთქ-
მანი დაიტიოს თავის საზღვრებ-
ში.

შინაგან დიფერენციაციის ზრდა-
შია მტკიცე საძირკველი ზნეობ-
რივი ამაღლებისა, მოტივთა კონ-
ფლიქტში, უზენაეს გულისთქმა-
თა შეგნებულ ან შეუგნებელ დღე-
სასწაულობაში, მარტო დიდი მიზ-
ნის დასახვა, მარტო ცხოვრების
გაფართოებისათვის ზრუნვა ვე-
რასოდეს ვერ მიაღწევს ადამიან-
ის მოქმედებას იმ გამოუთქმელ
ფსიქიურ თვისებას, რომლიდანაც
მისი ზნეობრივი ფასი გამომ-
დინარეობს, უეჭველია, რომ ის
**ადამიანი, რომელიც დიდ სი-
კეთეს მოიშოვებდა, რომე-
ლიც ცხოვრებას თავისი ნი-
ჭითა და შრომით გვირ მატა-**

**რაც უფრო განვითარებული და მდიდარია
სულიერად პიროვნება, მით უფრო
მოსალოდნელია, რომ იმის გუნებაში
აღმოჩნდება ყოველგვარი ადამიანური
განცდა, როგორც შესაქმელობა ან როგორც
რეალობა. სულიერი განვითარება
სრულიადაც არა ნიშნავს ყველა მდაბალი და
საძრახისი ინსტინქტის მოსპობას; პირიქით,
ის, უზენაეს ყოვლისა, ინსტინქტთა,
გრძნობათა, აზრთა და შეხედულებათა
გამრავალფეროვნებას მოასწავებს.**

**რიალურ და სულიერ ღირე-
ბულებას მატებს, მაგრამ ყო-
ველთვის ფარულ ემოიზმით,
პირად სარგებლობით გაუ-
მაძლარი გადნიერების მო-
თხოვნილებით ხელმძღვანე-
ლობს, გვირად დაბლა დგას
ეთიკურად, ვიდრე ის, რომე-
ლიც შეიძლება დიდი მიზნე-
ბისაკენ არ ილტვოდეს და
არც ძალა შესწავდეს ზაცი-
დან პარსკვლავების საკრე-
ფად, მაგრამ სამაგიეროდ
თავის მოქმედებაში ყოველ-
თვის სპეციალ გრძნობისა და
მოსაზრებებისაგან გამომდი-
რდეს.** ზნეობრივი მოქმედების
ღირსება მარტო შინაგან მოტი-
ვებზე არ არის დამოკიდებული,
როგორც ეს უკიდურეს ინტუიტი-
ციონურ მორალს ჰგონია, მაგრამ
ის არც მარტო გარეგნული მიზე-
ზებით და შედეგებით განისაზღ-
ვრება. პიროვნება, რომელიც სი-
კეთეს ყოველთვის ცუდის განზ-
რახვით შვრება, სწორედ იმდენ-
სავე ფასობს ეთიკურად, რამდენ-
საც მისი მოპირდაპირე ცალი,
რომელიც არაფერს აკეთებს, თუ-
მცა ყოველთვის „საუკეთესო
ზრახვით და სათნოებითა“ გამ-
სჭვალული, საჭიროა გარეგნული
მიზნებიც და შინაგანი მოტივე-
ბიც, საჭიროა შეთვისება და ჰარ-
მონია მათ შორის, რომ მოქმედე-
ბა მართლაც ზნეობრივ მოქმედე-
ბად გადაიქცეს.

ცხადია, ამ შეთვისების მისალ-

წევად ზნეობრივად სავალდებუ-
ლოა, რომ ტლანქი და მოუხეშავი
ეგოიზმი დაექვემდებაროს ფაქი-
ზი „მეობის გრძნობას“, ხოლო ეს
უკანასკნელი — „თანაგრძნობას“
თუ ალტრუიზმს, სულ ერთია, რო-
მელ სოციალურ გულისთქმადაც
უნდა გამოიხატოს ის. ამ შემთხ-
ვევაში ჭეშმარიტმა ზნეობამ არ
იცის, თუ რა არის კომპრომისი;
**ადამიანური ცხოვრების თვალ-
საზრისით შეგნებული პიროვნე-
ბა უფრო მაღლა დგას, ვიდრე
უსიცოცხლო საგანი, ეროვნება
კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე
თუნდ უძვირფასესი პიროვნება,
კაცობრიობის სიდიადე კი იმდე-
ნად მნიშვნელოვანია, რომ იმის
წინაშე თავი უნდა მოიხაროს უძ-
ლიერესმა და უკულტურესმა ერ-
მაც; მის წინაშე უნდა დადუმდეს
ყოველი ვიწრო ინდივიდუალის-
ტური და ნაციონალისტური ინ-
ტერესი, რომელიც ადამიანობის
ამაღლებულ იდეალს ეწინააღმ-
დეგება.**

აქ ვხვდებით ჩვენ სინდისის ფე-
ნომენს, როგორც აუცილებელ
ზნეობრივ ძალას. შინაგანი ხმაა
ის, იდუმალი „დემონი“, როგორც
სოკრატმა თქვა: არა „ღვთაების“
(თეოლოგიური ეთიკა), არა ჩვენი
„ზეგრძნობადი არსების“ (ი. კან-
ტი), არა „ფაქტების“ (ტ. ლიპსი),
არამედ ხმა ადამიანობისა, რომე-
ლიც მოგვიწოდებს, საზოგადოე-
ბას მის წინაშე უპირატესობა მი-
ვანიჭოთ, ხოლო პიროვნება უპი-

როგონი ნივთზე მალა დაეყენოთ, და, გვექნის უწყალოდ, როცა ამ სავალდებულო ურთიერთობას ვარღვევთ მოქმედების მოტივითა შორის.

გიუოს მოწყაეს პირინის მთა-მალაროების მუშების ცხოვრებიდან მაგალითი იმისა, თუ რამდენად იმპულსიურად და ელემენტარულად იხატება სოციალური ინსტიტუტი და სინდისის შეგნება ჭეშმარიტად ზნეობრივ მოქმედებაში, რომელიც შორსაა წინასწარ რეფლექციებიდან და სარგებლობის რაციონალური ანონ-დანონისაგან. მისი მსგავსი ამ უკანასკნელ ხანებშია განმეორდა რამდენიმე უბედურ შემთხვევის დროს: „ერთი მუშა ჩაეშვა მღვიმეში რალაცის მოსაწესრიგებლად და უცებ უგრძნობლად მიწაზე დაეცა, მეორე გაეშურა დასახმარებლად, მაგრამ მასაც ის ბედი ეწია. დედაკაცმა, რომელიც უბედურებას დაესწრო, ყვირილი მორთო დამხმარეთა მოსაწოდებლად. მოცივდნენ სხვა მუშები. მესამედ ჩაეშვა კაცი გაცხელებულ მღვიმეში და დაიხრჩო. მეოთხე, მეხუთე ჩახტა შიგ, მაგრამ ისინიც დაიხრჩნენ. მხოლოდ ერთილა დარჩა: ის მივიდა და მოეზადა ჩასავარდნად, მაგრამ იმას ტანისამოსში მაგრა ჩაეჭიდა მის გვერდით მდგომარე ქალი, ნახევრად გიჟი ამ თავზარდამცემი საშინელებისაგან... შემდეგ, როცა უბედურების ადგილზე სამსჯავ-

რო მოვიდა ჩვენების მოსასმენად, ცოცხლად დარჩენილს გამოჰკითხეს მისი დაუფიქრებელი თავგანწირულების შესახებ და ერთმა მოხელემ თავი შეიწუხა იმის სერიოზულად ასახსნელად, თუ რამდენად უაზრო იყო მისი მოქმედება. ამაზე მუშამ განსაცვიფრებელი პასუხი მისცა: „ჩემი ამხანაგები კვდებოდნენ; მე იძულებული ვიყავი, ჩავმხტარიყავი“.

აქ კომენტარები მეტია თვით პედონისტებისა და უტილიტარი-სტებისათვის...

სინდისის და ზნეობრივი ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელიც ეგოისტურ გრძნობას „მეობის გრძნობაზე“ მალა აყენებს, ე.ი. რომელიც გარეგნული კეთილდღეობისა, სიმდიდრისა, კარიერისა და სხვა უპიროვნო, უსიცოცხლო საგნების გულისთვის თავის „მეს“ ღირსებას ივინყებს და მიზნად ხდის იმას, რაც ყოველთვის თავისუფალი პიროვნების საშუალებად უნდა დარჩეს. **სინდისის და ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელსაც წინ ინდივიდუალურ გრძნობათა გამარჯვება უძღვის სოციალურზე და რომელიც პიროვნებას ცენტრად ხდის, ხოლო საზოგადოებას და თანაარსთ პიროვნული ბატონობის ასპარეზად აქცევს.**

ყოველ პიროვნებაში, ხშირად სუსტად და შეუგნებლად, ხშირად

მძაფრად და შეგნებულად ცხოვრობს ლტოლვა, რომელმაც უნდა, გაარღვიოს და გააფართოოს თავისი ინდივიდუალური საზღვრები, უნივერსალურ პრინციპად აქციოს თავისი ინდივიდუალური პრინციპი. ძლიერ შინაგან დრამას შობს განვითარებულ პიროვნებაში ამ ლტოლვის შეტაკება სოციალურ ინსტიტუტთან, ძლიერ ფსიქიკურ და ეთიკურ საფრთხეს წარმოადგენს ის ადამიანისათვის.

მართალია, სოციალური ინსტიტუტი ძლიერდება კულტურულ განვითარებასთან ერთად, სწავლა, კვლევა-ძიება, მეცნიერება, ხელოვნება და საზოგადოდ ყოველგვარი სულიერი შემოქმედება, ერთის მხრით, უეჭველად აახლოვებს ადამიანთ ურთიერთს შორის.

მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაგვავინყოს, რომ ეს დაახლოვება, განსაზოგადოებრივობა ხშირად მხოლოდ გარეგნულია და თავის სიღრმეში შესამჩნევ ინდივიდუალურ განსხვავებებს ატარებს. „კრეიცერის სონატას“ ან „მეცხრე სიმფონიას“ მთელი დარბაზი ერთად უსმენს, მიიღებს პეიზაჟს და როდენის ქანდაკებას ათეულნი და ასეულნი ერთად შესცქერიან, მაგრამ თვითეულს ერთსა და იმავე ობიექტურ მხატვრულ ნაწარმოებში თავისი განსაკუთრებული სუბიექტური სული შეაქვს, თავისი განსაკუთრებული სიხარული თუ ტანჯვა, ბედი თუ უბედობა, სასოება თუ სასონარკვეთილება და ბევრი სხვა გამოუთქმელი, გაუგებარი, განუმეორებელი, ნარნარი ფსიქიური მოძრაობაა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ მუსიკა.

მართლაც, როგორც კულტურული კაცობრიობა წარმოუდგენელია ეროვნულ განსხვავებათა გარეშე, ისე განვითარებული საზოგადოებაც შეუძლებელია იქ, სადაც ძლიერი ინდივიდუალური თავისებურება, განუმეორებლობა და ბრძოლა არ არსებობს. ძლიერი მუსიკალური ნაწარმოები უმადლესი სულიერების გამოსახატავად, ლეიტმოტივთან და კონსონანსთან ერთად, აუცილებ-

სწოვრება სანუგარო ვოლენილი ჰი არ არი, როგორც ინტრიგებით ინუგა და ყველასათვის სასიამოვნო მხიარულებით თავდაბა, არაჰედ ღიადი ღრავა, როგორც თვითთული მოგანტი უქლიარასი თვითმოქმედავის, უფართოანი უესაქლავლობის გამოაუჰარავებას მოითხოვს, საჭიროა, თავი დავანებოთ სანსაულის ლოდინს და ვინაჰოთ, რომ „გვედრათით აღდგომა“ აჰავე სწოვრებაშია უესაქლავალი და ზნეობრივად სავალდებულო...

ლად ქვემდებარე მოტივებს და დისონანსაც საჭიროებს, ხოლო ძლიერი საზოგადოებრიობა — ინდივიდუალურ ნიჭთა განსხვავებას. კონსერვაციას, შეტაკებას, დიფერენციაციას და დისპარამონიას მოკლებული საზოგადოება უთვითმოქმედო და უსუსურია, როგორც ერთფეროვანი, მოსაწყენი სპარსული მუსიკალური მელოდია.

ესაა უბედურება თანამედროვე ადამიანისა, რომ მისივე ცხოვრების კულტურული სიმდიდრე და მრავალმხრივობა მისი ტრაგიკული კონფლიქტების დაუმრეტელ წყაროდ გარდაიქცა. მაგრამ სოციალური დიფერენციაციის ზრდით და მისგან გამომდინარე წინააღმდეგობებით კიდევ არ თავდება კულტურული კაცობრიობის სულიერი დრამა.

რამდენად „ბედნიერია“ ამ მხრივ ჰილოცოისტური პირველყოფილი შეგნება. მისთვის დუალობა სულსა და სხეულს შორის არ არსებობს, იგი უსულო, მკვდარ მატერიას ვერსად ხედავს, ყოველი საგანი სულჩადგმულია, ყოველი სულიერი მატერიალურია, მაგრამ ჰილოცოიზმი გაქრა და მისი ადგილი მატერიალიზმმა, იდეალიზმმა და დუალიზმმა დაიჭირა, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი თანამედროვე პოპულარული და მეცნიერული აზროვნება, დეკარტის დუალისტური ფილოსოფია დგას ახალი დროის შესავალში: **სული მოაზროვნე არსებაა, გრძნობადობისათვის მიუწვდომელი, მატერიალურისაგან სავსებით განსხვავებული, მატერია, პირიქით — მკვდარი, პასიური პრინციპია, მექანიკური ძალების მატარებელი.** მცენარე, ცხოველი მოხერხებულად შეწყობილი ავტონომია, უსულო, უგრძნობო. მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმისათვის, რომელიც ხშირად თავის თავს სამართლიანად დეკარტის მემკვიდრედ აღიარებს, მანქანა არი თვით ადამიანიც, მექანიკური ავტომატი, აუცილებელი ფიზიკური ძალებით

უბადრუკი და შესაბრაღისი ის პიროვნება თუ ეროვნებაა, რომელმაც არა თუ სხვისი, თავისი საკუთარი ისტორიულად განმტკიცებული სულიერი „მე“ დაკარგა, რომელმაც თვით ალარ იშის თავისი ვინაობა და რომელმაც ყოველ მომენტში ანდრეასის ლორანცოსავით მზადაა, თავისივე თავი განგვიროს. ეს უკვე ნამდვილი ტრაგიზმი არაა; ეს ფარსია, რომელიც მხოლოდ ძლიერ სამწუხაროდ თავდება...

ბით განსაზღვრული.

სული სადღა? სული სადღაც გაქრა, „პატარა ტვინის“ ქვეშ ან „ატომთა ერთობაში“, რომლის წარმოდგენა არავის შეუძლია? სული იდუმალ მისტიურ მოჩვენებად გარდაიქცა, რომელიც ყველგანაა, მაგრამ არსად ერთსა და იმავე დროს. თანამედროვე ადამიანი ყველგან ამ ცხოველმყოფელ სულს ეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს. ყველგან „გარეგნული გამოხატულება“ სულისა, ყველგან „შავი ნილაბი“, რომლის უკანაც, ვინ იცის, რა იმალება, რასაც შენ შენს თანაარსში ხედავ, ის მხოლოდ სხეულია, მატერიალური გარეგნობა, ხორციელი გამომეტყველება. სხვისი არსება, სხვისი „მე“ კი შენთვის მუდმივი საიდუმლოებაა, მუდმივ აუხსნელი ამოცანა, „დაფლული ტაძარი“, რომლის შინაგანი აკლდამები წყვდიადით არი მოცული. ვინ არი თავმდეები, რომ მისი სიცილის უკან მართლაც მხიარულება, ხოლო ტირილსა და ცრემლებში მწუხარება იმალება. განა კლოუნის ნილაბი ხშირად უსაშინლეს სულიერ დრამას არ ჰფარავს? განა მისი დემონისტური წარმტაცი წამოსასხამის ქვეშ ხშირად უნიჭო და უშინაარსო მსახიობობა არ იმალება?!

მაგრამ კიდევ **უბადრუკი და შესაბრაღისი ის პიროვნება თუ ეროვნებაა, რომელმაც არა თუ სხვისი, თავისი საკუთარი ისტორიულად განმტკიცებული სულიერი „მე“ დაკარგა, რომელმაც თვით ალარ იშის თავისი ვინაობა და**

რომელიც ყოველ მომენტში ანდრეასის ლორანცოსავით მზადაა, თავისივე თავი განგვიროს. ეს უკვე ნამდვილი ტრაგიზმი არაა; ეს ფარსია, რომელიც მხოლოდ ძლიერ სამწუხაროდ თავდება...

ძველი ღმერთები ქრებიან; ძველი მოძღვრებანი, რომელნიც კაცობრიობას სათუთი ნებეებისა და უმოქმედო ნეტარებისკენ მოუწოდებდნენ, კარგავენ თავიანთ ბრწყინვალეებას და მიმზიდველობას. მათ ადგილს იჭერს იდეა აქტიური, ტრაგიკული ადამიანებისა, საჭიროა, ავმალდეთ ამ სერიოზული გარემოების შეგნებამდე. საჭიროა, დავინახოთ, რომ **ცხოვრება სახუმარო ვოდევილი კი არ არი, რომელიც ინტრიგებით იწყება და ყველასათვის სასიამოვნო მხიარულებით თავდება, არამედ დიადი დრამა, რომლის თვითმუხი მომენტი უმღიარესი თვითმოქმედების, უფართოესი შესაძლებლობის გამოაშკარავებას მოითხოვს, საჭიროა თავი დავანებოთ სასწაულის ლოდინს და ვინამოთ, რომ „მკვდართით აღდგომა“ ამავე ცხოვრებაშია შესაძლებელი და ზნეობრივად სავალდებულო...**

დიდმა ტრაგიკულმა შემოქმედებმა ბევრჯერ გვაგრძნობინეს ესთეტიკურ სფეროში ცხოვრების ეს განუზომელი სიმდიდრე, მიუწვდომელი კოსმოსური სიდიადე, და „მშვენიერი საშინელება“...

გაზეთი „დროება“,
1910 წ.

დიდმარხვა

დიდმარხვა ეკლესიის მიერ დადგენილი წლიური ოთხი სამარხვო პერიოდიდან ერთ-ერთი და ყველაზე ხანგრძლივი მარხვაა. მართლმადიდებელი მრევლი 40 დღის განმავლობაში ლოცვითა და მარხვით ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისთვის ემზადება. მარხვის პირველ დღეებში ტაძარში წირვა არ აღევლინება. სრულდება მხოლოდ საეკლესიო წესის მიერ დადგენილი სპეციალური საგალობლები და ლოცვები. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს იკითხება წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი. ოთხშაბათსა და პარასკევს ტაძრებში ტარდება პირველშენიშნულის ლიტურგია. პარასკევს საღამოს ლოცვის დროს იკურთხება წანდილი.

დიდმარხვის განმავლობაში მორწმუნეები არ იღებენ ხორცსა და რძის ნაწარმს. თევზით ხსნილი კი მხოლოდ ხარებისა და ბზობის დღესასწაულებზეა. მარხვის პირველ და ბოლო კვირას მორწმუნეები სურვილის, შესაძლებლობისა და მოძღვრის კურთხევის მიხედვით ინახავენ მძიმე მარხვას.

დიდი მარხვა იესო ქრისტეს უდაბნოში ორმოცდღიან მარხვასა და მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო კვირას ეძღვნება.

ამ მარხვას საქართველოს მთასა და ბარში განსაკუთრებულად ინახავდნენ. სხვა მარხვა რომ არ დაეცვათ, ამას მაინც შეინახავდნენ. მთაში დიდმარხვაში პატარა ბავშვებს რძესაც კი არ ასმევდნენ.

სვანეთში ნაკურთხ წყალზე 7 ცალ ბლითს ზელდნენ, აცვამდნენ ძაფზე და ჰკიდებდნენ. ამ ბლითებს **კირკადოლს** უწოდებდნენ. დიდმარხვაში, ყოველ კვირა დილით ოჯახის უფროსი ხსნიდა თითო ბლითს, სამჯერ აგებდა კერის ბრტყელ ქვაზე და თან ამბობდა: „ასე დაეცეს დიდი მარხვა“. შემდეგ ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით ანაწევრებდა ბლითს და ყველას აძლევდა. კირკადოლი მარცხენა ხელში ეჭირათ, გადმოიტარებდნენ თავზე და მარჯვენა მხრიდან ქამდნენ. მეშვიდე ბლითს მიაბამდნენ იმ გოდორს, რომლითაც თესლი მიჰქონდათ მინდორში დასათესად. თესვის დროს კირკადოლს აქუც-

მაცებდნენ და ურევდნენ მარცვალში თესლის განწმენდისა და გასუფთავების მიზნით.

ქართლში მიაჩნდათ, რომ ვინც ამ მარხვას გატეხდა, ის ოჯახი უბარაქო იქნებოდა. მარხვის წინ მთელ საქართველოში ჭურჭელს ყველა გულდასმით რეცხავდა, ცხიმი რომ არ შეყოლოდა. აკეთებდნენ ნაცრის პარკს (კახეთში, ზოგან ქართლში ნაცრის პარკის მაგივრობას ხახვი წევდა). ურჭობდნენ 7 ბუმბულს და კიდებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში მას მარხვას ეძახდნენ, სამცხე-ჯავახეთში — ბობოლას. თითო კვირა რომ გავიდოდა, თითო ბუმბულს გამოაცილიდნენ. თუ ბავშვი სახსნილო საჭმელს მოინდომებდა, მარხვას შეარხევდნენ და მას ასე აშინებდნენ.

მორწმუნენი ცდილობენ, დიდმარხვის პერიოდი მარხვაში, ლოცვაში და გულწრფელ სინანულში გაატარონ.

საქართველოში მარხვას იცავდნენ როგორც უბრალო ხალხი, ასევე მეფენი. ცნობილია, რომ მეფე ბაკურ დიდი და მისი მეუღლე დუხტი, მიუხედავად მეფური წარმომავლობისა, მონაზვნურ-ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ისინი ღვთისმოშიშობის ისეთ სიმალლეზე ავიდნენ, რომ ერთმანეთში დადებული შეთანხმების საფუძველზე ხორციელი კავშირი შეწყვიტეს და დაკმაყოფილდნენ იმ შვილებით, რომელნიც უკვე ჰყავდათ. **მეფე ბაკური, გარდა იმისა, რომ ლოცულობდა და**



დიმიტრი თავდადებული

მარხვას მკაცრად ინახავდა, კვირაში სამჯერ გვიდა ქალაქის ეკლესიას და გლახაკთა თავშესაფარში თავად მიჰქონდა საჭმელი კალათები.

ბაკურის მეუღლემ, დედოფალმა დუხტიმ ტანთი ქაჩა ჩაიცვა. კვირფასი სამკაულები გაყიდა და აღებული თანხა ღარიბებს დაურიბა. მხურვალედ მლოცველ დუხტის უფლისაგან კურნების ნიჭი მოემაღლა.

წმიდა მეფე დემეტრე თავდადებულზე ჟამთააღმწერელი გვამცნობს: ახალგაზრდა მეფეს „ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა და მუხლთყრა ფრიადი, რამეთუ ათას ხუთასი მუხლი მოადგის მდაბლად მიწასა ზედა, ესრეთ ყოვლითურთ განშვენებული და განათლებული იყო“. სამწუხაროდ, შემდგომ მეფე „სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავლა საქმენი მათი უძღვებებისა და სიძვისა“. და მოიყვანა სამი ცოლი. ნიკოლოზ კათოლიკოსი დღენიადაგ „ამხილებდა მრავლად და ვერ არწმუნა“

და „ამისათვის დაუტევია კათოლიკოსობა“. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადებით „მოიწია წინაშე დიმიტრი მეფისა“ წინასწარცნობის მადლით გაბრწყინებული მონაზონი ბასილი, რომელმაც ჰკადრა მეფეს: „უკეთუ დაუტევნე უწესონი ქორწინებანი, მე თავმსდებ გექმნე, რათა კეთილად წარგემართოს მეფობანი შენი“. ხოლო როცა ვერაფრით შეასმინა მეფეს, საბოლოოდ უთხრა მას: „უკეთუ არ განეყენო უწესოთა ქორწინლშეყოფათა და შეურაცხვენი სიტყვანი ჩემნი, ბოროტად და უპატიოდ მოიკლა მძლავრთა მიერ“. მხოლოდ მოწამეობრივი აღსასრულით შეძლო მეფემ თავისი შეცდომების გამოსყიდვა და დაიმკვიდრა ცათა სასუფეველი. ხოლო ამ თავგანწირული ნაბიჯის გადადგმაში მას უთუოდ ეხმარებოდა მარხვისას ათას ხუთასი მეტანიით მოპოვებული მადლი.

მეფე გიორგი XII დიდი მმარხველი და მლოცველი იყო. ის განსაკუთრებით განიცდიდა იმ ამბავს, რომ „განმანათლებლური“ იდეების ზეგავლენის ქვეშ მყოფი მისი ძე, ტახტის მემკვიდრე დავითი, საჭიროდ სულაც არ მიიჩნევდა მარხვის დაცვას. შემოფოთებულმა და შეწუხებულმა მეფემ შეუთვალა რუსეთში მყოფ ვაჟიშვილს: „თუ ჩემი სიამოვნება გინდა, მარხვის ჭამაზედ ხელი აიღე და ეკლესიაში ხშირად იარეო“. დავითმა კი დაუბარა: „რაც მე მწამს, ის შენ გაგინყრესო და, შენ რაცა გწამს, მე გამინყრესო“.

მაშინ ბრძანა მეფე გიორგიმ ფსალმუნე ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინაო“.

კიდევ არა ერთხელ შეახსენა მეფემ ვაჟიშვილს თავისი ქრისტიანული ვალი: შვილო დავით, თურმე თეატრს წარმოდგენას ეძახი და წირვას — სათამაშოს. ნუ იქცევი ეგრე. მოიქეც და ინამე, თორემ ღმერთი ღვთისმგმობელს ტახტს არ აღირსებსო, მაგრამ ამას გამოდგა მამის შეგონება. სამწუხაროდ, გამართლდა მისი წინასწარმეტყველება — დავითმა სამეფო ტახტი დაკარგა.

5 მაგისტრალური კლასიკური ნაწარმი ნატიოქიის მთავარეპისკოპოსისა და ნატიოქიის სინოდის წინამძღვრის სინოდის დღეს



ნატიოქიის ევსტათი ანტიოქიელი

წმიდა ევსტათი, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსი (323-331) III საუკუნის II ნახევარში დაიბადა. იგი ქალაქ ბერიის ეპისკოპოსი იყო, ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა და მათივე შუამდგომლობით აირჩიეს ანტიოქიის კათედრაზე პირველი მსოფლიო მამების მიერ.

დიდად განათლებული ღვთისმეტყველი წმიდა ევსტათი საერო მეცნიერებებსაც კარგად ფლობდა. როცა აღმოსავლეთში გავრცელდა არიოზის ერესი, რომე-

ლიც არ სცნობდა ძის თანაარსობას მამა ღმერთთან, სიბრძნით გაბრწყინებული მამა გაბედულად აღსდგა მართლმადიდებლობის დასაცავად. 325 წელს მოციქულთასწორმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337) პირველი მსოფლიო კრება მოიწვია. კრების პირველი თავმჯდომარე წმიდა ევსტათი იყო. ნიკეაში შემოკრებილმა მამებმა დაგმეს არიოზის ერესი და მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლო ჩამოაყალიბეს, უსჯუ-

ლო არიოზსა და მის მიმდევრებს ხარისხები აპყარეს და ეკლესიიდან განკვეთეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ზოგმა არიანელმა ეპისკოპოსმა მხოლოდ იმიტომ მოაწერა ხელი ნიკეის სარწმუნოების სიმბოლოს, რომ ხარისხი შეენარჩუნებინა. შემდგომში მათ ბინძურ ინტრიგებს მიმართეს წმიდა ევსტათის წინააღმდეგ. ცხვრის ტყავში გახვეულმა მგლებმა მღვდელმთავარი ანტიოქიის ადგილობრივი კრების მოწვევაზე დაითანხმეს, შემდეგ კი ერთი მეძავე მოისყიდეს და შეაგონეს, კრებაზე ჩვილი ბავშვით გამოცხადებულიყო და ყრმის მამად წმიდა ევსტათი დაესახელებინა. მოციქულთა კანონების მიხედვით, მღვდელმთავრისადმი წაყენებული ბრალდება ორმა მოწამემ უნდა დაადასტუროს. არიანელებმა უგულებელყვეს ეს კანონი და წმიდა მამა გასამართლების გარეშე გადაასახლეს თრაკიაში.

მწყემსმთავრის სიმართლე მალე გაცხადდა: ცილისწამების შემდეგ მძიმედ დაავადებულმა ქალმა მოუწოდა მღვდელმსახურებს და მრავალი ადამიანის თანდასწრებით აღიარა თავისი შეცდომა. ამ დროისთვის წმიდა კონსტანტინე დიდი გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი, ერეტიკოსთა თანამგრძნობი და მფარველი კონსტანცი (337-361) ავიდა. წმიდა ევსტათის არ ეღირსა სამწყსოსთან დაბრუნება. ღირსმა მამამ გადასახლებაში შეჰყვდრა სული უფალს 337 წელს. დევნილობაში მყოფი წმიდანის აღსრულებამდე ერთგულად იცავდა მართლმადიდებლობას. 482 წელს ღირსი ევსტათის უხრწნელი ნაწილები პატივით გადმოასვენეს ანტიოქიაში.



წმიდა ტიმოთე სიმბოლელი

ღირსი ტიმოთე მეუდაბნოე, იტალიელი ბერი, მოღვაწეობდა მცირე აზიაში, ოლიმპოს მთასთან მდებარე „სიმბოლოებად“ წოდებულ მონასტერში, რომლის არქიმანდრიტი ღირსი თეოკტისტე იყო. წმიდანმა გამუდმებული ღვაწლით სულიერ სრულყოფილებას მიაღწია

და უფლისაგან სწულებათა კურნების და არანმიდა სწულების განსხმის ნიჭი მიემაღლა. მან მრავალი წელი დაჰყო განდევნილობაში. იგი ღრმა მოხუცი გარდაიცვალა, 795 წელს.

„წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2001 წ.

ოთარ კასრაძე

ალექსი-მესხიშვილები

XVIII-XIX საუკუნეებისათვის მთელს აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელობით სახელგანთქმული იყო მესხიშვილების საგვარეულო. მათ ქართული კულტურის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავიათ. ისინი იყვნენ იმ დროის შესანიშნავი პოეტები, მთარგმნელები, მხატვრები, კალიგრაფ-გადამწერები, ბიბლიოფილები.

მესხი

მღვდელმსახური

პეტრე

საისტორიო წყაროებში „ლესხ-ან მხატვართა“ და „მნიგნობარ-გადამწერთა“ სახელებით ცნობილი მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია ანჩისხატის ეკლესიასთანაა დაკავშირებული. მას XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე „ზარის საყდარი“ ეწოდებოდა, რადგანაც იგი იყო ერთადერთი სამლოცველო თბილისში, რომელსაც „ვითარცა ტაძარსა პატრიარქისასა“, არაბთა საქართველოში ბატონობის დროს უფლება ჰქონდა ზარის რეკვისა. მას შემდეგ, როცა მომხდურთაგან გაძარცვის მიშით ტაო-კლარჯეთში შემავალ ანჩის საეპისკოპოსო ეკლესიიდან მესხეთში გახიზნული ბექა ოპიზარის მიერ ოქროთი მოჭედილი მაცხოვრის სახიერი ხატი 1675 წელს ვახტანგ მეექვსის ძმამ, კათალიკოსმა დომენტი მესამემ თბილისში, „ზარის საყდარში“ გადაასვენა, იმ დროიდან ქართველთა ამ ერთ-ერთ უძველეს სალოცავს ანჩისხატის ეკლესია ეწოდა.

მესხეთიდან გადმოსვენებული მაცხოვრის ხატს თბილისში გამოჰყოლია თავისივე მომვლელ-მსახური მღვდელი, რომელსაც სახელად პეტრე რქმევია. სწორედ ამ პეტრე მესხით იწყება XVIII-XIX საუკუნეებისათვის მთელს აღმოსავლეთ საქართველოში მნიშვნელობით სახელგანთქმული მესხიშვილების საგვარეულოს ისტორია. რო-

გორც ჩანს, ანჩისხატის მომვლელ-მსახურის, პეტრე-მღვდლის, სადაურობამ დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი პირდაპირი მნიშვნელობა და იგი მისი შთამომავლობის გვარ-სახელი გახდა.

პეტრეს ერთი შვილი ჰყოლია — **იოსები**, რომელსაც 1681—1711 წლებში დეკანოზად უმსახურია ანჩისხატის ეკლესიაში. საისტორიო საბუთები მას თავის დროისთვის განსწავლულ-განათლებულ პიროვნებად წარმოაჩენს. იგი ყოფილა გულმხურვალე ღვთისმსახური, ზედმინევნით მცოდნე ტიპიკონ-ალაპებისა, **იშვიათი მგალობელი საეკლესიო ჰიმნებისა და უბადლო კალიგრაფ-გადამწერი ძველი სასულიერო წიგნებისა.**

ბრიგოლ

მესხიშვილი

ფარფარი,

ბრაფიკოს-

კალიგრაფი და

მესტამბე-

გამომცემელი

XVIII საუკუნეში მესხიშვილების საგვარეულომ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოღვაწე შესძინა ქართულ კულტურას. ერთ-ერთი მათგანია იოსების შვილი **ბრიგოლი**, რომელიც **ალიარებული ფერმწერი, გრაფიკოს-კალიგრაფი და მესტამბე-გამომცემელი ყოფილა.** მამის მსგავსად ისიც ღვთისმსახურებას გაჰყოლია და, როცა სასულიერო პირად აღკვეცილა, საერო სახელი ბრიგოლი გი-

„მესხიშვილთა გვარმა მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას“

კ. კეკელიძე.

ორგით შეუცვლია.

ბრიგოლს, ანუ იგივე ბრიგოლი მესხიშვილს, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოუპოვებია პოპულარობა. ამას მოწმობს ის, რომ იგი ყველგან და ყოველთვის გვარ-სახელის გარეშე, პირდაპირ მხატვრად იხსენიება.

განსაკუთრებით დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდნენ მამა-შვილი — იოსებ და ბრიგოლი მესხიშვილები ქართლის მეფის კარზე. ვახტანგ VI თავის „დასტურლამაში“ აღნიშნავს: „ანჩისხატის დეკანოზი მხატვარი ბრიგოლი და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა გარეთ-უბანს თავის პატარა ბალისათვის წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ, როდესაც გარეთ-უბნის ბაღები მიწნეოდეს; ჩვენი მომხსენებელი და აზნაურიშვილია, ამისათვისაც პატივგვცია წყლის ბოძებით“.

ბრიგოლის სახელი ოფიციალურად პირველად ვახტანგ მეექვსის სტამბაში 1716 წელს დაბეჭდილი „დავითნის“ საგამომცემლო მონაცემებში გვხვდება. 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ თავფურცელში მესტამბედ მიქელთან ერთად მოხსენიებულია უნგრულახელი ოსტატი მ. იშტვანოვიჩი. შესაძლოა, ბრიგოლმა, ანუ იმავე ბრიგოლიმ წიგნების ბეჭდვა ამ უკანასკნელისაგან შეისწავლა.

როგორც ირკვევა, მიქელის შემდეგ ვახტანგ მეექვსის სტამბის გამგებლის, ანუ მბეჭდავის თანამდებობა ბრიგოლს მიუღია, რადგანაც 1716 წლიდან დაბეჭ-

დილ წიგნებში მის ნაცვლად ეს უკანასკნელი იხსენიება.

გრიგოლ მესხიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონია ვახტანგ მეექვსის ოჯახთან. 1714 წელს სპარსეთში მყოფი ვახტანგის ცოლ-შვილი — დედოფალი რუსუდანი და ბატონიშვილი ბაქარი მას რაჭაში გაუცილებია, ათი წლის შემდეგ კი — 1724 წელს იგი რუსეთში გაჰყვოლია იმავე ვახტანგს. სხვა რაიმე ცნობა გრიგოლის შესახებ არ მოგვეპოვება.

დეკანოზი ალექსი მესხიშვილი

ანჩისხატის ეკლესიაში დეკანოზად უმსახურია, აგრეთვე, გრიგოლის შვილს — **ალექსი მესხიშვილს**. ი. ბაგრატიონი მას შემდეგ ნაირად ახასიათებს: „ეს იყო მეცნიერი კაცი, მოძღუარი სული ანტონი კათალიკოსისა, მწერალი ხუცუურისა და მხედრულისა, რომელიცა ღირს ქებისა არს ნაწერებისაგან. ამას, მრავალნი საღმრთო წერილნი და ისტორიანი გადასწერნა“.

ალექსი მესხიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების გადანუსხვაში. იგი შეუდარებელი ოსტატობით წერდა როგორც ნუსხურად, ისე მხედრულად.

ძირითადად ა. მესხიშვილი საეკლესიო წიგნების გადამწერად გვევლინება, მაგრამ მას გადანუსხული აქვს, აგრეთვე, საერო თხზულებებიც: „ქილილა და დამანა“, „ვისრამიანი“, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და სხვა, რომლებიც დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.

ა. მესხიშვილი მამასავით მხატვრობის ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. მის მიერ გადამწერილი წიგნები შემკულია საუკეთესოდ შესრულებული მინიატურებით. მახარებელთა და წმინდანთა ფრესკული გამოსახულებებითაა ილუსტრირებული, მაგალითად, ალექსის მიერ გადანუსხული

„ჟამნი“, „წმიდანთა ცხოვრება“, „ოთხთავი“ და სხვა. როგორც ვ. ბერიძე წერს, „ზოგი მათგანი ევროპული ნახატების გავლენას ამჟღავნებს, მაგრამ რეალისტური ევროპული მხატვრობის ფორმალური საშუალებები-პერსპექტივები, მოცულობის გადმოცემა და სხვა ალექსისათვის მაინც უცნობი დარჩენილა. მისი ნახატები, მთლიანად, მაინც ხელოსნურ იერს ატარებს, თუმცა მათი კულტურულ-ისტორიული ღირებულება, მით უფრო, საბას და ქართველ წმინდანთა პორტრეტებისა, სრულიად უეჭველია“.

ჩვენს სიძველეთსაცავებში დღემდე შემონახულია ა. მესხიშვილის მიერ არა მარტო გადამწერილი და მხატვრულად გაფორმებული წიგნები, არამედ მისივე ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერად უმოღვანია ალექსის ლიტურგიკაში. ამის ნიმუშია რუსული ტიპიკონის მიხედვით შედგენილ-შესწორებული „თთუენი“, რომელიც 1761 წელს მოსკოვში ჯვართამაღლების მონასტრის ქართულ სტამბაში დაუბეჭდია ათანასე ამილახვარს.

ალექსი მესხიშვილს, როგორც თავის დროისათვის გამოჩენილ მოღვაწეს, ისეთი დიდი აღიარებისათვის მიუღწევია, რომ არაქალაქი მთავრის თანხმობით მისი სახელი შთამომავლობას გვარად გაუხდია. ამ შესანიშნავი მწერალ-მწიგნობრის შემდეგ იხსენიებიან მესხიშვილები ალექსი-მესხიშვილებად.

ალექსი 1766 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, ტაძრის დასავლეთის კარის წინ.

სოლომონი - უბადლო კალიგრაფი

ა. მესხიშვილს ექვსი შვილი ჰყოლია: **სოლომონი, დავითი, ზაქარია, ნიკოლოზი, გიორგი და იოსები**. აქედან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დამსახურება XVIII საუკუნის ქართული მწერ-

ლობის წინაშე სოლომონისა, რომელიც დიდი პაპა იყო ჩვენი სახელოვანი მსახიობის ლადო მესხიშვილისა.

სოლომონის შესახებ ძალზე ცოტა რამ ვიცით. ამ შესანიშნავი მოღვაწის ბიოგრაფიული თარიღების გასარკვევად ცნობებს ვხვდებით მისი შვილის, XIX საუკუნის ცნობილი მწერლისა და კალიგრაფ-გადამწერის **ტარასი ალექსი-მესხიშვილის** მიერ 1801—1862 წლებში შედგენილი „კრებულისათვის“ დართულ ქრონიკულ მონაცემებში. „განსვენებული მამაჩემი, ანჩისხატის დეკანოზი სოლომონი, — ვკითხულობთ ერთ-ერთ მათგანში, — გარდაიცვალა ივლისის დ, წელსა 1808, იყო წლისა 66, დამარხულ არს ანჩისხატში, მარცხნივ ამბიონისა“. აქედან ვგებულობთ, რომ სოლომონი 1742 წელს დაბადებულა.

სოლომონის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს აღარც მის მეუღლეს — ბარბარეს უცოცხლია. სამი-ოთხი თვის მერე მასაც დაუტოვებია ეს საწუთისოფლო.

თავის ძმებთან: დავითთან, ზაქარიასთან, ნიკოლოზთან, იოსებთან და გიორგისთან ერთად სოლომონს კარგი სწავლა-განათლება მიუღია მშობლების ოჯახში მამის — ა. მესხიშვილის ხელმძღვანელობით და ზედამხედველობით, შემდეგში იგი ანტონ I კათალიკოსის მოწაფე გამხდარა.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სოლომონს საუკეთესო მწერლისა და მხატვარ-კალიგრაფის სახელი მოუპოვებია. **მეფის სახლობა, დიდებულნი სოლომონს უბადლო კალიგრაფად თვლიდნენ და ამიტომ ცდილობდნენ, მისთვის გადაეწერინენ ნათესა თუ ის წიგნი. ერეკლე მეორის თანამეცხედრეს, დარეჯანს 1778 წელს მარტვილის მონასტრისათვის შეუწირავს სათვეო წიგნი, რომელიც სოლომონს გადაუწერია.**

სოლომონს გადანუსხული აქვს როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნები. 1770 წელს დიაკვნად ყოფნისას სოფელ ბელოთში გადაუწერია, მაგალითად, „ოთხთა-

ვი“, 1773 წლის 29 იანვარს ასტრახანში „ლოლიკა“ და სხვ.

...სოლომონი მარტო კალიგრაფ-გადამწერი როდი იყო. დაწერილი აქვს, აგრეთვე, ორიგინალური ლექსებიც. ესენია: „ეტრფის მთიებსა“, რომლის ავტორადაც ერთხანს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბესიკი იყო აღიარებული, „შესხმა საქართველოს მეფისა ირაკლი მეორისა ძისა გიორგის ძისა დავითისადმი, ოდეს მოიქცა ძლევიტ აგარიანთაგან“ და სხვ.

თავისი პაპის, გრიგოლის, მსგავსად სოლომონი ნიჭიერი მხატვრის სახელითაც ყოფილა ცნობილი. მის მიერ დახატული წმინდა ბარბარეს ხატი კარგა ხანს ამშვენებდა ანჩისხატის ტაძარს.

შემოქმედებით-ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად სოლომონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. 1771 წელს იგი თან ზღვებია ერეკლე მეორის მიერ დიპლომატიური მისიით რუსეთს გაგზავნილ ქართველ ელჩებს და ანტონ პირველთან, ლევან ბატონიშვილთან, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილთან, სულხან ბეგთაბეგიშვილთან ერთად მონაწილეობა მიუღია რუსეთის საიმპერატორო კართან გამართულ მოლაპარაკებაში.

1795 წელს საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს. ირანის მპყრობელი ალა მაჰმად ხან ყაჯარი დიდძალი ჯარით დაიძრა ქართლ-კახეთისაკენ. ქართველთა ლაშქარმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მტერს, ერეკლე მეორის მეთაურობით, კრწანისის ველზე. შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველები მაინც დამარცხდნენ. მტერი დედაქალაქში შეიჭრა, დაანგრია სრა-სასახლეები, გოგირდის აბანოები, სალაყბო, იმდროინდელი სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობანი.

კრწანისში დატრიალებული ტრაგედიისა და მომხდურთა თბილისში შემოჭრის შემდეგ ანჩისხატის ტაძრის კართან დღედაღამ ფეხმოუცვლელად იდგა ამ სალო-

ცავის დეკანოზი ს. ალექსი-მესხიშვილი და ელოდა, როგორ წარიმართებოდა საბოლოოდ საომარ მოვლენათა განვითარება. სანამ მტერმა სიონს არ მიაღწია, სანამ არ მოსცილებია ღვთისმსახური ტაძრის კარიბჭეს. შემდეგ კი, როცა დარწმუნდა ბრძოლის წაგებაში, ხელთუქმნელი ანჩისხატი ზურგზე მოიკიდა და ვაკისაკენ მიმავალ გზას გაუდგა. იქიდან საბურთალოში გადავიდა, ვეება ხატი ზურგით მიიტანა მცხეთამდე, ბოლოს ურმით ანანურში წაასვენა და გერგეთის მთებში გადამალა.

ჯეროვანი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა სოლომონი ქართლ-კახეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებულ რუსეთის მმართველ წრეებშიც. 1802 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მას ოქროს გულისჯვარი უბოძა და პენსიის სახით 400 მანეთი დაუნიშნა.

დავით რეპტორი

მესხიშვილების საგვარეულოს შესანიშნავი წარმომადგენელია, აგრეთვე, სოლომონის ძმა დავითი, რომელიც 1749 წელს დაბადებულია. მას სოლომონისა და სხვა თავისი ძმების მსგავსად დაწყებითი სწავლა-განათლება მამის — ა. მესხიშვილის ხელმძღვანელობით მიუღია, შემდეგ კი 1764—1765 წლებში თბილისის სასულიერო სემინარია დაუმთავრებია, სადაც მისი მასწავლებელი, ფ. ყაითმაზაშვილისა და სხვების გარდა, ანტონ I კათალიკოსიც ყოფილა.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დამდეგს დავითს მდივან-მწიგნობრის თანამდებობა სჭერია ერეკლე მეორის სამეფო კარზე. 1790 წლის 21 სექტემბრიდან იგი უკვე თელავის სასულიერო სემინარიის რექტორია. ერეკლეს მიერ მისთვის ნაბოძებ სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ, მეფემან ირაკლიმ, განგანესეთ თელავს ქალა-

ქის სემინარიის რექტორად შენ, ალექსის შვილი დავით. ასე რომე მოწაფეთ შემოგიკრებთ და ფილოსოფია უნდა მოასმენინო და ზოგთ საეკლესიო წიგნი და წერა ასწავლო“.

თელავის სემინარიაში დავითმა ფართო პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა გააჩაღა და მოკლე დროში ეს სასწავლებელი მნიშვნელოვან კულტურის კერად აქცია. მასში აღიზარდა XVIII-XIX საუკუნეების მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. დავითმა თელავის სასულიერო სემინარიაში მოღვაწეობით ისე გაითქვა სახელი, რომ იგი ძველ საბუთებში ხშირად გვარის გარეშე, პირდაპირ „დავით რექტორად“ იხსენიება. აღსანიშნავია ისიც, რომ გადამეტებული ოხუნჯობისათვის მისთვის ზედმეტსახელად „ცუკია ფილოსოფოსი“ შეურქმევიათ. პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს: „უცნაურის ხასიათისა ყოფილა და უშნო ჩაცმა-დახურვისა. ჩვეულებად ჰქონდა მხრების თამაშობა (ცმუკვა იცოდა) და ამის გამო „ცუკიას“ ეძახდნენ... ხშირად შინ იჯდა, მეტადრე ბანზე, ხალათისავით კაბა წამოსხმული და პერანგის უამხანაგოდ. ჭკვიან და მცოდნე კაცად მიაჩნდათ, მაგრამ, ამასთანავე, ნახევრად სულელადაც... ოხუნჯობა იცოდა დიდთან და პატარებთანაც. მაგრამ სასწავლებელში ცემაც კი სცოდნია და ლობიოზე მუხლებით დაჩოქება ყმანვილებისა“.

დავითი იყო თავისი დროის გამოჩენილი პოეტი, მეცნიერი, ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, მხატვარი, ორატორი, კალიგრაფი. მას გადაუწერია მრავალი სასულიერო და საერო წიგნი. მათ შორის აღსანიშნავია: იოანე დამასკელის „კატელორია“, პროკლე დიადიხოსის „კავშირნი“, ვასილ დიდის „ექვსთა დღეთა“, იოანე მმარხველის „სჯულის კანონი“, აგრეთვე „ჩარდავრიშიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „ტროადის დაცემა“, „დავით გურამიშვილის თხზულებები“, თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“, „ბაუმეასტერის „ფილოსოფია“, არისტოტელეს „განმარტებისათ-

ვი“, მარ მონტელის „ველიაზარი“, „ომანიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „აბდულმესიანი“ და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დავითის მიერ გადანერხილი ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორია საქართველოსი“, რომლის სრულყოფის მიზნით მას ნაყოფიერი შრომა გაუწევია. დავითს დამატების სახით ვახუშტის „ისტორიაში“ შეუტანია ფშავ-ხევსურეთის სოფლების აღწერა. მის მიერ გადანუსხულ ამ წიგნს დართული აქვს დავითისავე შემდეგი მინაწერი: „რაოდენიცა ფშავსა ანუ ხევსურეთსა შინა სოფელნი თვალითა ჩემითა ვიხილე... ქართლის ისტორიის ბოლოს აღვჰსწერე, რადგან ამ ქართლის ცხოვრების აღწერასა შინა ქართლსა და კახეთში რაც სოფელია, ყოველივე ეწერა, ფშავ-ხევსურისა კი არ ეწერა, მე დავჰსწერე“.

მნიშვნელოვანი დამატებები და სწორებები შეუტანია დავითს გადანერხისას, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და სხვა წიგნებში. მათი გაცნობის შედეგად ვრწმუნდებით, რომ დავითი გადანუსხვას მექანიკურად კი არ აწარმოებდა, არამედ მას დიდ ეროვნულ საქმედ მიიჩნევდა, ამიტომ შემოქმედებითად უდგებოდა: ახდენდა დედნის რედაქტირებას, ლიტერატურულ-სტილისტურ დამუშავებას და ა.შ.

დავითი, როგორც კალიგრაფი, ბევრით არაფრით „ჩამოუვარდებოდა თავის ძმას სოლომონს. მის მშვენიერ მხედრულ ხელს იშვიათად თუ ვისმე ნაწერი შეედრება: ასოები ძალიან სასიამოვნო პროპორციისაა, არაა ზედმეტი სამკაულები; სინგურის სტრიქონებისა და საზედაო ასოების გამოყენება, თვით ეს საზედაო ასოები კარგ გემოვნებას მოწმობს. მისი ხელნაწერების დათვალიერებისას იგრძნობა, რომ დავითმა წიგნის „გემო“ იცოდა და, როგორც პროფესიონალი, მაღალ დონეზე იდგა“.

კალიგრაფობის გარდა, დავითი კარგი მხატვარიც ყოფილა. ამას მოწმობს მის მიერ გადანერხილ წიგნებში დიდი ოსტატობით გამოსახული დეკორატიული საზე-

დაო ასოები, ტექსტების თავსართებად და ბოლოსართებად გამოყენებული ორნამენტები, სინგურით შესრულებული ცალკეული სიტყვები თუ სტრიქონები.

აღსანიშნავია დავითის ორიგინალური შემოქმედება — პოეზია, აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ „ლეონ ბატონიშვილისათვის თქმულნი იამბიკონი“, აკროსტიხი მიძღვნილი პაატა ანდრონიკაშვილისადმი და სხვა. შექმნილი აქვს, აგრეთვე, სასკოლო სახელმძღვანელოები გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ისტორიაში. მისი ამ სახის წიგნები დანერგილია სადა, გასაგები, მაშინდელი სალიტერატურო ენით.

დ. ალექსი-მესხიშვილი პოლიტიკურ დაჯგუფებებში ყოფილა გარეული. **მას მონაწილეობა მიუღია კახეთის აჯანყების მზადებაში, რისთვისაც 1802 წელს სხვებთან ერთად დაუპატიმრებიათ, რექტორობიდან გადაუყენებიათ, ხოლო თელავის სემინარია კი, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ტენდენციების გამავრცელებელი, დაუხურავთ.**

ცხოვრების ბოლო ორი ათწლეული დავით ალექსი-მესხიშვილმა დიდ ეკონომიურ სივინროვესა და სულიერ მწუხარებაში გაატარა. თელავის სემინარიის რექტორობიდან გადაყენების შემდეგ მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი ციებით გარდაეცვალნენ. ამ მძიმე ტრაგედიის გადატანის მიუხედავად, იგი მაინც კარგა ხანს დარჩა თელავში, ბოლოს თბილისში გადმოსახლდა და ანჩისხატის ეკლესიის ეზოში პატარა, ბნელ, ნესტიანს ოთახში მარტოდმარტო ცხოვრობდა. თავის გაზრდილს მღვდელს ი. ციციშვილს ატყობინებდა: „მოვხუცდი და დავსწავლდი. ჯამაგირი მე აღარა მაქვს და, თუ მექონდა რამე... დავხარჯე. აღარა მაქვს რა. ახლა თუ შეიძლება დავსწავლდი... ერთი ურემი ფქვილი გამომიგზავნე... თუ გქონდეს მუხუდო და თაფლიც გამომიგზავნე და ღომიც. და ირწმუნე, მაგიერს მეც გადაგიხდი. ხომ მოვჰკვდები და ჩემს ანდერძში არც შენ დარჩები უნაწილო“.

ასეთ გაჭირვებასა და მწუხარებაში გარდაიცვალა დავით ალექსი-მესხიშვილი 1824 წელს.

ცოლშვილამონყვეტილ, მარტოდმარტო დარჩენილ დავითს აღარც თავისი უკანასკნელი იმედი, უსაყვარლესი ძმის, გიორგის შვილი მიხეილი ჰყავდა გვერდით, რომ ნუგეში ეცა გაჭირვებაში ჩავარდნილი მოხუცისათვის.

გიორგი, მამა მიხეილისა, თავისი ძმების — სოლომონისა და დავითის მსგავსად მესხიშვილების საგვარეულო ტრადიციას გაჰყოლია და მასაც განსწავლულ-განათლებული კალიგრაფის სახელი მოუპოვებია. ისევე, როგორც სხვა ძმებს, გიორგისთვისაც სწავლისადმი სიყვარული და მისწრაფება მამას — ალექსი მესხიშვილს შთაუგონებია, მისივე დახმარებით დაუფლებია წერა-კითხვას, შემდეგ კი ანტონ I კათალიკოსის მონაფე გამხდარა.

ბიოგრაფიული და პიხეილი ალექსი-მესხიშვილები

1765-1779 წლებში გიორგი ანჩისხატის დეკანოზია. 1766 წელს გადანერხილ „ლოცვანის“ ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა წიგნი ესე სულთა განმანათლებლის ხელითა ანჩისხატის დეკანოზის გიორგისითა“, ხოლო 1768 წელს გადანუსხულ „კრებულის“ ბოლოს ნათქვამია: „სრულ იქმნა მცირე ესე სჯულის კანონი ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა, ხელითა ანჩისხატის დეკანოზის გორგისითა“.

გიორგი ალექსი-მესხიშვილი საკმაოდ მაღალკვალიფიციური და ამასთან ნაყოფიერი კალიგრაფ-გადამწერი ყოფილა. 1768 წელს გადაუწერსხავს მას „საეკლესიო კრებული“ და ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, 1769 წელს — „კატეხიზმო“, 1770 წელს — მხითარ სევასტიელის „რიტორიკა“, 1771 წელს — „ეკლესიის კურთხევის წიგნი“, 1773 წელს — იოანე სინელის — „კლემექსი“, 1779 წელს — ანტონ პირველის „თვენი“ და სხვა.

ნიგნების გადანერის გარდა გიორგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა, აგრეთვე, სხვა სახის სიგელ-გუჯრების შედგენაში, იურიდიული საბუთების გაფორმებაში.

გიორგის მსგავსად, მიხეილიც თავის დროზე საუკეთესო კალიგრაფ-გადამწერად ითვლებოდა. მას მრავალი ხელნაწერი აქვს გადაწუსებული. როგორც ჩანს, მიხეილი, ძირითადად, ანტონ პირველის ნაშრომების გადანუსხვაზე მუშაობდა. მისი ხელითაა გადანერილი, მაგალითად, ანტონის „კატეგორიათა შეყვანილობა“, „კატეგორია სიმეტრე“, „ქართული ენის გრამატიკა“, „კატეხიზმო“ და სხვა.

მიხეილს აქტიური მონაწილეობა მიუღია ერეკლე მეორის სტამბაში დაბეჭდილი „კურთხევის“ გამოცემაში. ამ ნიგნზე მუშაობა 1764 წელს დაუწყო. ანტონ პირველს გაუკონტროლებია ანაბეჭდისა და თვით ტექსტის „გამართვის“ ხარისხი. დედანი მდარე ქართულით ყოფილა დაწერილი. ამიტომ მღვდელმთავარს ნიგნის ბეჭდვა შეუჩერებია და დედნის რედაქტორულ-სტილისტური დამუშავება მიხეილისათვის მიუწვდია.

მიხეილის პირადი ცხოვრებიდან ბევრი რამ უცნობი და შეუსწავლელია, ვიცით მხოლოდ, რომ მათ ცოლად ჰყოლია ქაიხოსრო შაბურიშვილის ასული ანა, რომელიც 1784 წლის 24 ივნისს მომკვდარა, ხოლო ორი წლის შემდეგ — 1786 წლის 19 სექტემბერს მიხეილიც გარდაცვლილა. „განკრძალული მღვდელი და დეკანოზი მიხეილ ანჩისხატის ეკლესიისა... ანჩისხატის გიორგი დეკანოზის ძე... მიიცვალა წელსა ჩღვ, სექტემბერსა ით“, — ვკითხულობთ ერთ საბუთში.

არქიმანდრიტი ტარასი

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მესხიშვილების კალიგრაფიულ სკოლას სათავეში უდგება ამ გვარის შესანიშნავი წარმომადგენელი, პოეტი და მთარგმნელი, სოლომონის უფროსი შვილი **არქიმანდრიტი ტარასი**. ქართული

მწერლობის წინაშე მნიშვნელოვანი დამსახურების მიუხედავად, მისი ცხოვრება-მოღვაწეობა თითქმის შეუსწავლელია. დაუდგენელია დაბადების თარიღიც კი. მოიპოვება 1833 წლის შვიდი თებერვლით დათარიღებული საბუთი, რომელშიც ტარასი პირდაპირ ამბობს: „მე ვარ შობილი 1793 წლის აპრილის თვეში“.

სწავლა-განათლება ტარასის მშობლების ოჯახში მიუღია თავისი მამის — სოლომონ ალექსიმესხიშვილის შემწეობით. 1808 წელს 15 წლის ტარასი ანტონ II კათალიკოსს ბერად აღუკვეცია. ამის შემდეგ ჯერ იპოდიკვნად უმსახურია საპატრიარქოში, მერე კი — იეროდიაკვნად. ანტონის რუსეთს გამგზავრების შემდეგ ტარასი ეგზარხოს ვარლამ ერისთავთან ყოფილა არქიდიაკვნად.

1817 წლის 8 სექტემბერს ტარასი ვარლამ ერისთავს გაჰყოლია მოსკოვში. აქ ისინი პეტროვსკის მონასტერში ორ კვირას დარჩენილან, შემდეგ კი პეტერბურგში გამგზავრებულან, სადაც მთელი ცხრა წელიწადი ერთად გაუტარებიათ.

XIX საუკუნის დამდეგიდან პეტერბურგში ცხოვრობდნენ სამშობლოდან გადასახლებული საქართველოს სამეფო სახლის წევრები, მათ შორის თ. ბაგრატიონიც, რომელსაც 1813 წელს საკმაოდ ცნობილ ვაჭარ გერტმანისგან ორსართულიანი ქვის სახლი უყიდა და მისთვის საკუთარი კარის ეკლესია მიუშენებია. ამ სამლოცველოში ერთხანს მღვდლად გიორგი მეცამეტის შვილების აღმზრდელს, სახელოვან მწიგნობარს იოანე ხელაშვილს უმსახურია, ხოლო 1826 წლიდან იგი ტარასი მესხიშვილს შეუცვლია.

პეტერბურგში ცხოვრებისას ტარასის ახლო ურთიერთობა ჰქონია ქართველ ემიგრანტებთან. პირველ რიგში კი ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის შვილებთან: ოქროპირთან, მირიანთან, დავითთან, იოანესთან, ლუარსაბთან და სხვა ბაგრატიონებთან, რომელთა ოჯახებშიც სადღესასწაულო წვეულებებსა თუ

ჩვეულებრივ სადილ-ვახშმებზე თითქმის მთელი პეტერბურგელი ქართველობა იკრიბებოდა. ამ წვეულებებს ხშირად ესწრებოდა ტარასი ალექსი-მესხიშვილიც. საერთოდ, **პეტერბურგში გატარებულმა ცხოვრების წლებმა გარკვეული როლი შეასრულა ტარასის მსოფლმხედველობის საბოლოო ფორმირებაში.**

1830 წელს ტარასი საქართველოში ბრუნდება და თბილისის ფერისცვალების ეკლესიაში იწყებს მოღვაწეობას ბერმონაზვნად. მალე აქ მას, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილეს, აპატიმრებენ. გამოძიების დროს პოკროვსკის ყაზარმებში ყოფნისას ტარასის და შეთქმულების ერთ-ერთ ხელმძღვანელს — ფილადელფოს კიკნაძეს, როგორც ბერებს, ხელისუფლებისათვის ხმამაღალი ლოცვისა და სახარების წაკითხვის ნებართვა უთხოვიათ. მათი წადილი დაუკმაყოფილებიათ. ამით უსარგებლიათ ღვთისმსახურთ: დაუწყიათ ხმამაღალი ლოცვა, თანაც შიგა და შიგ საეკლესიო კილოთი ჩაურთავთ საყურადღებო ცნობები ცალკეულ ოთახებში გამომწყვდეულ შეთქმულთა გასაგონად — თუ გამომძიებელმა რა ჰკითხათ, რა უპასუხეს და შემდეგში ვინ როგორი ჩვენება უნდა მისცეს.

გამოძიების შედეგად ტარასი ალექსი-მესხიშვილს 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის მიღება ვერ დაუმტკიცდა, რის გამოც 1833 წლის ნოემბერში იგი გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

ტარასის მრავალი წიგნი აქვს გადანერილი, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული და კალიგრაფიული მნიშვნელობა. მის გადანუსხულ ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით ცხოვრებისა და ფრინველების გამოსახულებებით გაფორმებულ ლამაზად დახატულ ასოებს. ტარასის ხელნაწერებიდან აღსანიშნავია: „ცხოვრება ონოფრე განშორებულისა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითანი“, იოანე ოქროპირის „სიტყვის

გება“, „ნიგნი თანამდებობათათვის სამრევლოთა მღვდელთა“, ვახტანგ მეექვსის სამართლის ნიგნები და სხვა.

კალიგრაფ-გადამწერლობასთან ერთად ტარასი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ შეკრებილი ისტორიული ცნობები დავით გარეჯის, იოანე ნათლისმცემლის, ქვათახევისა და სხვა ძველი ქართული კულტურის ძეგლების შესახებ. საყურადღებოა, აგრეთვე, მისი ნაშრომი „მოკლე აღწერა მონასტერთა“.

ტარასი საუკეთესო მთარგმნელიც ყოფილა. 1824 წელს პეტერბურგში სტამბურად დაუბეჭდია „ლეოლრაფიული ლექსიკონი ახლისა აღთქმისა“, რომლის თავფურცელზეც ვკითხულობთ: „რუსულისაგან გადმოღებული ტარასის მიერ მღვდელ-მონაზონისა“. 1825 წელს პეტერბურგშივე გამოიცა მისი ორიგინალური ნიგნი „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა, ხუცურისა და მხედრულისა წერილისა“. 1858 წელს უთარგმნია მას ეფრემ ასურის „წერილი სულიერ ყოფაქცევანი“. საგანგებო შესწავლას საჭიროებს ტარასის ორიგინალური ნაშრომი „ქვეყნიერი სამოთხე“, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების პრეტენზია აქვს.

ჩვენს სიძველეთსაცავებში შემონახული ტარასი ალექსი-მესხიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი განვლილი ცხოვრების ამსახველი მასალები მოწმობს, რომ იგი დიდი პატრიოტიც ყოფილა.

XIX საუკუნის 50-იან წლებში გიორგი მეცამეტის ასულის — სოფიოს შვილის, ივანე ლუარსაბის ძე თარხან-მოურავის, ხარჯით შეკეთდა და ამოქმედდა მანამდე მიტოვებული **ქვათახევის** მონასტერი, რომლის წინამძღვრადაც 1855 წელს დაინიშნა ტარასი ალექსი-მესხიშვილი. მისი გარჯა-რუდუნებით კვლავ აღსდგა ამ უძველეს სალოცავში ღვთისმსახურება, სისტემატური ხასიათი მიეცა რელიგიური დღესასწაულების აღ-

ნიშვნას, საკულტო რიტუალების შესრულებას, უამრავი ხალხი მიანყდა მონასტერს ახლომახლო სოფლებიდან, იმატა მრევლმა.

1874 წელს ტარასი ალექსი-მესხიშვილი გარდაიცვალა. დაკრძალულია ქვათახევის მონასტერში, ჩრდილოეთის კედელთან. იქვე ამოტვიფრულია შემდეგი წარწერა: „მოიხსენე უფალო მონა შენი არხიმანდრიტი ტარასი. ამან დაუცხრომელმან მშრომელმან ცნობილმან მალლითა მონოზონობითა მოღვაწებითა, მკაცრითა ცნობილმან მალლითა მონოზონობითა მოღვაწებითა, მკაცრითა ზნეობითა და კრძალულებითა განვლო რა მონოზონობასა შინა 66 წელი, განისვენა 1874 წ. მაისის 2-ს, შობითგანს 81 წლისამან. დიდმშენიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა, შინაგანი მორთულობა მისი და სიმრავლე გარემო მისისა მიუცილებელთა ახალთა შენობათა არს ნაყოფი ტარასის წინამძღვრობისა მის მონასტერსა შინა 1854- 1874 წ“.

ტარასი ალექსი-მესხიშვილი უბადლო ორატორული ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. ამას მოწმობს მის მიერ დიდი ექსპრესიით წარმოთქმული სიტყვა-გოდება ქვათახევის მონასტრის რესტავრატორის — ივანე თარხან-მოურავის დაკრძალვაზე, რომელიც 1958 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს სასულიერო მჭევრმეტყველების კლასიკურ ნიმუშს.

იოველი და იპრონიმა

სოლომონის შვილებიდან, ტარასის გარდა, მნიშვნელოვან ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა **იოველიც**. მისი ბიოგრაფიული თარიღების დასადგენად საინტერესო ცნობებს ვხვდებით ტარასის „ქრონიკებში“: „ჩემი ძმა იოველი, — გადმოგვცემს ტარასი, — გარდაიცვალა სათლიჟამით თებერვლის 12, წელსა 1825. იყო წლისა 45“. თუ ამ ცნობას სარწმუნოდ მივიჩ-

ნევთ, გამოდის, რომ იოველი დაბადებულია 1780 წელს.

იოველს „კოლეჟსკი რეგისტრატორად“ უმსახურია, ამასთან ცნობილი ყოფილა, როგორც საუკეთესო კალიგრაფ-გადამწერი. **მის მიერ გადანუსხული ნიგნები საკმაოდ ძნელად იშოვებოდა და ძვირადაც ფასობდა.** ერთი მათგანი — ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“, მაგალითად, საკმაოდ დიდი გარჯის შემდეგ შეუძენია 1821 წლის 8 ივლისს გიორგი მეცამეტის შვილს — ბაგრატს. იოველის გადანუსხული ნიგნებიდან აღსანიშნავია: „ანდრია კესარი-კაპადოკიელის თარგმანება გამოცხადებისა იოანე ღვთისმეტყველისა და მზამეტყველება“, „საეკლესიო კრებული“ და სხვა.

1803 წელს გარდაცვლილ სამთავის-ნილკნის ეპისკოპოს იოანეს ანდერძის აგებაზე ერთმანეთს შეცილებიან ანჩისხატის დეკანოზი სოლომონ ალექსი-მესხიშვილი და სიონის მღვდელმთავარი. ამ დავაში თბილელ მიტროპოლიტს, იესე მეფის უკანონო შვილის აბდულა ბეგის ვაჟს, არსენს, სიონის მღვდელმსახურისათვის დაუჭერია მხარი. საღამო ხანს ეკლესიიდან გამოსულ მიტროპოლიტს თავს დასხმიან უცხო პირები და დაუჭრიათ. დანაშაულის ჩადენაზე ეჭვი სოლომონის ვაჟზე — იოველზე მიუტანიათ და დაუპატიმრებიათ.

იოველი გვიან მოჰკიდებია ოჯახს. მისი მეუღლე მართა ერეკლე მეორის შვილთან, თამარ იულონის ასულთან ერთად გარეული ყოფილა 1832 წლის შეთქმულებაში, რის შედეგადაც იგი ხშირად იხსენიება შეთქმულთა საგამომძიებლო მასალებში.

1825 წელს იოველი გარდაცვლილა. მისი მამით ობოლი ასული ბარბარე, თამარ იულონის ასულს პეტერბურგში ტარასი ალექსი-მესხიშვილთან წაუყვანია. ბიძას ძმისწული ფარნაოზ ბატონიშვილის დახმარებით პანსიონში შეუყვანია, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სახელობის ინსტიტუტში მოუწევია და ამრიგად,

მისთვის საფუძვლიანი განათლება მიუცია.

საყურადღებოა, აგრეთვე, ანჩისხატის დეკანოზის — სოლომონ ალექსი-მესხიშვილის კიდევ ერთი ვაჟის — **იერონიმეს** მოღვაწეობა, რომლის ცხოვრების შესახებაც, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი არ ვიცით. მას კარგად სცოდნია რუსული ენა, რის გამო ერთნაირი წარმატებით შეეძლო თარგმნა როგორც რუსულიდან ქართულად, ისე პირიქით. ამასთან ალექსი-მესხიშვილებისათვის დამახასიათებელი, გამორჩეული კალიგრაფ-გადამწერის ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული.

იერონიმეს სხვადასხვა დროს უთარგმნია თუ გადაუწერია 1828 წელს „ძღვევისათვის მტერთა ზედა“, 1829 წელს — „მოკლე სწავლა აცრისათვის ყვავილისა“, 1836 წელს — „მოხსენიებისათვის სულთა მიცვალებულთასა“ და მრავალი სხვ.

დიმიტრი - უკანასკნელი დეკანოზი ანჩისხატის ეკლესიისა

1862 წელს ჟურნალი „ცისკარი“ იუწყებოდა: „კვირას, 9 დეკემბერს, დილით ცხრა საათზედ, გარდაიცვალა ტფილისში, ხანგრძლივავათმყოფობის შემდეგ ოთხმოცდა სამეტი წლის მოხუცი, საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის წევრი და წინამძღვარი ანჩისხატის ხელთუქმნელის პირი მღვთისასი, **დეკანოზი დიმიტრი ალექსიევ-მესხივეი**“.

ეს ღრმა მოხუცებულობას მიტანებული კაცი იყო **ძმა ტარასი, იოველ, იერონიმე ალექსი-მესხიშვილებისა, პაპა ჩვენი სახელოვანი მსახიობისა — ლადო მესხიშვილისა და უკანასკნელი დეკანოზი ანჩისხატის ეკლესიისა**.

„ცისკარში“ გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადება, დიმიტრის გარდაცვალების თარიღის გარკვევის გარდა, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მისი დაბადების წელიც. იგი 1769 წელს ყოფი-

**ალექსი მესხიშვილს, როგორც თავის
დროისათვის გამოჩენილ მოღვაწეს,
ისეთი დიდი აღიარებისათვის მიუღწევია,
რომ ეჩაქლე მეორის თანხმობით მისი სახელი
შთაბრუნებულა გზაგაზ გაუხდია. ამ შესანიშნავი
მწერალ-მწიგნობრის შემდეგ იხსენიებიან
მესხიშვილები ალექსი-მესხიშვილებად.**

ლა დაბადებული. წერა-კითხვა და „საღმრთო სჯული“ ისევე, როგორც სხვა დანარჩენი შვილებისათვის, დიმიტრისთვისაც მამას — ანჩისხატის დეკანოზ სოლომონ ალექსი-მესხიშვილს უსწავლებია. ერთხანს დავით გარეჯის მონასტერში უმოღვაწია, ხოლო 1793 წელს იპოდიკენად უკურთხებიან. 1795 წელს ალა მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას მამასთან — სოლომონ დეკანოზთან ერთად ანჩისხატის ეკლესიის განძეულობა, მათ შორის პირი ღვთისა ხატი გერგეთის მთებში გაუხიზნავს, რის შედეგადაც გზაში ყოზილბაშეებს დაუჭრიათ.

1796 წელს დიმიტრი დაინიშნა ანტონ I კათალიკოსის მიერ დაარსებული დიკასტერიის მდივან-მწიგნობრად, 1803 წელს — ანჩისხატის ეკლესიის მეორე მღვდლად, ხოლო 1808 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, აკურთხეს ამავე ტაძრის დეკანოზად. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდური კანტორის შექმნის დღიდან დიმიტრი მისი უცვლელი წევრი იყო. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1818-1852 წლებში რუსი ეგზარხოსის თეოფილაქტეს განკარგულებით სინოდურ კანტორაში თავმოყრილი ძველი ქართული საბუთების გადარჩევაში. დიმიტრის მეშვეობით მრავალი საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი გადარჩა განადგურებას.

XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების: ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის, ვ. ორბელიანის, ს. რაზმაძისა და სხვათა მსგავსად. ალექსი-მესხიშვილი ერისკაცი იყო. სამშობლოს გარდა, სხვა რამ სალოცავი მას არ გააჩნდა.

იღებდა თუ არა დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი უშუალო მონაწილეობას 1832 წლის შეთქმულებაში, სათანადო საბუთების უქონლობის გამო ძნელი სათქმელია. ის კი, რომ იგი მისდამი გულგრილად არ უნდა ყოფილიყო განწყობილი, სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამას მოწმობს დიმიტრის ურთიერთობა შეთქმულების მონაწილეებთან. გიორგი რევაზის ძე ერისთავი გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს: „ტარასი ვნახე სოვეტნიკად ყოფილ თ. ალექსანდრე ორბელიანთან და თამარ ბატონიშვილთან, სადაც იყო ტარასის ძმა — დეკანოზი დიმიტრი ალექსივეი“.

მწიგნობრობით სახელგანთქმულ დიმიტრის თავის სიცოცხლის ხანგრძლივ მანძილზე მრავალი ხელნაწერი გადაუწერს. ჯერ კიდევ დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობისას მას გადაუწერია იოანე ოქროპირის „ოქროს წყარო“ და ბაუმეისტერის „ლოგიკა“, ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა“, მისივე „გრამატიკა“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ დიმიტრი ჩვეულებრივი, რიგითი გადამწერი როდი ყოფილა. მას, როგორც „ფრიადას განსწავლულსა ქართულსა ენასა ზედა“, გრამატიკულ-სტილისტური სწორებები შეჰქონდა გადასანუსხავ დედანში. ერთ-ერთ ხელნაწერს დიმიტრის ასეთი მინაწერი აქვს: „უნვრთნელის მწერლისაგან იყო ნაწერი და ფრიადი შრომა მომეცა კანონზედ გამართვით“.

ტარასი ალექსი-მესხიშვილის ცნობით, დიმიტრი „დამარხულ არს ანჩისხატის სობოროში მარჯვნივ ამბიონისა“.

ქართული მეცნიერების საზოგადოებრივი საქმე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში, რომელშიც თავიდან 369 სტუდენტს 18 პროფესორ-მასწავლებელი ასწავლიდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის იმპერიაში არსებულმა უნივერსიტეტებმა. ყველა ამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლა მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა. იქ განსწავლული ქართველობა, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, თბილისის უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები გახდნენ, თანდათან შექმნეს საფუძველი, ჩამოაყალიბეს სხვადასხვა ფაკულტეტი და ქართულ მეცნიერებაში საზოგადოებრივი საქმე გააქვეყნეს.

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა

1919 წელს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი მეცნიერი **ივანე ბერიტაშვილი** მონაწილე იქნა სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი აირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად და დანიშნეს ჯერ ცხოველთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის, ხოლო შემდეგ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ. ახლად შექმნილი კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბებული ფიზიოლოგიის ლაბორატორია ათიოდე წლის შემდეგ გადაკეთდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტად, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში შედიოდა ფიზიოლოგიის კათედრის შემადგენლობაში. ამჟამად იგი მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია გაერთიანებული.


კათედრაზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგენილ იქნა ზურგის ტვინის ფიზიოლოგიის ძირითადი კანონზომიერებები, ლაბირინთისა და კისრის ტონური რეფლექსების მექანიზმი, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა ცენტრალური შეკავების შესახებ და ზოგადი შეკავების კანონი.

ინტეგრალური მოქმედების კანონზომიერებათა გარკვევის მიზ-

ნით კათედრა, კლასიკური რეფლექსების შესწავლის პარალელურად, მიმართავდა ცხოველთა ფსიქონერვული ქცევის ძირითად კანონზომიერებათა და ნერვული მექანიზმების კვლევას. ამასთანავე, მიმდინარეობდა ცხოველთა ფსიქონერვული ქცევის ძირითადი კანონზომიერების შესწავლა და მისი ნერვული მექანიზმების დადგენა. **ფიზიოლოგიის კათედრა ერთ-ერთი პირველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც დაიწყო ტვინში აღჭრული ბიოელექტრული მოვლენების შესწავლა ივ. ბერიტაშვილისა და მისი თანამშრომლების მიერ.** დიდი შრომა იყო ჩატარებული ცხოველებისა და ადამიანის სივრცითი ორიენტაციის ბუნების, აგრეთვე, კომპლექსური და ასოციაციური პირობითი რეფლექსების შესწავლისათვის.

ზოოლოგიის კათედრა

ზოოლოგიის კათედრა დაარსდა 1919 წელს ჯერ ზოოლოგიური კაბინეტის, შემდეგ კი ზოოლოგიის კათედრისა და ენტომოლოგიური კაბინეტის სახით (პირველი გამგე — გრაფი ბ. უვაროვი), 1921 წლიდან მას ხელმძღვანელობდა **ბიორაბი ჯავახიშვილი**, რომლის ინიციატივით იკითხებოდა შემდეგი სალექციო კურსები: ზოოლოგია, ანთროპოლოგია, შედარები-



ივანე ბერიტაშვილი

თი ანატომია, ევოლუციური მოძღვრება, პარაზიტული პროტოზოოლოგია, მიკროსკოპული ტექნიკა, ცხოველთა სისტემატიკა, სარენაო ნადირ-ფრინველთა ბიოლოგია.

ქართველი ანთროპოლოგი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1944) გიორგი ჯავახიშვილი 1877 წელს დაიბადა სიღნაღში.

1903 წელს დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტი. 1903—1905 წლებში მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში. 1905-იდან — პეტერბურგის აკადემიის ზოოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმებში. 1911 თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი იყო. 1921 აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის დოცენტად, ხოლო 1921—1935 წლებში — ზოოლოგიის კათედრის გამგედ. 1926 დააარსა ბათუმის (ციხისძირში) ბიოლოგიური სადგური, რომლის გამგეც თვითონ იყო. 1929 წელს თბილისის უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრასთან ჩამოაყალიბა პროტოზოო-

ლოგიის ლაბორატორია.

ჯავახიშვილის ძირითადი შრომები ეხება ანთროპოლოგიის, ზოოლოგიისა და პალეონტოლოგიის საკითხებს. შეიმუშავა კრანოლოგიის ახალი კონსტრუქციული მეთოდი. ავტორია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოებისა. გარდაიცვალა 1956 წელს.

1937 წელს კათედრა გაიყო უხერხემლოთა ზოოლოგიის (გამგე პროფ. ლ. კალანდაძე, 1955—1961 წწ. — დ. მელაძე, 1961—77 წწ., ბ. ყურაშვილი, 1971—77 წწ. — ლ. კუტუბიძე, 1977—82 წწ. — გ. ქაჯაია) და ხერხემლიანთა ზოოლოგიისა და ჰიდრობიოლოგიის (გამგე ვ. ნიკიტინი, 1946—82 წწ. — ა. ჯანაშვილი) კათედრებად. შემდეგ ორივე კათედრა ისევ შეერთდა ზოოლოგიის კათედრად. პროფ. ლ. კალანდაძემ შექმნა ენტომოლოგიის სალექციო კურსები, პროფ. გ. ქაჯაიამ და ი. ელიავამ — ეკოლოგიისა და ცხოველთა ეკოლოგიისა და ცხოველთა ეთოლოგიის კურსები, პროფ. ბ. ყურაშვილმა — პარაზიტოლოგიის კურსი, პროფ. ა. გეგეჭკორმა — ბიოგეოგრაფიის სალექციო კურსი, ა. ჯანაშვილმა შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელო ხერხემლიანთა ზოოლოგიაში, პროფ. ბ. ყურაშვილმა — უხერხემლოთა ზოოლოგიასა და პარაზიტოლოგიაში. კათედრაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორებიც იყვნენ გ. კოკოჩაშვილი, ი. ჩხიკვიშვილი, ლ. ნათაძე და სხვანი.

კათედრის თანამშრომლების მიერ მონოგრაფიულად შესწავლილია საქართველოს ობობები



(თამარ მხეიძე), საქართველოს, კავკასიისა და ყოფილი სსრკ-ის ფსილიდები (ა. გეგეჭკორი), საქართველოს ჰელმინთები (ბ. ყურაშვილი, ი. ელიავა), საქართველოს ფრინველები (ი. ჩხიკვიშვილი, რ. ჟორდანიას), ძუძუმწოვრები (ა. ჯანაშვილი) და სხვ.

კათედრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით სარგებლობენ სამუშაო სკოლების მოსწავლეებიც. ესენია: მ. ღარიბაშვილისა და ა. ჯანაშვილის „ზოოლოგია“, ა. გეგეჭკორის — „დედაბუნება“, „ბუნება შემოქმედია“ და სხვა. კათედრის დაქვემდებარებაშია ა. ჯანაშვილის სახელობის ზოოლოგიური მუზეუმი (პირველი გამგე დ. გურგენიძე). 1987 წელს დაარსდა თევზების ბიოლოგიისა და გამოყენებითი იხთიოლოგიის ს/კ ლაბორატორია (გამგე რ. შავერდაშვილი), რომელიც 1990 წელს გადაკეთდა ხერ-

ხემლიან ცხოველთა ბიოლოგიისა და დაცვის ს/კ ლაბორატორიად (გამგე რ. ჟორდანიას).

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა დაარსდა 1920 წელს. კათედრის გამგედ მონვეული იყო პროფ. ვ. ალექსანდროვი. 1927—28 წწ., პროფ. ვ. ალექსანდროვის რუსეთში გადაყვანასთან დაკავშირებით, კათედრის გამგედ შეთავსებით დაინიშნა ბოტანიკის კათედრის გამგე პროფ. ზ. ყანჩაველი. 1928—29 წწ. მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრა დროებით შეუერთდა ბოტანიკის კათედრას. 1930 წელს ბოტანიკის კათედრასთან ყალიბდება მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კაბინეტი. 1938 წელს ფიზიოლოგიის კათედრა კვლავ აღდგა, როგორც ბიოლოგიის ფაკულტეტის დამოუკიდებელი საორგანიზაციო ერთეული.

მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომლებმა შექმნეს და თარგმნეს სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის. 1932 წელს ქართულ ენაზე გამოდის ნ. მაქსიმოვის

**20-30-იანი წლებიდან ბოტანიკის კათედრა
გახდა ბოტანიკური ქაფჩაგის ალზაგის
ძირითადი სხეულები. კათედრაზე ქართული
ბოტანიკური ტარმინოლოგიის შექმნა
შეასაბამებოდა უნივერსიტეტის
სატარმინოლოგიო კოეისიის
მოთხოვნებს, რომელსაც პროფ.
ი. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.**

„მცენარეთა ფიზიოლოგიის მოკლე კურსი“. ამ წიგნის ახალი გამოცემა ითარგმნა და ხელახლა გამოიცა 1948 წელს. 1935—36 წწ. იბეჭდება ქ. ცხაკაიასა და ნ. ანელის მიერ შედგენილი „მცენარეთა ანატომიის“ I და II ნაკვეთი. შეიქმნა მანქანაზე ნაბეჭდი ქ. ცხაკაიას, ქ. ბეჟაიასა და ნ. ანელის მიერ შედგენილი „მცენარეთა ფიზიოლოგიის პრაქტიკუმის მოკლე კურსი“, 1957 წელს ქვეყნდება ქ. ცხაკაიას და ე. მირიანაშვილის სახელმძღვანელო „მცენარეთა ანატომია“. ამ ნაშრომისათვის ავტორები დაჯილდოვდნენ თსუ პრემიით.

კათედრა წლების მანძილზე აწარმოებდა სამეცნიერო კვლევებს კულტურულ მცენარეთა (ხორბალი, სიმინდი, ლობიო, სოია, ჩაი და სხვა) ანატომიურ-ფიზიოლოგიური დახასიათების ირგვლივ. შესწავლილ იქნა ნახშირწყლების, აზოტოვან ნივთიერებათა და მიკროელემენტების ცვლა ამ მცენარეებში, აგრეთვე, ხორბლისა და შვრიის ჰიბრიდის ტრიტიკალეს პროდუქტიული პროცესებისა და ადაპტაციის მექანიზმების თავისებურებანი.

ბოტანიკის კათედრა

ბოტანიკის კათედრა ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტთან (პირველი გამგე პროფ. ს. ნავაშინი) და მას 1922 წლიდან გარდაცვალებამდე (1932 წ.) უძღვებოდა **ზაქარია ყანჩაშელი**. ის ასევე გახლდათ ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. მის შემდეგ კათედრის გამგეობა დაევალა ცნობილ ბოტანიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს აკად. ნ. კეცხოველს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე (1982 წლამდე) ხელმძღვანელობდა მას.

1920 წლიდან, კადრების აღზრდასთან ერთად, გამოიკვეთა ბოტანიკის კათედრის პროფილი და მეცნიერული მუშაობის მიმართულებები: საქართველოს მცენარეულობის შესწავლა, ფლორის-

ტულ-სისტემატიკური კვლევები და ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგიისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

ამრიგად, **20-30-იანი წლებიდან ბოტანიკის კათედრა გახდა ბოტანიკური კადრების აღზრდის ძირითადი ცენტრი. კათედრაზე ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგიის შექმნა შეესაბამებოდა უნივერსიტეტის სატერმინოლოგიო კომისიის მოთხოვნებს, რომელსაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.**

კათედრაზე საფუძველი ჩაეყარა თბილისის მიდამოების ფლორის შესწავლას ქართველი ბოტანიკოსის, პროფესორ **ალექსანდრე მაყაშვილის** ხელმძღვანელობით.

ალექსანდრე მაყაშვილი დაიბადა 1896 წელს სოფელ კონდოლში, ახლანდელ თელავის მუნიციპალიტეტში. დაამთავრა თბილისის მე-2 გიმნაზია (1915), სწავლობდა როსტოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე (1916—1918), დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი (1925). სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის (შემდგომში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) ზოგადი მინათმოქმედების კათედრაზე, შემდეგ მუშაობდა უნივერსიტეტის ბოტანიკურ კათედრაზე (1933—1952). იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბოტანიკური კათედრის (1953—1962) და ამავე დროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის კავკასიის ფლორის განყოფილების გამგე (1935—1955).

მაყაშვილი იკვლევდა საქართველოს ველურ და კულტურულ ფლორას, მდელოებსა და საძოვრებს და მათი გაუმჯობესების საკითხებს („საქართველოს სარეველა მცენარეების სარკვევი“, 1934; „თბილისის მიდამოების ფლორა“, ტ. 1-2, 1935 და სხვ.); ავტორია სახელმძღვანელოებისა და სამეცნი-

ერო-პოპულარული წიგნებისა („ზოგადი მინათმოქმედების კურსი“, 1932; „ჩვენი ტყისა და მინდვრის ყვავილები“, 1957; „ჩვენი ხეები და ბუჩქები“, 1960 და სხვ.). მაყაშვილი იყო „საქართველოს ფლორის“ გამოცემის ერთ-ერთი (ტ. 1-2, 1941) თანაავტორი და თანარედაქტორი. შეადგინა „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია“ (მემცენარეობა, 1938) და „ბოტანიკური ლექსიკონი“ (I გამოცემა 1949წ., II — 1961წ.), რომელშიც შეკრებილია ველურ და კულტურულ მცენარეთა ხალხური სახელწოდებები და დადგენილია მათი მეცნიერული ნომენკლატურა.

1933 წლიდან, უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, კათედრაზე შემოღებულ იქნა ბოტანიკური დარგების დიფერენცირებული სწავლება საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. წლების მანძილზე ჩატარებული ექსპედიციების შედეგად კათედრაზე დაგროვდა მდიდარი ჰერბარიუმი. მას დაემატა კავკასიის ფლორის მკვლევრების: ა. რეგელის, ბ. ბროსჰიმის, ზ. ყანჩაშელის, ნ. კეცხოველის, ალ. მაყაშვილის, მ. სახოკიას, აგრეთვე, თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის მდიდარი ჰერბარიუმი და კათედრასთან ჩამოყალიბდა მცენარეთა კოლექციების საცავი-მუზეუმი (ჰერბარიუმი), რომელსაც მიეცა საერთაშორისო ინდექსი (TG).

კათედრაზე საფუძველი ჩაეყარა ფლორის კარიოლოგიურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ, აგრონომიულ კვლევებს. მუშავდებოდა იშვიათი, ენდემური და რელიქტური სახეობების მეცნიერული დაცვის საფუძვლები. იქმნებოდა აღნიშნული სახეობების გეოგრაფიული გავრცელების ნერტილოვანი რუკები.

ბიოლოგიის ფაკულტეტი

ბიოლოგიის ფაკულტეტი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ჩამოყალიბდა 1934 წელს, როდესაც საბუნებისმეტყველო ფაკულ-

ტეტი გაიყო სამ დამოუკიდებელ — ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტად შემდეგი განყოფილებებით: ბოტანიკის, ზოოლოგიისა და ფიზიოლოგიის. მისი პირველი დეკანი იყო დოცენტი **ნიკო კეცხოველი**.

ნიკო კეცხოველი გახლდათ ქართველი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოსი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი. იგი დაიბადა გორის რაიონის სოფელ ტყვიავში. 1916 წელს დაამთავრა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყო ბოტანიკის კათედრის პრეპარატორი, ამავე კათედრის პედაგოგი. 1933 წლიდან გარდაცვალებამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა კათედრას. 1945—52 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო 1963 წლიდან გარდაცვალებამდე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ნიკო კეცხოველის სამეცნიერო შრომები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემატურ გამოკვლევას, მისი აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. ავტორია მრავალი ლიტერატურული ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობისა. **1974—79 წლებში ორჯერ მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.**

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გენეტიკის პათეძრა

გენეტიკის კათედრა ჩამოყალიბდა 1936 წელს ბიოლოგია-გე-



ნიკო კეცხოველი

ნეტიკის კათედრის სახელწოდებით (პირველი გამგე კ. ანდრიაძე). 1936 წლის სექტემბრიდან 1975 წლამდე კათედრას ხელმძღვანელობდა პროფესორი **გიორგი პაპალაშვილი**.

ქართველი გენეტიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1972) გიორგი მიხეილის ძე პაპალაშვილი სოფელი ტიბაანში 1908 წელს დაიბადა (ახლანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტი).

პირველდანიყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. 1928 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ზოოტექნიკურ განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის მეცხოველეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

გიორგი პაპალაშვილი აღიარებულია, როგორც გენეტიკის ფუძემდებელი საქართველოში. მისი საქმიანობა მოიცავდა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უმაღ-

ლეს სასწავლებელს. გიორგი პაპალაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, სადაც წლების მანძილზე ეკავა სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილის თანამდებობა, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობდა მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც ის ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას გენეტიკაში, ზოგად ბიოლოგიაში, მეცხოველეობასა და სხვა დისციპლინებში. მისი ავტორობით გამოცემულია სახელმძღვანელოები გენეტიკასა და ზოგად ბიოლოგიაში ქართულ და რუსულ ენებზე. გიორგი პაპალაშვილის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა გენეტიკოსთა ახალ თაობას.

გიორგი პაპალაშვილის სამეცნიერო კვლევები მოიცავდა გენეტიკის სხვადასხვა მიმართულებას. თავისი სამეცნიერო პრაქტიკის დასაწყისშივე მან ჩაატარა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა რადიაციული გენეტიკის სფეროში, რომლის შედეგებიც აისახა მოგვიანებით მის მიერ გამოცემულ და საერთაშორისოდ აღიარებულ მონოგრაფიაში. ასევე მისი სამეცნიერო კვლევების სფეროს წარმოადგენდა მეაბრეშუმეობისა და მეცხოველეობის სფეროები. **ალსანიშნავია გიორგი პაპალაშვილის მიღწევები მრავალტაროიანი სიმინდის ახალი ჯიშის გამოგონებაში, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში და ფართოდ იქნა დამკვიდრებული სოფლის მეურნეობაში.**

მომზადდა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო კრებულის მიხედვით, თბ., 1998 წ.

ივანე ჯავახიშვილი

ბრძოლა საქართველოს განმათავსებელსა და დაბრუნებულს შორის

საქართველოს ეკონომიური აღმოგზავლება XV საუკუნეში

თემურლენგთან უთანასწორო ხანგრძლივსა და გამანადგურებელს ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა იმდენად აოხრდა და ეკონომიურად დაზარალდა, ხალხი იმდენი დაიხოცა, რომ მხოლოდ საგანგებოდ ხელშემწყობი პირობების წყალობით, თანაც დიდი დროის განმავლობაში შეეძლო ქართველ ერს იმ საშინელი მდგომარეობისათვის დაეღწია თავი, რომელშიც ის ჩავარდა. წლობის განმავლობაში მიმდინარე ომმა, მეტადრე თემურლენგისაგან ბრძოლის წარმოების წესად ეკონომიური ომის გამოყენებამ საქართველოს ქონებრივი კეთილდღეობის თვით საფუძველიც კი მოუსპო. რაღა აღადგენდა გაკაფულ ბალ-ვენახებს და მტრის ხელით განადგურებულს სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებს... რამდენი დრო და რამდენი ძალა, მუშა-ხელი იყო ამისათვის საჭირო. ბრძოლის დროს განყვეტილი და ომის მსხვერპლად ქცეული მოსახლეობა კი იმდენად შეთხელდა და შემცირდა, რომ არამცთუ გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა ძნელი იყო, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელიც კი შეიქმნა, არამედ გადარჩენილ დაბა-სოფლებშიც კი გაპარტახებული მიწების წინანდებურად დასამუშავებლად აღარც მუშა-ხელი იყო და აღარც სხვაფრივ შესწევდათ ძალ-ღონე. XVI საუკუნის საბუთებიდანაც კი ჩანს, რომ ბარად ქვეყანა სანახევროდ, ზოგან ნახევარზე მეტადაც კი აოხრებულ-გაპარტახებული ყოფილა.

ქვეყნის აოხრებულობა და სასოფლო მეურნეობის დაქვეითება

ცხადია, რომ XIV საუკუნეში თემურლენგის შემოსევისა და ველურობის მთელი ეს შედეგი ამაზე უფრო მეტი საშინელებით წარმოუდგებოდა ადამიანს და გავერანებული ადგილების რაოდენობა ზემოაღნიშნულზე უფრო დიდი იქნებოდა. ამიტომაც არის, რომ XV საუკუნითგან ქართულ ძეგლებში ასე ხშირად შეხვდება მკითხველი წინათ ასეთს იშვიათსა,

ანდა სრულებით უცნობსაც კი ტერმინებს, როგორიც ნაფუზარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქევი, ნავენახევი, პარდახტი და სხვაც ამის მსგავსია.

რა თქმა უნდა, ყველა ამის გამო საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა უნდა ძალზე გაუარესებულიყო, მეტადრე სასოფლო მეურნეობის დაკნინებისა და დაქვეითების შედეგად. დასავლეთ საქართველოშიც კი, რომელიც მტრის შემოსევისაგან, აღმოსავლეთთან შედარებით, ნაკლებ დაზარალდა, კულტურული დაქვეითება ცხადად საგრძნობი გახდა. მაგ., ამ მიზეზის გამო XV საუკუნეში მევენახეობა-მელვინეობა იმდენად გაუარესდა, რომ

სამეგრელოში ადგილობრივ ღვინოსაც კი ხეირიანს ველარ აყენებდნენ და იქაური ღვინო ტრაპიზონიდან შემოტანილსაც კი ჩამოუვარდებოდა ღირსებით.

ამგვარადვე წინათ უძველეს დროიდან თავისი სელის ქსოვილებით, ტილოთი განთქმული კოლხეთი, ეხლა ამ დარგშიც დაქვეითებული იყო: ქსოვილები აქ დაბალხარისხოვანილა იშოვებოდა. ამიტომაც აქაური ტილოებიც უცხოეთში უკვე გაცილებით ნაკლებ გაჰქონდათ.

თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო მეურნეობა და მრეწველობა ასე დაქვეითებული არ იყო, მაგრამ აქაც ინტენსიური მეურნეობის წარმოებისთვის ხალხს ძალა აღარ შესწევდა და სასოფლო მეურნეობის დარგიდან სხვებზე ნაკლებ უფრო ადვილად გასაძლოი მესაქონლეობის დარგი იყო დაზარალებულ-ჩამორჩენილი.

საქართველოს კულტურული დაქვეითება

ხანგრძლივმა ომმა და მტრის მტარვალობამ მოსახლეობის გაბოროტებასა და გაავებას, მის გონებრივ-ზნეობრივ დაქვეითებასაც შეუწყო ხელი, რათგან, მშვიდობიანი ნაყოფიერი მუშაობის მაგიერ, ადამიანი მაშინ უნებლიედ უნდა იარაღის გამუდმებით ტრიალსა და სისხლის ღვრას მისჩვეოდა. ომის საშინელება და ქვეყნის მწარე სინამდვილე

აიძულებდა, ველურებას შეჰგუებოდა და, წინანდელი კულტურული ყოფა-ცხოვრების მაგიერ, გამოქვაბულებსა და სახიზნარებში ყოფნას შეჰრიგებოდა. სწავლისა და განათლებისათვის, მწერლობისა და ხელოვნებისათვის ასეთს პირობებში ვის შეეძლო მოეცალა, ანდა ვის ექნებოდა ამისათვის გული და ხალისი.

ალექსანდრე დიდი მოღვაწეობისა და განახლების შეჩერება შინაური ბრძოლის გამოწვევების გამო

ალექსანდრე დიდი, როგორც ვიცით, განადგურებული საქართველოს აღორძინებისათვის თავგამოდებით იბრძოდა და ჩვენი სამშობლოს წინაშე მას ამ მხრივ დაუფინყარი ღვაწლი მიუძღვის. საფიქრებელი იყო, რომ თანდათანობით საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ XV ს. უკვე ორმოციან-ორმოცდაათიან წლებიდან მოყოლებული შინაურობაში მეფე-მთავართა შორის ამცყდარმა ბრძოლამ არამცთუ საქართველოს გამოკეთება შეაჩერა, არამედ თანდათანობით მას პოლიტიკური მთლიანობაც კი მოუსპო და სამ სამეფოდა და სამთავროებად აქცია. საქართველოსთვის გარეშე მტერს იმდენი არ დაუკლია, რამდენი ვნებაც მთავრებისა და დიდგვარიან აზნაურების თავგასულობამ, უგუნურმა ქცევამ და



ქვეყნისა და ხალხის ღალატმა მიაყენა. ყოველი დიდი თემის მმართველი გამთავრების დაუშრეტელი პატივმოყვარეობის სენითა და ბორცნეულობით (მანიით) აღმოჩნდა შეპყრობილი. თითოეულს მათგანს საქართველოში გაბატონების იმედი ჰქონდა და დაუცხრომელი წადილი უღვიოდა გულში.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის მოსპობის პირობიური შედეგი

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდილობდა, თავისი კარი საქართველოს სამეფო კარის მსგავ-

სად მოეწყო: სათანადო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული ბრწყინვალება მოეპოვა. ამრიგად, წინანდელი გაერთიანებული სრულიადი საქართველოს ერთი სახელმწიფო დარბაზის და სამეფო სასახლის და დარბაზის კარსა მყოფი მოხელეების განსაზღვრული რიცხვის მაგიერ, ეხლა ქართველ ხალხს სამი სამეფო და ამდენივე კარ-დარბაზი მრავალრიცხოვან მოხელეებითურთ უნდა შეენახა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა.

საქართველოს გაღარიბება

ეკონომიურად განადგურებისა და მოსახლეობის ძალზე შემცირების გამო, საქართველო ქონებრივადც გაღარიბდა. ეს გაღარიბების პროცესი მეთხუთმეტე საუკუნეში ამცყდარი შინაური ბრძოლისა და პოლიტიკური მთლიანობის დაშლის შედეგად უფრო გაძლიერდა. რამდენიმე ათეული წლების მანძილზეც კი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ, თუ გიორგი მეფე, ალექსანდრეს ძე, მართო თავის ასულს, რომელიც ბიზანტიის კეისარს უნდა მისთხოვე-

განკერძოება-გაბატონების გზაზე დამდგარი ყოველი მთავარი ცდილობდა, თავისი კარი საქართველოს სამეფო კარის მსგავსად მოეწყო: სათანადო მოხელეები გაეჩინა და გარეგნული ბრწყინვალება მოეპოვა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა მას მთავრებისა და დიდებულ აზნაურების ქვეყნის დამღუპველი ეს პოლიტიკა.

ბოდა, ყოველწლიურად 3.000 ოქროს ფულის ძლევას ჰპირდებოდა, ბაგრატ VI-ის დროს მთელ სამეფო ხაზინასაც 16.000 დუკატის გამოლება უკვე ეძნელებოდა.

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის დარღვევასა და სამ სამეფოსა და სამთავროების შექმნის შედეგად ხარჯები გადიდდა. სამ სამეფოდ და სამთავროებად დაყოფილსა და ქცეულს საქართველოს მესვეურთ ხარჯები თავიანთი სასახლე დარბაზებისა და კარის მოხელეთა შესანახავად არამცთუ არ შეჰმცირებიათ, არამედ უფრო მოემატათ კიდევ.

მოსახლეობის სოციალური განვითარების პროცესი

ამავე ხანში დიდგვარიან აზნაურთა სოციალურს მდგომარეობაში, მათ წიაღშიც თანდათანობით დიდი ცვლილება მოხდა. აზნაურთა წოდება ამ ხანაში უმაღლეს წოდებრივ ფენას აღარ წარმოადგენდა, არამედ უკვე დიდებული ჩანან. ისინი დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების უფროს შტოს ეკუთვნოდნენ, „დიდგვართ თავადნი“ იყვნენ. მათი უფროსობა მარტო ხსენებაზე კი აღარ იყო დამოკიდებული, არამედ დიდს მოხელეობაზე, დიდებულიებაზედაც. როდესაც ამ დიდგვარიან აზნაურთა საგვარეულოების თავადთა თავიანთი აღზევების მემკვიდრეობით კუთვნილებად გადაქცევა შესძლეს, ამ

დროითგან მოყოლებული თავადობა უკვე წოდებრიობად იქცა და თავადობამ აზნაურთა წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა. ამრიგად, ტერმინი თავადი მოსახლეობის სოციალური განშრეების უმაღლესი წოდების წარმომადგენელის სახელად და ტერმინად გახდა. აზნაურთა წოდების წიაღიდან თავადობის წარმოშობის პროცესი XV საუკუნეში მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ XVI საუკუნეში დამთავრდა.

უამოსავლის გაღიფების ორგანიზაცია უმაღლესობა

ცხადია, რომ ამ ახალ სოციალურ ფენასაც და აზნაურთა წოდებასაც, ისევე, როგორც მეფეთავე, თავიანთი ძალზე შეთხელებული სახსრების გადიდებაზე უნდა ეზრუნათ იმიტომ, რომ ახალ-აღზევებულ უფლებრივსა და სოციალურ მდგომარეობასაც მეტი ქონებრივი დონის ძიება სჭირდებოდა. მაშინდელ ვითარებაში მმართველსა და ზემდგომ წრეებს ამ მიზნის მისაღწევად უპირველესად მშრომელი, გადასახადების გამომღები მოსახლეობის გამოყენების აზრი და წადილი გაუჩნდათ.

სამეფო-სამთავროებისა და კერძო მესაკუთრეთა შეთხელებული ქონებრივი ავლა-დიდების გაძლიერება ან მეურნეობის გაინტენსივებით შეიძლებოდა, ანდა გადასახადების გადიდებით. ორი-

ვე ამ პირობის შესრულება უფლებრივი იძულების გარეშე შეუძლებელი იყო, რათგან, ცხადია, თვითონაც, გაჭირვებული მშრომელი ხალხი ზედმეტ ტვირთს ნებაყოფლობით არ იკისრებდა. მეურნეობის გაინტენსივებისათვის მშვიდობიანი სამოქალაქო ყოფაცხოვრების პირობები და მოსახლეობის გამრავლება იყო საჭირო, რაც ამ ხანაში არც არსებობდა და არც იყო შესაძლებელი, ამიტომაც მეორე საშუალება იქმნა გამოყენებული.

მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება

იძულებითი უფლების გასაძლიერებლად სოციალური ურთიერთობის შეცვლა იყო აუცილებელი საჭირო. ამიტომაც სოციალურს ურთიერთობაში XV საუკუნის განმავლობაში საქართველოში, წინანდელთან შედარებით, ახალი მოვლენა ჩნდება. მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული XVI საუკუნემდე საქართველოში პატრონყმობა გვხვდება მხოლოდ: სოციალური ურთიერთობის ამ მოვლენის ერთს წარმომადგენელს პატრონი ეწოდებოდა, მეორეს — ყმა. ხოლო ბატონის სახელი მთელი იმ ხუთი საუკუნის განმავლობაში წერილობითს ძეგლებში არსად გვხვდება. ბატონი მხოლოდ XVI საუკუნიდან ჩნდება. ამიტომაც ამ წინა საუკუნეების განმავლობაში ბატონყმობის სახელიც არ მოგვეპოვება და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბატონყმობაზე დამყარებული ურთიერთობა მაშინ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული.

პატრონყმობის გვერდით პატრონყმობის გაჩენა და გაბატონება

სოციალური მოვლენა მხოლოდ მაშინ იპყრობს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას, როდესაც ხშირ და ზოგად მოვლენა იქცევა

როდესაც ამ დიდგვარიან აზნაურთა
საგვარეულოების თავადთა თავიანთი აღზევების
მემკვიდრეობით კუთვნილებად გადაქცევა
შეძლეს, ამ დროითგან მოყოლებული თავადობა
უკვე წოდებრიობად იქცა და თავადობამ აზნაურთა
წოდებაზე უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა.
ამრიგად, ტერმინი თავადი მოსახლეობის
სოციალური განვითარების უმაღლესი წოდების
წარმომადგენელის სახელად და ტერმინად გახდა.

ხოლმე. ასეთი პროცესი არც უეცრად ჩნდება და არც სწრაფად ჩამოინაკვთება ხოლმე: ჩანასახი ხანიდან მოყოლებული საბოლოო ჩამოყალიბებამდე, ჩვეულებრივ, დროის გარკვეული მანძილი სჭირდება. ასევე იყო ბატონყმობის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესიც.

პატრონყმობის ურთიერთობას უკვე XIV ს. ისეთი ცვლილება დაეტყო, რომ მის აღსანიშნავად ხალხის მეტყველებას ახალი სახელის აუცილებლობა აგრძნობინა: წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავება მაინც იყო საჭირო, რომ ძველი და ახალის ერთმანეთისაგან განჩივება შესაძლებელი გამხდარიყო.

XIV ს. მეორე ნახევრის ქართულს ძეგლებში პატრონის მაგიერ და მის გვერდით ბატონი ჩნდება, ახალი ფორმა, რომელსაც, წინანდელ ფორმასთან შედარებით, შუაში რ თანხმომავნი აქვს გამქრალი. ამ ოდინდელი ფორმის მეორე ხმოვან-შენაცვლებული ნაშთი მეგრულს პატენისა, პატინსა და პატნის სახით დღევანდლამდის აქვს შენარჩუნებული.

პატრონისაგან განსხვავებული ახალი სოციალური მოვლენის გამოსახატავად ქართული ენა მართო ზემომოყვანილი ბგერითი ცვლილებით არ დაკმაყოფილებულა, არამედ მეორენაირი ბგერითი სახესხვაობაც გაჩნდა, რომელმაც გაიმაპრჯვა და ახალი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელ საბოლოო ტერმინად იქცა.

პატრონისაგან ბგერითი ცვლილებით წარმომდგარი მეორე ფორმა პირველი თანხმომავნის გამჟღერებით დაიწყო და ამ გზით პატრონის გვერდით ბატონი გაჩნდა. XV ს. მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი უკვე ჩვეულებრივია.

„პატრონის“ გამჟღერებული ფორმის ბატონისაგან იმავე ბგერითი ცვლილებით რ-ს გაქრობით, რომელმაც XIV ს. პატრონი პატონად აქცია, ახალი სოციალური მოვლენის გამომხატველი ტერმინი ბატონიც შეიქმნა, რომე-

ლიც XVI ს. ძეგლებში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულია. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ფორმა ბატონი XV საუკუნის მეორე ნახევარშია გაჩენილი.

რამდენადაც ტერმინ ბატონის ძველ ქართულ საბუთებში საბოლოოდ დამკვიდრება და მეტყველებაშიც ჩვეულებრივ სიტყვად ქცევა XVI ს. მოვლენას წარმოადგენს, ბატონყმობის გვერდით, ბატონყმობის ტერმინის გაჩენით გამომჟღავნებული ახალი სოციალური ურთიერთობის რაობის განსაზღვრა XVI ს. ისტორიას ეხება და იქ უნდა იყოს ამაზე საუბარი; აქ კი უნდა ზოგადად აღინიშნოს ის ძირითადი საფუძველი, რომელმაც პატრონყმობისგან წარმოშვა („ბატონყმობა“).

ბატონყმობის წარმოშობი საფუძველი

ამ ორი სოციალური ურთიერთობის გამომხატველი ტერმინის პატრონყმობისა და ბატონყმობის ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ ურთიერთობაში მომხდარი ცვლილების უმთავრესი წარმომადგენელი ამ ურთიერთობის პირველი მონაწილე პატრონი უნდა ყოფილიყო: წინანდელი პატრონი ყმას პატრონად კი აღარ მოეწონა, არამედ ბატონად. ხოლო, რაკი პატრონი ძირითადად მზრუნველისა და მხოლოდ შემდეგში მესაკუთრის აღმნიშვნელი იყო და ასეთივე მნიშვნელობა ამ ტერმინს შემდეგშიც შეჰქრა, ბატონი კი უმთავრესად მზრუნველობის ცნების გამომხატველად იქცა, ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ პატრონყმობისაგან წარმომდგარი ბატონყმობა სწორედ პატრონისაგან ყმის უფლების შეზღუდვითა და მასზე მზრუნველობის უფლების ხელში ჩაგდებათ წარმოიშვა. XIV ს. სოციალურს ვითარებაში მომხდარმა ცვლილებამ, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, გლეხთა და ყმების უფლებრივი მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ეს პროცესი XV ს. არც შეჩერებულა და არც შენე-

ლებულა, არამედ თანდათან უფრო გამწვავდა და ბოლოს ბატონყმობით დამთავრდა.

ბაღასახალ- ბამოსალუბების გაღილება და მურომელი ხალხის და ყმათა მიიმა პატრონობი მდგომარეობა

ყმების მართო უფლების შეზღუდვა ვერც სამეფო სამთავროებისა და ვერც კერძო მესაკუთრე „ბატრონების“ ქონებრივ მდგომარეობას, რასაკვირველია, ვერ გააუმჯობესებდა: შემოსავალს საგრძნობლად მაინც ვერ გაუდიდება. ამიტომ მეტი შემოსავლის მისაღებად რაიმე სხვა საშუალება იყო საჭირო. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებად ან ახალი გადასახადების შემოღება, ანდა ძველის გადიდება იყო და არის ხოლმე მიღებული. ქართულ საფინანსო პოლიტიკის იმდროინდელს არც მესვეურებსა და არც ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებს ამ ორი გზით დასახული მიზნის მიღწევა არ უცდიათ, არამედ სულ სხვა გამოუნახავთ: ამის მაგიერ მათ საზომ-საწყაოები გაუდიდებიათ. რაკი სულადი გადასახადები, მარცვლეულისა და ღვინის მოსავალზე, კაბინითა (=კოდს) და კოკით იყო განსაზღვრული, თუნდაც რომ გადასახადების ნორმები პურისა, ქრთილისა და ქერის ისევე როგორც ღვინის გამოსაღებზე ძველებურად უცვლელი დარჩენილიყო, რაკი საზომ-საწყაო გადიდებული იყო, გადასახადები სამეფო და სამთავრო სალორებსაცა და ყმათა მფლობელ კერძო მემამულეებსაც, ცხადია, წინანდელზე მეტი შეუვიდოდათ.

ამნაირი ოსტატურად მოფიქრებული საშუალებით ახალი საზომები გაჩნდა XV საუკუნეში. ძეგლებშიც ძველ საზომ-საწყაოთა გარდა, ახლებიც არის მოხსენებული. თავდაპირველს საზომებს საბუთებში ერთი მხრით პირველი

საწყაო, ანუ საზომი ეწოდებოდა, ანდა მეორე მხრით ცოტა (ე.ი. პატარა) საწყაო; ახალ საზომ-საწყაოებს კი დიდი ლიტრა, კოკა და კაბინი (=კოდს) ერქვა. საზომ-საწყაოების გადიდება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ მეფეთავერებსა და მებატონეებს ერთბაშად გაეზღაწათ, არამედ, ცხოვრების გაძვირებასა და ფასების ზრდასთან დაკავშირებით, საზომებიც თანდათანობით დიდდებოდა. ამასთანავე საწყაოებისა და საწონის ყველა საზომების გადიდება არც იყო საჭირო: საკმარისი იქნებოდა, თუ მათი ძირითადი ერთეული გადიდდებოდა, რაკი კაბინისა და კოკის სიდიდე მათი ლიტრიანობის რაოდენობით იყო ხოლმე განსაზღვრული, ლიტრის გადიდება თავისდათავად კაბინსაცა და კოკასაც გაადიდებდა, ასეც მოქცეულან.

საზომების გადიდება უკვე XII-XIII ს.-შივე დაუწყიათ, მაგრამ შემდეგში, რაც უფრო მეტად და სწრაფად უარესდებოდა ეკონომიური მდგომარეობა, საზომების შეუჩერებელ გადიდებას მიჰყვებოდა, XVI ს. დამდეგისათვის კი ლიტრა, ამ საზომის თავდაპირველ ოდენობასთან შედარებით, უკვე ექვსჯერ იყო გადიდებული. მამასადამე, მშრომელ ხალხსაც ამ დროს სულადი გადასახადები წინანდელთან შედარებით ექვსჯერ უფრო მეტი უნდა გადაეხადა. მართო ეს გარემოებაც საკმარისია, სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად მძიმე იყო ის ტვირთი, რომელიც მაშინ ყმებსა და მიწის დამმუშავებელ მოსახლეობას ჰქონდათ

საზიდი, და რა საშინელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ისინი ამის გამო ჩაცვივნულნი.

რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაუწევლივ, ყმები თავიანთ ასეთს დატვირთულობას ვერ შეურიგდებოდნენ და ბრძოლაც, უეჭველია, იქნებოდა, მაგრამ, იმდროინდელი გადარჩენილი ძეგლების სიმცირის გამო, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მაინც ზოგიერთი მაშინდელი საბუთებიდანაც ჩანს, რომ მომავალში საზომების მებატონეთაგან თვითნებურად გადიდების საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყმებს მათთვის წერილობითი ვალდებულება ჩამოუერთმევიათ საზომების გამოუცვლელობისა და გაუდიდებლობის შესახებ. ეს მაინც, უეჭველია, ამ ნიადაგზე ამტყდარი უკმაყოფილებისა და წინააღმდეგობის ანარეკლია.

საქართველოს ეკონომიური დაქვეითება: ფულის გაპრცელებისა და ალბ-მიცაპობის შეშინება

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გამო, ცხადია, რომ მაშინდელს საქართველოში მოსახლეობის ქონებრივ-კულტურულ დაქვეითებასთან დაკავშირებით მისი ნაყოფიერებაც და მყიდველობითი ძალაც საგრძნობლად შემცირებულიყო. ამის გამო, რასაკვირველია, ალბმიცემობაც უნდა დაქვეითებული ყოფილიყო. საგარეო ვაჭრობა, როგორც მოსალ-

ოდნელიც იყო, ძალზე დაკნინდა. როცა აოხრებულ-დაზარალებულ ქვეყანას თავისთვისაც კი ყველაფერი სამყოფი აღარ ჰქონდა და კულტურაც დაქვეითებული იყო, უცხოეთში გასატანს ბევრსა და კარგს ვერაფერსა დაამზადებდა. შინაგანი ალბმიცემობაც სახარბილოს ცოტასლა შეიცავდა.

მართალია, რომორც უპანასკნელი ათეულის წლების მონაპოვარ განაქვამა ცხადყო, ფულის მოჭრა საქართველოში, იმდროინდელი საშინელი ეკონომიური ვითარებისა და მიუხედავად, თურმე მაინც მთელი XV ს. განმავლობაში არ შეჩერებულა. ეს გარემოება მაინც ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რათგან საქართველოს დაქვეითებული სახელმწიფოებრივობისა და ქართველი ხალხის მაინც ეკონომიური ბრძოლის უნარსა და კულტურულ ცხოვრების მონაპოვართა შენარჩუნების ნებისყოფას ცხადად ამჟღავნებს. მაგრამ მაშინდელი საბუთებიდან ჩანს, რომ ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა, თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარავების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ თემებში კი ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უნარმოებიან. ამასთანავე XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაა არის. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისთვის დამახასიათებელია.

კონსტანტინეპოლის ოსმალთა-

ლითონის ფული უმთავრესად ბარად და ქალაქებსა, თუ სხვა სავაჭრო ცენტრებსა და შარავების მახლობლად მდებარე ადგილებში ყოფილა გავრცელებული; სხვა მოშორებულ თემებში კი ფული იშვიათი იყო და იქ ვაჭრობა სულადობაზე, გაცვლა-გამოცვლის წესით უნარმოებიან. ამასთანავე XV ს. მოჭრილი ვერცხლის ფული მეტად მდარე ღირსებისა და მცირე ზომისაა არის. მისი ეს თვისებებიც მაშინდელი საქართველოს გაღარიბება-დაქვეითებისთვის დამახასიათებელია.

გან დაპყრობამ და დასავლეთის ზღვის სავაჭრო გზის შეკვრამ ევროპასთან აღმოსავლეთის ვაჭრობისა და მიმოსვლების გზების და ცენტრების შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროების ნავთსადგურებში გადატანამაც ხომ საქართველოს ისედაც სავალალო მდგომარეობა საბედისწერო გახადა...

საქართველოს კულტურული დაქვეითების ნიშნები

პოლიტიკურად დანაწილებული და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული, ორს ძლიერს, მტრულად განწყობილ, მაჰმადიან სახელმწიფოს შუა მომწყვდეული საქართველო დამაღონებელს სანახაობას წარმოადგენდა: ქვეყნის მესვეურთ თითქოს გონიერება დაკარგეს და თავიანთ ქვეყნისა და პირადს კეთილდღეობასაც თავიანთივე მოქმედებით აცლიდნენ ნიადაგს.

ადამიანის ეგოისტურმა გრძნობამა და მხოლოდ პირად გადარჩენა-კეთილდღეობაზე ზრუნვამ სძლია და თემობრივმა განკერძოებამაც სახელმწიფოებრივისა და ეროვნული მთლიანობის შეგნებას აჯობა.

მაშინდელი საქართველოს კულტურული დაქვეითების მთელი სიღრმე იმაშიც ნათლად მოჩანს, რომ XV საუკუნისა და უფრო ადრინდელი ხელნაწერების ანდერძებსა და მინაწერებში წერისაცა და მართლწერის დიდი უფიცობაა საგრძნობი: ზოგიერთს მაშინდელს უცხოეთში გამგზავრებულს პირსაც კი თავისი სახელისა და გვარის სწორად დაწერაც კი აღარ შესძლებია. რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქართველი მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი, არამედ უფრო ის გარემოება, რომ, ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად, ქართველი ხალხი არ დაიღუ-

პა და მაშინაც ცდილობდნენ დამტყდარი უბედურებისათვის თავი დაეღწიათ, რომ ქართული ხელოვნების ზოგიერთ დარგებში მაშინაც ყოფილან კიდეც ისეთი წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთი მაღალხარისხოვანი შემოქმედების ნიმუშები დაგვიტოვეს. ამის დასარწმუნებლად თუნდაც ულუმბოს ეკლესიის სარწმუნოებრივი და საერო შინაარსის იმდროინდელი კედლის მხატვრობისა და ალექსანდრე I დიდის ბრძანებით გაკეთებული ნაჭედი სურათებით შემკული დიდი ოქროს ჯვარის დასახელებაც კმარა, რომელნიც მათ შემქმნელ ხელოვანთა იშვიათ ნიჭსა და თავისი დარგის მაღალ ცოდნას უცვილობლად ცხადყოფს.

საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობა უსხო ქვეყნებში

იგივე უნდა ითქვას საქართველოს იმდროინდელს საგარეო მდგომარეობაზე. ყველა იმის შემდგომ, რაც საქართველოს გარეშე და შინაური მტრებისაგან XIII საუკუნიდან მოყოლებული გამოვლილი ჰქონდა, მისი სამხედრო ძლიერების შესუსტება და სახელმწიფოებრივობის დაკნინება ბუნებრივს შედეგს წარმოადგენს და ესეც, რასაკვირველია, განმაცვიფრებელი არ არის. პირიქით, გასაკვირველია, რომ ასე დაქუცმაცებულ-დაკნინებულმა საქართველომ შეინარჩუნა მაინც საერთაშორისო დამოკიდებულებაში ზოგი ის უპირატესობანი, რომელნიც მას წინა საუკუნეებში და ხანაში ჰქონდა მოპოვებული, თუ აღდგენილი დასავლეთ ევროპის იმდროინდელი მოგზაურების თხზულებებში. ქართველთა მაშინდელი მდგომარეობა უცხო ქვეყნებში კარგად არის აღბეჭდილი და იქითგან ირკვევა, რომ ამ ხანაშიცა და ისეთ შორეულ ქვეყნებშიც, როგორც საქართველოსთვის ეგვიპტე და პალესტინა იყო, ქართველებს პატივისცე-

მით ეპყრობოდნენ და ყველა ის უპირატესობანი, რომელნიც კი მათ წინათ ჰქონდათ, შეუნარჩუნებიათ. ბართლომე დე სალიანი-აგო მოგვითხრობს: იერუსალიმში სალოცავად მისვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გამლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სხვებივით სულტანს ამისათვის დაწესებულს გადასახადს არ აძლევენო. სალიანიაგო ამასთანავე უმატებს, რომ ეგვიპტისა და ოსმალეთის სულტნებს ქართველებისა ემინიათო.

დაცულია იმდროინდელი არაბული საბუთიც, რომლითაც ეგვიპტის მამლუკებს განკარგულება ჰქონდათ გაცემული და ქართველთა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის უზრუნველსაყოფად საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცავებს ალაბშივე (ალექსოში) დაჰხვედროდა, იქიდან იერუსალიმამდის მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავთსადგურამდე გამოჰყოლოდა. XV ს. მეორე, უკვე სომხური ცნობაც მოგვეპოვება, რომელშიც ქართველთა პოლიტიკური გავლენის მთელი ძალა, აგრეთვე, ნათლად მოჩანს. რათქმა უნდა, ყველა ესეც უმთავრესად წარსული საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრიობის ანარეკლს წარმოადგენდა. თავის ადგილას, **გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა და წინანდელი უპირატესობანიც სწორედ მან აღადგინა. სახელმწიფოებრივი კლირების კველი მარაგის მდიდარმა მამკვიდრეობამა და ქართველი ხალხის განთქმულმა მამაცობამ საქართველოს პოლიტიკური დაკნინების ხანაშიც მას საერთაშორისო ურთიერთობაში წინანდელი ადგილი და პატივისცემა შეუნარჩუნა.**

თედო სახოკია

სამურზაყანო

ტოპონიმი „სამურზაყანო“ ისტორიულ წყაროებში პირველად ნიკოლოზ დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“ ჩნდება. სამურზაყანო ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში; როგორც პოლიტიკური ერთეული, ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას. 1705 წელს მემკვიდრეობით მიიღო მურზაყან შარვაშიძემ, რომლის სახელისგანაც მთელი მხარის სახელია მიღებული.

„თავისებურია სამურზაყანოს სოფელი. ძირეული განსხვავებაა აქაურსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს, როცა ქართლის, ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ, სამურზაყანოში, მთელი ორი საათია საჭირო, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვევი კაცი, თუ აქ ჩავარდა, ვეღარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე გარტყიათ.“

აქა-იქ, ოაზისებვით, ტყე გაკაფულია და სიმინდის ყანაში ყავრული სახურავი მოსჩანს სამურზაყანოელის სახლისა. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ღობე ჰყოფდეს. უმეტესობა მათგანი კილომეტრსა და მეტსაც ჰშორავს ერთი-მეორესა. ცხრა მთას იქით, და რომელსამე სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდეს, სანამ მეზობელი მოეშველებოდეს, აქაური მოსახლე ძირიან-ბუდიანად გადიბუგება და ჭერი არ დარჩება თავშესაფარებელი. ახლა წარმოდგინეთ ოთხას-ხუთასი კომლი, ხუთი ოთხკუთხი კილომეტრის სივრცე ადგილზე დაბინავებული, და ეს იქნება აქაური სოფელი“ — ასე აღწერს თედო სახოკია სამურზაყანოს სოფელს თავის „მოგზაურობანში“, ნიგნში, რომელშიც ცნობილი ეთნოგრაფი მკითხველს საქართველოს კუთხეებში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს. ადგილობრივი მოსახ-

ლეობის სიდუხჭირის მიღმა და-ნახული ადამიანური ღირსება, უანგარობა, ტრადიციების პატივისცემა მოგზაურის სევდანარევე აღფრთოვანებას იწვევს, რადგან ერთ დღეს გაყიდვა და ფულად ქცევა რომ მოუწოდებოდა მისმა მასპინძელმა გუძამ მთელ მორთულობას მისი ფაცხისას, მთელს ტუალეტს ამ ფაცხის წევრებისას, სულ ბევრი, ხუთი მანეთის პატრონი თუ გახდება.

სამურზაყანოს სოფელი

თითოეულ მოსახლეს უფრო ხშირად თხემლის წკნელის ღობით და, თუ შეძლებული თავად იმყოფებოდა, მუხის მესერიტ შემოკავებული აქვს 3-6 დღიური მიწა. შუაში უდგას ნაბლის, წიფლის ან თხემლის ფიცრისაგან გაკეთებული ორ-სამ თვალიანი ოდა; იმას მოდგმული აქვს სამზარეულო, ცოტა მოშორებით ფიცრული ხულაა, ხულას გვერდით სასიმინდე დგას, რომელსაც ქვეშ ფიცრის კედლები აქვს, საქონლის დასაბმელად მომართული.

ამ შენობებს ერთი დღიური მიწა, თუ არა მეტი, უჭირავს. სახლის წინ ეზო ჭიშკრამდე თავისუფლად არის გაშვებული, ქორფა ბალახს ხშირად ზედ დაჰყურებს ასწლოვანი კაკლის ხე, და მისი განზე გასული ტოტების ხშირ ჩრდილს თავს აფარებენ სიცხეში აქაური მამა სახლისა და მისი სტუმრები. ზოგან, კაკლის ხის გარდა, ნახავთ რომელსამე

ხეხილს. სხვა ხეებში თხმელა სჭარბობს აქაურების ეზოში. ყველას სათითაოდ მირგული აქვს ვაზი. იქ, სადაც ხეები იშვიათია, ეზოში შუაგულ ალაგას ნახავთ ტოტებიან სარს, მიწაში ჩარჭობილს. ამ სარის დანიშნულება ის არის, რომ ზედ მიაბამენ ხოლმე სტუმრის ცხენებსა, დანარჩენ ადგილზე სიმინდის ყანა ბიბინებს.

სასახლედ შემოღობილ ადგილს გარეშე, გარდა მდ. ოქუმწყალისა და ოხოჯეს პირას მდებარე ნაყოფიერი ჭალებისა, ბევრია აქ შეუმუშავებლად გაშვებული მიწა. უმეტესობა ამ მიწებისა დაფარულია ან ნარ-ეკალათი და სხვა გამოუსადეგარი ბუჩქებითა, ან არა და გვიმრათი, რომელიც აქ, ნოყიერ ნიადაგის წყალობით, საოცარი სიმაღლისა იზრდება. ზოგან მხარ-ნახევარი სიმაღლე აქვს აქაურ გვიმრას. შიგ თავისუფლად დამალვა შეუძლია, როგორც ადამიანს, ისე საქონელს.

საბალახო ადგილები აქ ცოტაა. და სადაც კია, საქონელი ზამთარზაფხულ ზედ ასევია. ბალახს ამოტუსუსებასაც კი არ აცლის აქაური ოთხფეხი, — მაშინვე ძირიანად ჰგლეჯავს მიწიდან. გარეთ, თავისუფალ ადგილზე, ბალახს რომ ვერ შოულობს საქონელი, ღობეებსა სტეხავს და ყანას ეტანება. ხოლო აქაური ღობე არც ისე მკვიდრია, რომ შიმშილისაგან გაალმასებული საქონელი დაიჭიროს და გლეხის ნაოფლარი არ მოახოვინოს. კიდევ ამიტომ არის აქეთკენ ასე ხშირი სიმინდობის დროს გლეხებს შორის დავა და ჩხუბი. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აქაურნი საქონელს უღელს დაადგამენ ხოლმე კისერზე. ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ უღლიანი ხარი, ძროხა, ღორი, და წარმოდგინეთ, ძაღლიც კი! ძაღლებიც კი აფუჭებენ სიმინდის ყანებსა. სასაცილო სა-ნახავია ასეთი ძაღლი, რომელიც

ერთი მხარის სიგრძე მსხვილ ჯოხსა მიათრევს და იმის სიმძიმისაგან კისერი საცოდავად მოღრეცია...

საკვირველია, სხვა არა იყოსრა, რომ ასეთ მდიდარს ბუნებაში საქონელს საკვები აკლდეს! კიდევც ამიტომ, რომ აქაური საქონელი ასეთი დაკნინებული ჯიშისაა, რომ აქაური ძროხა ასე ცოტა რძეს იძლევა, რომ აქაურ ღანღალა-გადაღლეულ მუშა-საქონელს ძალა ვერ შესწევს, ხანგრძლივი მუშაობა აიტანოს. მძიმე ტვირთს მოერიოს სხვაგნებურ დარჩეულის ჯიშის და უკეთესად მოვლილ საქონელივით.

სკოლას აქაურ სოფელში იშვიათად შეხვდებით. მთელ სამურზაყანოში სულ ათგან თუ არის სამრევლო სკოლა, რომლებიც, უდღეურივით, ძლივს მიათრევენ თავის გაჯახირებულს არსებობას.

ეკლესიები აქ უმეტესად ქვით-კირისაა. თეთრად გასპეტაკებული კედლები აგურის ეკლესიებისა დიდ მანძილზე მოსჩანს. წინ ეკლესიას უდგას ასწლოვანი ცაცხვები, რომლის ძირს ნაწირვებს სოფელნი თავს იყრიან და თავის ჭირ-ვარამზე ბჭობენ. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ ერთ გარემოებას. ეკლესიის გალავანში საფლავის ბეჭობები ძალიან ცოტაა, ჰკვირვობთ, ნუ თუ ასე ცოტანი იმარხებიან აქ მკვიდრებით! მაგრამ რომ გასცდებით ეკლესიასა, გზის იქით-აქეთ, გამოჩინებულ ადგილას ტყე გაკაფულია, ოთხ-კუთხად რიკულია შემოვლებული რამდენსამე ალაგას და იქავ ლამაზად აღმოცენებულია ფართო ფოთლიანი ჭადრები ან სურნელოვან ყვავილიანი ცაცხვები.

ეს აქაურების მიცვალებულთა განსასვენებელი ადგილებია. ასეთი სასაფლაოები მთელი გზის გაყოლებაზეა. ყოველს სასაფლაოზე ორი-სამი მიცვალებული ასაფლავია — თითოეული ოჯახის წევრები. აქაურები თავისი მიცვალებულების ეკლესიაში დასაფლავებას იმდენად არ ეტანებიან. ურჩევნიათ, მათი მკვდრე-

ბის ძვლები მათი სახლის ახლოს ესვენოს, რომ ხშირად შეეძლოთ დახედვა და „ჭირისუფლობა“, რომ არ დაავიწყდეთ...

გზები აქაური? მარტო სამურზაყანოელის საიდუმლოს შეადგენს, თუ როგორ უნდა იაროს აქაურს, ეგრეთ წოდებულ გზებზე ადამიანმა და თაუვისავე მსგავს ადამიანთან კავშირი და მისვლა-მოსვლა იქონიოს. არცერთ გზას არც ერთ ალაგას არ ეტყობა ადამიანის ხელი. სამი კაცის ცნობისმოყვარეობას დიდძალ მასალას აძლევს ეს გზა. შენს თავს ეკითხები: ურმით სიარულს აქაური გლეხი როგორ ახერხებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცა პირს მოიხსნის და ქვეყანას, სადაც ეს გლეხი ცხოვრობს, ერთ გაუვალ ლაფად აქცევს ხოლმე. შენს თავსვე ეკითხები: როგორღა ახერხებს აქაური გლეხი ცხოვრებას იქ, სადაც მთელი ნახევარი წელიწადი ალაფებულ სოფლებში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია და სადაც სხვა უმაგისო შიმშილით მოჰკვდებოდა?! ამ კითხვის ახსნა სამურზაყანოელის იმ თვისებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მარტო იმისთვის არის ნიშანდობლივი და რომელიც მას მის მსგავს ადამიანში ასე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არჩევს. ეს თვისება გახლავთ: შეფარდება თვისი ცხოვრების მოთხოვნილებისა ადგილობრივ პირობებთან და ამ მოთხოვნილების ჩამოყვანა მინიმუმამდე...

ცხადია, აქაურ კაცს უგზოობა წელში წყვეტს, მის ეკონომიურ ყოფას მიწასთან ასწორებს. იმას ნუ ბრძანებთ, აქაურ გლეხს არ ესმოდეს, რომ კარგი გზა ერთბაშად წამოაყენებს ფეხზე მის ნივთიერ დავრდომილებასა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, წელი არ მოსდევს იმისთვის იზრუნოს, მეორე, თაოსნობასაც მოკლებულია. სიღარიბეც არაფერია, ოღონდ შეინძრნენ ისინი, ვისაც მათს საკეთილდღეოდ ზრუნვა აქვს მინდობილი, — მთელი სოფელი ჯარასავით დატრიალდება. ხოლო სანამ თავის პატრონისაგან აქაური მეურნე რასმე ხეირს

ელისებოდეს, მის, ყველაფრის ამტან ზურგს, კიდევ ცხრა-პირი ტყავი ასძვრება...

„სამურზაყანოელი გლეხი შინ“

სალამო ჟამდებოდა. მე და ჩემი მეგობარი ერთ ზემოაღწერილი სოფლის ბოლოს გავედით. იძულებული ვიყავ, მოგზაურობა შემეწყვიტა და აქაური გლეხის სახლში შემეხედნა და პირისპირ შემეხედროდა „სამურზაყანოელი გლეხი შინ“.

საცალფეხო ბილიკი უფრო ვინროვდებოდა და უვალი ხდებოდა. ცხენები მარქაფად მოგვდევენ უკან. გზის იქით-აქეთ ტყეა. ადამიანის ხმა არ ისმის. აქა-იქ მოსხლეტილ გორაკებზე სიმინდის ყანები მოწმობდა, რომ ადამიანი ახლოს უნდა ყოფილიყო. გარშემო გამეფებულ მყუდროებას ჩვენი ცხენების ნალები-ლა არღვევდა და შინისაკენ მომავალი საქონლის ბლავილი. მოულოდნელად წინ შემოგვეფეთა თორმეტ-ცამეტი წლის ბაღლი, დაღეული, ფეხშიშველა, სახეგაცრეცილი. ადგილობრივ მოქსოვილი შალისაგან შეკერილ ღართის ნაწილები ბაიარალივით დაჰფრიალებდა მის გამხდარს სხეულს. ჩვენს დანახვაზე შეკრთა. უეჭველია, სერთუკოსნებს აქ არ მოელოდა. დაველაპარაკეთ, მაგრამ ის კიდევ გარინდებული იდგა; ვერ გამოერკვა. ბოლოს, ძლივს მოგვცა პასუხი. ჩვენი მომავალი მასპინძლის შვილი გამოდგა. რომ გაიგო ჩვენი განზრახვა, „ახლავე ბაბას (მამას) შევატყობინებო“, შურდულივით აიჭრა აღმართში და მალე თვალთაგან მიგვეფარა.

ერთი უკანასკნელად კიდევ დავატანეთ ძალა ჩვენს დაზანტებულ და აღმართში სიარულს გადაჩვეულ ფეხებსა და საუტხოვო ბუხნოს მოვექეციით. წინ გადაგვეშალა დასურათხატებული ვაკე სამურზაყანო — აფხაზეთისა, იმის იქით — ლაჟვარდი ზღვა, რომელზედაც დიდფრთებიან ფრინველებივით აფრავაშლილი ნავები მისრიალებდნენ. სანამ კაკლის

ძირას შევისვენებდით, ჩემი მეგობრის „მოკეთებაც“ მოატანა.

ჩემი მასივნიკი ბუბა

ჩვეულებრივი „გამარჯობა-გამარჯობა“ შემდეგ ჩვენმა მეგობარმა „რეკომენდაცია“ გამიწია თავის მოკეთე გუძასთან: მთაზე უნდა ავიდეს და შენ გზა უნდა უჩვენო.

გუძამ ერთი კი ეჭვის თვალთა ამათვალერა და უთხრა ჩემს მეგობარს: — მთაზე რა უნდა ასეთ „ჩინონიკ“ კაცს?

მაგრამ თვითონვე დაატანა: — ალბათ „ჰავისათვის“ (ჰაერის გამოსაცვლელად) მიდისო.

— სწორად გამოიცანია!.. — ვუპასუხე გუძას. — ამაღამ კი შენი სტუმარი ვიქნები-მეთქი.

მეგობარი გამოგვეთხოვა. ხოლო გუძამ წინდანი ბოდიში მოითხოვა, შენ რომ გეკადრება, ისეთ პატივს ვერა გცემო, მაგრამ რაკი მობრძანდით, ჩემი სიღარიბეცა ნახეთო. და გუძა თავის ფაცხისკენ გამიძღვა.

წარმოდგინეთ ოთხი დღიური სამოსახლო მიწა შუაგულ ტყეში, სოფელს ორ კილომეტრზე დაშორებული. ადგილი მთა-გორიანია, გარშემო, როგორცა ვთქვით, უღრანი ტყე აკრავს. თვით ეზოს შემოვლებული აქვს მეტად სუსტი ღობე, ერთი ალაბის სიმაღლე. ორი წილი მაინც ამ ღობისა ბუნებრივია, — ნარეკალა, მაყვალი, ყველა ერთად იფარავს გლეხის მიდამოს. ერთს ალაგას ჭიშკარია, მეტად თავისებური მოწყობილობისა. იქით-აქეთ, ერთმანეთზე ორი მხარის დაშორებით ორი წყვილი ლატანია დარჭობილი, ერთი მხარის სიმაღლე. თითოეული წყვილი ლატანებისა უგრეხელათია გადაბმული ისე, რომ ყოველ ნახევარ ალაბზე შიგა-და-შიგ ცარიელი ალაგი რჩება. ამნაირადვეა გადაბმული მეორე წყვილი. მერე ლატანების ცარიელ ადგილებში გაყრილია, ურდულების მსგავსად, თითქმის იმავე სიმსხოს ოთხი თუ ხუთი ლატანი. როცა ეზოში შესვლა გინდათ, ლატა-

ნები სათითაოდ უნდა გამოაძროთ სულ უკანასკნელამდე.

ჭიშკრიდან, ან, როგორც აქ ეძახიან, „ოლაგედან“ ფაცხამე საცალფეხო ბილიკი მიუდის ასი მხარის მანძილზე. ურემი ამ ეზოში ვერ შევა, რადგან ხრამებსა და ოღრო-ჩოღროსლა წარმოადგენს ჩვენი გუძას ეზო. არც საჭიროა გუძასათვის ურემი. გულითაც რომ უნდოდეს, ამ კლდე-ღრეში ურემი გამოუსადეგარია. ცხადია, ხარების სამუშაოს გუძას მძლეთა-მძლე მხარი ასრულებს. ტყე იქავე, ცხვირ-წინა აქვს და შემა ზურგით გამოაქვს. სიმინდიც იქ უთესია და, როცა ყანას აიღებს, თავისივე ხელით თხილის ტკეცისაგან მოწულ კალათით სიმინდს ეზოს შუა ალაგას ოთხ ბოძზე შეყენებულ წკნელის სასიმინდეში შეჭყრის, რომელზედაც ტკვა (საცალფეხო კიბე) აქვს მიდგმული ასასვლელად. ჩალასაც ურემი არა სჭირია, — რომ მოსჭრის, კონებად შეჭკრავს და ეზოშივე ხეზე დაჰკიდებს ზამთრისათვის. ხე-ტყეს, როგორცა ვთქვით, ტყიდან არ ეზიდება გუძა და სხვა მეტი არაფრისათვის უნდა ურემი. შიგ ჩაჯდომა და იმით სიარული, თავის ქართლ-კახელ მოძმესავით, გუძამ არ იცის. რომ გაუცხადოთ, რომ საქართველოში არის ისეთი კუთხე, სადაც ურემში სხდებიანო, თქვენი ნათქვამი სიცილადაც არ ეყოფა. თუ გაუჭირდა და ცხენი ვერსად იშოვა, რამდენსაც გნებავთ, იმდენ მანძილს ფეხით გაივლის და ურემში მაინც არ ჩაჯდება, — ქვეყნის სირცხვილს არა სჭამს და ისეთ საქმეს არ იზამს, რაც მის მამა-პაპას არ ჩაუდენია.

ჩვენს გუძას ეზოში, ანუ, უკეთ, ყანაში, ხეები ობლადა დგას. ამაოდ ეძებთ აქ კარგ საყვარელივით ხეებზე გადახვეულ ვაზებს. ღვინო არ მოუდის გუძას და ისიც სტოიკურად ითმენს უღვინობასა. წელიწადი ისე გაივლის, საზედაშე ღვინო არ გაჩნდება მის ფაცხაში. ღვინოს ბადლად გუძას წყარო აქვს მთისა, ანკარა და ყინულისვით ცივი.

ქოხის გვერდით გამართულ

ბოსტანში გუძას ცოლის მიერ გულმოდგინედ გახელილს მწვანის მშვენივრად ამოუყვია თავი თხის ნაკელით გაპატივებულ ნიდადაგიდან. აქა ნახავთ: ცოტა პრასას, ცოტა ოხრახუმს, რეჰანს, წინაკას, წითელ მხალსა; ამათს გვერდით ორმოციოდე ძირი თუთუნიცა სთესია, საკუთრად გუძას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ბოსტნის გვერდით ხუთიოდ სკადგას ფუტკრისა. ამ ძვირფას მწერთაგან გაკეთებული თაფლი წლითი-წლობამდე ჰოფნის გუძას წვრილფეხობასა გამწარებულის პირის ჩასატკბარუნებლად. იმათი ნაშრომით სანთელს ჩამოჰქნის ხოლმე გუძა. ხანდახან, როცა სტუმარი მოუვა, ამავე სანთლით უკუნით მოცულ ფაცხას სინათლის მკრთალ სხივს მოჰფენს ხოლმე... ისიც კარგია იმისათვის.

ფაცხა ორი აქვს გუძას. ერთსა თვითონ შეჰფარებია თვისი ცოლშვილით, მეორეში საქონელი უბია — ზამთარში. ორივე წკნელისაგან არის მოწული. ზევიდან გვიმრა ჰხურავს, მთელ ფაცხას მარტო ერთგანა აქვს ლურსმანი: ამ ერთად-ერთი ლურსმნით გარედან კარის დასაკეტი ხის კოჭია დაჭედილი კარის ჩარჩოზე. სიდიდე ფაცხისა 12 კუბიკურ მხარს უდრის, ესე იგი 3 მხარი სიგრძე აქვს, 2 — განი და 2 მხარიც — სიმაღლე. კარი ორი აქვს: ერთი წინიდან და ერთიც იმის პირდაპირ — უკანიდან. სარკმელს გუძას ფაცხა მოკლებულია. ხოლო როგორც ჰაერი, ისე სინათლე კედლებში უხვად დატოვებულ ჭუჭრუტანებიდან შემოდის. მხოლოდ ზამთარში კედლები გარედან გვიმრით გაიბურება, რომ, ცოტათიც არის, სიცივეს წინააღმდეგობა გაუწიოს და შიგ არ შემოუშვას. **ზამთარში ამ გვიმრით გაბურულ ფაცხას ცეცხლი ძალიან ადვილად იმსხვერპლებს ხოლმე. კიდევ ამიტომ არის, რომ გლეხი რამდენჯერმე იკეთებს ასეთ ფაცხებსა. ისიც კია, რომ შრომა მის აშენებას დიდი არ უნდა: ორი მარჯვე კაცი სამი დღის განმავლობაში მასალასაც მოამზადებს**

ფაცხისათვის და ააშენებს კიდე- ცა აქაური გლეხის იაფფასიან თავშესაფარსა.

ჩემს მისვლაზე დიდი ფაცი-ფუ-
ცი შეუდგა ამ პატარა სამეფოს,
სადაც თვითმპყრობელი გუდა
იყო. ჯერ გუდას ვაჟმა შორიდან-
ვე შეატყობინა გუდას ფანიას
(ოჯახს), სტუმარი მოგვყავსო.
ფაცხის კარებში გუდას თანა-
მეცხედრე მომეგება და მოწინე-
ბით თავი დამიკრა. ხელში ახლად
ნამტირალევი ქორფა ბაღლი ეჭი-
რა, — პანანუნა განცვიფრებულ
თვალეზე ცრემლი შეჰყინოდა.
გვერდით უდგნენ დანარჩენი წევ-
რნი ფანიასი: უფროსი ქალი, ტან-
მაღალი, გაცრეცილი, გამხდარი,
თუმცა კი მარილი არ აკლდა მის
ლაზათიან სახესა. ასე 10-11 წლი-
სა თუ იქნებოდა. იმას მოსდევდა,
კრუხის წინილებივით სამი ნაგ-
ლეჯუა ბავშვი, სულ ერთმანეთის
მომდევნო. გარეგნობით ძნელი
გამოსაცნობი იყო, რა სქესს
ეკუთვნოდა ან ერთი ან მეორე —
ყველას ერთნაირი პერანგი ეც-
ვათ, ნარმისა, ნაფლეთებად ქცე-
ული და ძალზე გამავეებული. ამ
პერანგების სახელოებს აკლდა,
განსაკუთრებით, სითეთრე: მიზე-
ზი ამისა ის გახლავთ, რომ პერან-
გის სახელოებს აქ ცხვირსახოცის
მაგივრადაც ხმარობს მისი პატ-
რონი...

ფაცხის შუა ალაგას, კერას თავ-
თით, ერთი დიდი ჯირკვი დევს,
რომელსაც აქ „ბუკი“, ანუ დედა-
შემა ჰქვია. ამ ბუკს მიწყობილი
აქვს წვრილი ფიჩხი, ანთებული.
საკომლე ფაცხას არა აქვს. კვამ-
ლი ფაცხის ხან ერთ კუთხეს ეწყ-
ვეტება და ხან მეორეს და შიგმ-
ყოფთ უსულღმერთოდ სტანჯავს
ხოლმე. დირეები და სახურავის
ქვედა ნაწილი მურისაგან გაშავე-
ბულია. კერას იქით-აქეთ კველე-
ბი დგას. **კველა — საჯდომია ერ-
თნაირი და მარტო აქეთკენ და
სამეგრელოში შეხვდება კაცი.** ეს
თავისებური საჯდომი წარმოად-
გენს ძელს, რომელსაც სიგრძე 1/
2-2 ალაბამდე აქვს, განი — 1/2-
1/4 ალაბი. აკეთებენ პატარებს —
ერთი კაცის საჯდომს, აკეთებენ
დიდებსაც, რომელზედაც მწკრი-

ვად რამდენიმე კაცი ეტევა ერ-
თად. ეს ძელი ქვევიდან გამოთ-
ლილია, იქით-აქეთ თავებში და-
ტოვებული აქვს ბრტყელი ფეხე-
ბი. 1/4 ალაბის ან კიდევ ნაკლების
სიმაღლეზე დგას კველა. ძალიან
მდგნია, ადვილად არა ტყდება,
ხანდახან, თუ მაგარი ხისაც არის,
ორ-სამ მოდგმას მოიჭამს. ეგ
არის, მარტო ფერს იცვლის, —
დროთა ვითარებისა გამო ძალზე
შავდება. გარეცხვას თავის დეში
არ აღირსებენ, რაც უნდა ამაგდა-
რი იყოს აქაური გლეხის კველა.

კერას ორი მხარე აქვს: ერთი სა-
ვაჟკაცო („საქომლო“) და მეორე
— საქალებო („საოსურო“). პირ-
ველ მხარეზე სხდებიან მამათა
სქესის წევრნი აქაური გლეხის
ფანიასი, მეორეზე — ქალები.
სუფრასაც ცალ-ცალკე უსხდები-
ან ქალები და კაცები. ეს წესი სას-
ტიკად არის დაცული სამურზაყა-
ნოელის გლეხის სახლში. კაცობ-
რიობის იმ ეპოქას გვაგონებს ეს
განაწილება ოჯახისა, როდესაც
ქალი უმწვერვალეს ზომამდე
ჰყავდა დამონავებული მამაკაც-
სა და როცა პირველი ვერა ჰბედ-
ავდა თავის „უფროსთან“ — ქმარ-
თან, ერთ სუფრას მოეჯდომოდა.
დასახელებულ „საქალებო“ მხა-
რეზე დიასახლისი (ამ სიტყვას აქ
მნიშვნელობა ეკარგება) ჩამოჯდა
კველაზე და მას მიეჭუჭკა წვრილ-
ფეხობა ფაცხისა. მათს პირდა-
პირ, მეორე მხარეზე სამფეხა და
სამკუთხოვან, გუდას ხელით გა-
ჩორკნილ, დგამზე მე მოვასვენე
სხეული. ბავშვები ამაოდ ცდი-
ლობდნენ დაეფარათ თავიანთი,
ცეცხლისაგან დამწვარ-დაბრა-
ნული წვივები, რომელთაც უსირ-
ცხვილოდ თავი გამოეყოთ მათი
მოკლე და დაგლეჯილ პერანგე-
ბიდან. დედაც, ბოდიშის მოსახდე-
ლად, ტყუილად ეუბნებოდა დაი-
ფარეთო. პირველმა შთაბეჭდი-
ლებამ ყველას გადაუარა, დამშ-
ვიდნენ, — „სტუმარი“ მთელი
ღამე ჩვენთან იქნება და შეგვეძ-
ლება კარგად ვუყუროთო. თორ-
მეტი თვალი ისარივით მე მომაშ-
ტერდა და თავით-ფეხებამდე
მუშტრის თვალთ სინჯვა და-
უნყო ჩემს ტანისამოსსა, ყველას

ეს ერთი კითხვა ეხატებოდა თვა-
ლებში: „ამ კაცს ჩვენთან რა უნ-
დოდო?“ მხოლოდ კვამლი მიხს-
ნიდა ხოლმე მათი ცნობისმოყვა-
რე თვალებისაგან. ქარი დაუბრ-
კოლებლივ ატანდა ფაცხის ნახევ-
რად ფარღალალა კედლებსა,
ჰბორგავდა და გვაშფოთებდა
შიგმდგომთა: კვამლს ხან ჩემკენ
ელალებოდა და ხან ჩემს ახალ
ნაცნობებს აფორიაქებდა.

ფაცხის ორივე მხრივ თითო
წყვილი გაჩორკნილი ფიცარია,
მიჯრით მიწყობილი. თუ გნებავთ,
ტახტი დავარქვათ ამ ფიცრებსა.
აქ კი ტახტის დანიშნულება აქვს.
მათ სიმიშვლეს არა ჰფარავს-რა,
— ადგილობრივი მონწილეობი ქი-
ლობი რა არის, იმასაც კი მოკლე-
ბულია გუდას განსასვენებელი.
ერთ ალაგას მჩვარივით რაღაც
მოკუმშული ეგდო. უფროსი ქალი
ადგა და გაასწორა. ეს გაბრტყე-
ლებული, სიფრიფანა, ჯვარიმა-
მის ლავაშივით, მჭვარტლში ამ-
ოვლებული, დაფხრეწილი ლეიბი
იყო. არც ბამბა-გამოყრილი საბა-
ნი იყო უკეთესი ღირსებისა. ერთი
ბალიმიც ეგდო, უფორმო. რო-
გორც ეტყობოდა, ქათმის გაურ-
ჩეველ ბუმბულით უნდა ყოფილი-
ყო სავსე. გაბრტყელებულ მუთა-
ქას სიმიწდის ფუჭეჭი გამოცვე-
ნოდა...

აჰა, მთელი ლოგინი, რომელზე-
დაც გუდა და მისი ცოლ-შვილი,
დღიურ ვარამთან სასონარკვე-
თილ და გამძაფრებულ ბრძოლის
შემდეგ, თავიანთ ცოდვილ ძვლ-
ებს ასვენებენ, რათა, ღონე-მოკ-
რებილთ, მეორე დღეს განაგრძონ
იგივე სასონარკვეთილი ბრძოლა
და სრბოლა ძალღ-უმადური
ცხოვრებისა.

გუდას ფაცხის ერთ კუთხეში
ტახტზე ზანდუკიც იდგა, მჭვარ-
ტლის ფერისა. წინანდელი წითე-
ლი ფერი საღებავისა აქა-იქ კიდევ
შერჩენოდა. ამ ზანდუკში ინახება
გუდას ცოლის განძეულობა: ერთი
სამშაურნიანი თავი ჩითი, ანუ „ცა-
ხოცი“, ორხუთშაურიან ჩითისა-
გან შეკერილი „საგარეო“ კაბა,
ერთი სამაბაზიანი ჩუსტები, ოქუ-
მელ ხარაზის შეკერილი, შაური-
ანი სარკე, წითელ სამოგვე გადაკ-

რული, — ის სარკე, აქაურს ქალებს სადმე დღეობაში ან ოქუმში წასვლის დროს ჯიბით რომ დააქვთ ხოლმე და რომლის შემწეობით, დანიშნულ ადგილამდე მოახლოვებისას, სადმე ბუჩქთან ან წყლისპირას თავის ფიზიონომიას ისწორებენ. ამათს გარდა, ამ გაცრეცილი ზანდუკის რომელიმე მამალულ კუთხეში კიდევ უნდა დებულყო თაფლის სანთლის ნაჭერზე მიკრული ორშაურიანი თეთრი ფული, გუძას სახლის ერთ-ერთი ნევრის ავადმყოფობის დროს ილორის წმ. გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული, ორი ან სამი აბაზი, ათას ალაგას გამოკრულ-გამონასკვილი, — „შავი დღისათვის“ გამოზოგვილი.

ჩემს მახსოვრობას ძალას ვატანდი, მინდოდა, გამეთვალისწინებინა ამნაირივე ზანდუკი ჩემი ძიძისა, ამნაირივე სიდიდისა, ამნაირადვე დამჭვარტლული, ამნაირადვე, მუთაქის მაგვარად კუთხეში მიდგმული, ის ზანდუკი, რომელიც, ჩემს პატარაობაში, არა ერთხელ გადამიქოთებია — რა არის, ორიოდ ჩურჩხელა ამოვაცოცო და სადმე ხის ძირას შევექცე-მეთქი; ჰო, მინდოდა მომეგონებინა, კიდევ, ზევით ჩამოთვლილის გარდა, რა უნდა დებულიყო ამ ნაცნობ ზანდუკში...

პატარა, ძუძუმწოვარა ბავშვმა, არა ერთხელ დანყებულები და შეწყვეტილი ტირილი კვლავ განაგრძო: მეძინებო. დედამ ძუძუ ჩასწარა პირში, რძეს თან ჩააყოლა ბავშვმა თავისი ცრემლები და, ბოლოს, ზედ ძუძუზე მიეძინა. დედამ აიყვანა, აკვანში ჩაანვინა და, უფროსი ქალის დახმარებით, არტახები შემოაკრა. აქაური აკვანი ძალზე ვიწროა, განი მტკაველ-ნახევარი თუ ექნება, მაღალია და დანჯღრეული, ეტყობა ამ აკვანში გაზრდილა მამა სახლისა, ხუთი მისი შვილი და, ვინ იცის, კიდევ რამდენი გაიზრდება ამ აკვანში!

ძუძუმწოვარამ დაიძინა. ცოტა იმაზე უფროსი ტახტზე აგოგდა და ისიც ძილმა გულზე მიიხუტა. დიასახლისმა, რაკი თავისუფლება იგრძნო, ვახშმის თადარიგს შე-

უდგა. მიუჯდა ფქვილით სავსე ტომარას (საკი), წინ დაიდგა ბარქაში (სარდა) და ფქვილის ცრა დაინყო. ხოლო მისმა ტასიამ თუჯის ქვაბს დაავლო ხელი, სადილობისაგან ზედ შერჩენილი ღომის ქერქი დაჩლუნგებულის უტარო დანით მოაცილა და კუთხეში დაყუჩებულ წინილებიან კრუხს დაუყარა. დანმენდილი და გარეცხილი ხელიანი ქვაბი პირამდე წყლით მოჰყარა გოგონამა და, დედის დახმარებით, რკინის ნაჭრის მაგიერ ჭერზე დაკიდებულ ხის კავს ჩამოჰკიდა. ცეცხლს შუა შეუკეთეს. დაგუგუნებულმა ცეცხლმა ათ წუთში აადულა წყალი. დიასახლისმა სიმინდის ფქვილით სავსე ბარქაში გვერდით დაიდგა, მერე ადულებულ წყალში მუჭამუჭა ყრა დაუნყო ფქვილს და თან ჩოგნით ურევდა. კავზე დაკიდებული ქვაბი ამასობაში, რა თქმაუნდა, ინძრეოდა, და მისი შენძრევასთან ერთად პანტა-პუნტით ზევიდან ზოლ-ზოლად დადებულ იმჭვარტლი წამოვიდა. მე თვალები ავარიდე ზრდილობის გულისთვის... რომ გასქელდა ღომი, დიასახლისმა ძირს ჩამოიღო ქვაბი, დადგა იქავ, კერის პირას, ჩართზე (ჩართი — მრგვალად, ქვაბის ძირის სიფართოზე, დაგრეხილი ვაზია ან უგრეხელა. ქვაბის ძირი შიგ კალაპოტსავითა დგას, არ ინძრევა და ღომი მოხერხებულად იზელება შიგ.) და სუთით (კირზა) („გარგატსაც“ ეძახიან. გათლილი ჯოხია, მკლავის სიმსხო, ან ნაკლები, ერთის ალაბის სიგრძე.) მაგრად ზელა დაუნყო. ხუთი წუთი ჰზელდა. მერე ისევ კავზე დაჰკიდა ქვაბი.

მე ისევ განვაგრძე ჩემი ექსკურსია თვალებით ფაცხის მიდამოში.

მიმოვავლე თვალი „ბუფეტს“. ერთი თხმელის ფიცარია გათლილი, სიგრძე აქვს 2 ალაბი, განი — 1/2 ალაბი. ეს ფიცარი დგას ოთხს ორ-ნახევარ ალაბიან ფეხზედ, რომლებიც ქვეშ განზე არის განებული, რომ ტაბლა უფრო მაგრად იდგეს. ზედ ალაგია: ბლის ფილი (ქვიჯე) თავისი ქვითა, ბუყუნი (ერთნაირი ხის ჭურჭელი) მანვნის შესანახად, ხუთი ხის ჯამი ადგი-

ლობრივ გაკეთებული, ორი თეფში სინისა, 4 კოვზი ბზისა, ადგილობრივივე გათლილი. ტაბლის ახლოვე კედელზე ეკიდა: ნიგა (სანველელი), მწარე გოგრის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი კვეთარისათვის და ორჩე — ხის ჭურჭელი, რომელშიაც ახლად ამოღებულ ყველსა სდებენ, რომ შრატისაგან დაინრიტოს. ბუფეტის ახლო იდგა ერთი თავმომტვრეული კოკა თიხისა და ერთიც დოქი. ამ ორ ჭურჭლის დასადგმელ ალაგას გაუშრებელი ჭოჭი დგას. გუძას ფაცხაში აღუნუსხველი, გვგონია, არაფერი დაგვრჩება, თუ ყოველივე ზემოდასახელებულს მივუმატებთ „ტაბაკს“ — გრძელს, ოთხფეხიან ფიცარს, რომელზედაც პირდაპირ ღომს დააგებენ და წინ დაიდგამენ ხოლმე სადილ-ვახშმის დროს. განი ტაბაკს 1/2 ალაბი აქვს, მისი სიგრძე კი ფაცხის ნევრთა რიცხვზეა დამოკიდებული. ფეხები ტაბაკისა ორი მტკაველის სიმაღლეა, ასე რომ როცა უსხედხართ, უნდა დაიხართ ხოლმე ღომის ასაღებად. როცა ჭამას გაათავებენ, ტაბაკს აიღებენ. მისი შესანახი ადგილი ფაცხის კედელია, ან შიგნით და ან, უფრო ხშირად, გარეთ, სანვიმურს ქვეშ, და ან კიდევ აივანზე: კედელში ორი ჯოხია გაყრილი, რომლებზედაც პირქვე დაამხოვენ ტაბაკს, და იქა დევს, სანამ ხელმეორედ არ დასჭირდებათ.

აჰა, მთელი ავლადიდება გუძასი. ერთ დღეს გაყიდვა და ფულად ქცევა რომ მოუნდომოს გუძამ მთელ მორთულობას მისი ფაცხისას, მთელს ტუალეტს ამ ფაცხის ნევრებისას, სულ ბევრი, ხუთი მანეთის პატრონი თუ გახდება. თუმცა გუძა თქმით კი იტყვის „ღარიბადა ვარო“, მაგრამ ეს თქმა სიტყვის მასალაა, პირის დასამშვენებელია, ამბობს იმიტომ, რომ სხვა ყველა მისი მსგავსი გლეხები ამას ამბობენ; ხმარობს ამ სიტყვებს იმიტომ, რომ პატარაობითვე ნაკლებულების მეტი არა გამოუცდია-რა და ამ მცნების გამომხატველი სიტყვები სულ პირზე აკერია.

გუძა კმაყოფილიც იქნება ხოლ-

მე, თუ თავის სარჩო სიმინდს მოინეებს; კმაყოფილია, თუ სადღევანდელ ფქვილის ღომი, ნაჭერი ყველი აქვს; უმეტეს კმაყოფილია გუდა, თუ თავის დედიშობილად მორბენალ ბავშვებს თითო ნარმის პერანგი ჩააცვა „სააღდგომოდ“. გუდას სხვა ყველა საჭიროება, სხვა ყველა მოთხოვნილება — ხორციელი თუ სულიერი — ავინყდება, როცა მოაგონდება საბედისწერო „ფოშტის“ (სახელმწიფო გადასახადი) და მამასახლის-მწერლის ფული. ნელინადი-თორმეტი თვე ერთ აზრსა ჰყავს მისი ფიქრი-გონება მიჯაჭვული ამირანივით, შეპყრობილი: დასახელებული გადასახადი როგორ მოვიშორო თავიდანო? ამ გადასახადისათვის-ღა იდგამს გუდა წელებზე ფეხებს. დარწმუნებულია, გლეხი, ჩემსავით შავი დღის დაბადებული გლეხი, ამ გადასახადისათვის არის გაჩენილი. არ არსებობს გუდასათვის ეკლესია; არ დასდევს, მისმა ბავშვმა წიგნი იცის, თუ არა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა ცათაფრენა შეუდგება, როცა ამ გადასახადს მოიშორებს, რომელიც დამოკლესის სატევარივით მის გაშავებულ ქედს დასცქერის საბედისწეროდ. თითქო მძიმე ლოდი გადუგორდა მაშინ გულიდანაო. მაშინ მომავალ წლამდე განცხრომაშია, ნეტარობს: არხეინად ჭამს ფქვილის ღომს გაძლომამდე, საღამოს, მზის ჩასვლისას, იძინებს, მეორე დღეს მზეს ისიც აჰყვება, რათა იმავე ფქვილის ღომით გაძლომისათვისვე იზრუნოს. წლითიწლობამდე ჩაჰკირკიტებს დედამინას მანამდის, სანამ იმავე მინას არ შეუერთდება მისი სხეული. მის ალაგას მისი შვილი ტაგუ ჩადგება, ისიც გუდასავით შეებრძოლება შავს მინასა... და ვინ იცის, სანამ გაგრძელდება ეს პირუტყვი, პირველყოფილი ბრძოლა; ვინ იცის, როდის შეეცვლება ხასიათი და ფერი ამ ძალღ-უმაღურ ბრძოლასა?..

სანამ მე გუდას ავლა-დიდებასა და მისი ცხოვრების განხილვაში ვიყავ, „ვახშამიც“ დამზადდა. ტასიამ ღოქი აიღო და ხელი დამაბანინა. ამ წინასიტყვობის შემდეგ

წინ ტაბაკი დამიდგა. ხოლო დიასახლისმა ჩოგნით (ჩოგანი — ქვაბიდან ღომის ამოსაღები იარაღია. ერთი ალაბი პატარა ფიცარი ნიჩაბივით არის გაკეთებული, მხოლოდ ბოლოზე მომრგვალებულია.) ორი „დაგება“ ღომი ამოიღო ქვაბიდან და ტაბაკზე დამიგო ერთი-მეორეზე. მერე შიგ სულუგუნი ჩამიჭრა და მითხრა: — „მიირთვით, ბატონოვ“. გუდაც, ბოდიშის მოხდით, შორი-ახლო მოუჯდა ჩემს ტაბაკსა. ღვინის მაგივრად სუფრას ანკარა ცივი წყალი გვიმშვენებდა. გუდამ ბოდიში მოიხადა უღვინობისათვის. რა ვქნათ, ბატონო, ღარიბი კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათო!.. ნავახშმევს ტასიამ ისევ დაგვისხა წყალი და ხელი დაგვაბანინა.

ვახშამს აქ მაშინვე ძილი და განსვენება მოსდევს. ილბალი ჩემი, რომ ჩემს ხურჯინში საბანიცა მქონდა და საზამთრო გვაბანაკიცა (გვაბანაკი — პალატო). დიდი სამსახური გამიწია ერთმაცა და მეორემაც. ჩემს თავს „ბარაქალა“ ვუთხარი ასეთ წინდახედულებისათვის. როგორც შემეძლო, მოვანყე ჩემი სარეცელი. თასიამ, აქაური ჩვეულებისამებრ, ფეხთ გამხადა, პატარა ჯირკვი მოიტანა, რათა ზედ ფეხები შემეწყო, ძმამ ცივი წყალი დაუხსა და თვითონ კი ფეხები დამაბანინა. ვერ ვეურჩე ამ ძველს ჩვეულებასა, თუმცა კი ჩემი ფეხებისათვის ტასიას შეწუხება მეტი იყო.

ჩემმა სახელდახელო ლოგინმა აღტაცებაში მომიყვანა. თავთ მედო უნაგირის ბალიში, ქვეშ მემალა საბანი და ზევიდან კიდევ ჩემი საზამთრო გვაბანაკი მეხურა, ფაცხის ერთ მხარეს ტახტი მე დავიჭირე, ხოლო მეორეს — გუდამა და მისმა ფანიამ. დანოლის დროს მარტო ღამის სიბნელე იდგა ჩვენს შორის კედლად...

აი ეს გახლავთ უფერ-უმარილო პროზა გუდასი, ამ ჩვენი ცხოვრების სვე-უბედური გერის ყოფამდგომარეობისა!.. და აი ის „მეგრული“ ფაცხაც, რომელმაც ჩვენს ნიჭიერ მგოსანს გ. ჭალადიდელს თავისი მშვენიერი ლექსი დაანერინა...

განთიადისას ტყე აივსო ჩიტების სტვენითა და ჭიკჭიკ-გალობითა. დაძინებულმა ბუნებამ გამოიღვიძა. გუდას ჯერ ფრთოსანთა და მერე ოთხფეხ ცხოველთა ხმა მისცეს ჩიტების გალობასა. ნელ-ნელა ფაცხის მკვიდრნიც ნამოიშალნენ. საჩქაროზე ხელპირი დავიბანეთ და მე და გუდა მთაში ნასასვლელად მზადებას შევუდექით. გუდამ მშვლის რქაზე დაკიდებული თოფი ჩამოიღო, საპირისნამლე გაუსინჯა და ისევ ირმის ტყავისაგან შეკერილ ბუდეში ჩასდო „უნდა თან წავიღოთ, იქნება, „უნმინდური“ (დათვი) შემოგვხვდეს გზაშიო“. გუდას ცოლმა ქასლაშია ჩამოიღო, მანვინთ გაავსო და გუდას დაჰკიდა, გზაში დაგჭირდებათო. იმ ღამეს ჩემი ცხენი გუდამ, ქურდების შიშით, ფაცხის აივანზე დააბა, და გუდას უფროსი ვაჟი უხვად უყრიდა ახლად გამოჭრილ სიმინდს.

გუდამ შემოიკაზმა ცხენი. ფაცხიდან გასვლის წინათ შევეცადე, სასყიდელი მიმეცა ჩემი მასპინძლისათვის. **პატივისცემისათვის სამაგიეროდ ფულს ვერ შეაძლევთ აქაურ მასპინძელს: არამცთუ არ გამოგართმევთ, შეურაცხყოფადაც მიიღებს თქვენს ქცევას.** მეც, რაკი სხვა გზა არა მქონდა, პატარა ტასიას „სახსოვრად“ ერთი ცხვირსახოცი უფემქაშე, რამაც ცასა სწია გოგონა. დანარჩენ ბავშვებს ორ-ორი ორცხობილა დაფურიგე და ზედნადებად გაზეთის ორიოდ ნომერიც დავეუტოვე. ქალაღი რომ დაინახეს, ერთმანეთს მივარდნენ და თითოეული მათგანი შეეცადა, დაჰპატრონებოდა ამ „ტატას“. მათს ბრძოლაში დედა ჩაერია და ყველა გაათანასწორა: გამოჰგლიჯა გაზეთის ფურცლები და ზანდუკში შეინახა მოწინებით.

თითქოს დიდი ხნის მოკეთე და ნაცნობი ვყოფილიყავ, გულწრფელად გამომეთხოვენ. სინანული გამოაცხადეს, რომ ასე „უცბად დავემორდი“. მათს ლოცვას საზღვარი არა ჰქონდა. „აქეთობას უეჭველად მნახეთ, როგორც კარგმა მოყვარემო“, — მომადახა დიასახლისმა ღობესთან მისულს.

როდის და როგორ გავსვლათ ვაზი?



ვაზის მოვლა-პატრონობიდან გასხვლა თითქმის ყველაზე რთული აგროტექნიკური ღონისძიებაა. მსხველელი თუ კარგად ვერ ერკვევა ამ საკითხში და ვაზი წესიერად ვერ გასხვლა, ყურძნის მოსავლიანობა მცირდება და პროდუქციის ხარისხი უარესდება.

მსხველელმა პირველ რიგში ვაზის გასხვლის დრო უნდა გაარკვიოს. იმ მიკრორაიონში, სადაც გაზაფხულის ყინვები ან ნაყინვებია მოსალოდნელი, ვაზი მოგვიანებით (მცენარეში წვენის მოძრაობის დაწყების წინ) უნდა გავსხვლათ, რადგან ადრე გასხვლულ ვაზთან შედარებით, კვირტები გვიან იშლება და ნაყინვებისგან მათი დაზიანება ნაკლებსაშიშია. ვაზის გასხვლა და საყრდენზე (შპალერზე, ჭიგოზე) მიკვრა აუცილებლად მცენარეში წვენის მოძრაობის დაწყებამდე უნდა დამთავრდეს.

გასხვლის წინ ვაზის ზრდა-განვითარების მიხედვით უნდა დავადგინოთ ვაზზე დასატოვებელი რქებისა და კვირტების რაოდენობა. ზოგიერთი გამოუცდელი მევენახე, სპეციალისტს ან პრაქტიკოსს სთხოვს რჩევას, რამდენი რქა და რამდენი კვირტი დატოვოს თითოეულ ვაზზე. ვაზის უნახავად ასეთ კითხვაზე მევენახეს სწორ, ზუსტ პასუხს ვერავინ ვერ გასცემს. ვაზზე დასატოვებ-

ბელი რქებისა და კვირტების რაოდენობა რომ განსაზღვრო, თვითონ გასასხლავ ვაზს უნდა უყურებდე, მისი ზრდა-განვითარების სიძლიერეს ხედავდე.

წინა წლებში თუ ვაზის ზრდა-განვითარება ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა და გასხვლის დროს რქებს ჯიშისათვის დამახასიათებელი სიმსხო და ფერი აქვს, მაშინ მასზე იმდენივე რქა და კვირტი უნდა დავტოვოთ, რამდენიც წინა წელს იყო დატოვებული. თუ რქების ზრდის სიძლიერე ნორმალურზე მეტია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაზი ნაკლებად დატვირთული ყოფილა და დასატოვებელი კვირტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით სიძლიერის შესაბამისად უნდა გავზარდოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ ვაზის ზრდა-განვითარება სუსტია და რქები ნორმალურზე შესამჩნევად წვრილია, მაშინ წინა წელთან შედარებით ვაზზე ნაკლები რაოდენობის კვირტები უნდა დავტოვოთ.

არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ვა-

ზის წესიერად გასხვლა მხოლოდ თითოეული მცენარის ფაქტიური მდგომარეობის: ზრდა-განვითარების, კვების არის, ჯიშის თავისებურებისა და კულტურის სისტემის (შპალერი, ტალავერი, ჭიგოზე, მიმარხვა, ხეივანი) გათვალისწინებით შეიძლება. ამასთან ერთად, საჭიროდ მიგვაჩნია, საქართველოს პირობებში საკარმიდამო ნაკვეთებზე ვაზის დატვირთვა (დასატოვებელ კვირტთა რაოდენობა) კვების არესა და ვაზის მდგომარეობის მიხედვით, საორიენტაციოდ შემდეგი რაოდენობით განვსაზღვროთ:

ავილოთ სამი შემთხვევა:

პირველი, როდესაც კვების არე 1,5 კვადრატული მეტრია, მეორე — 2 და მესამე — 2,5 კვადრატული მეტრი. როდესაც ვაზი საშუალო განვითარებისაა, პირველ შემთხვევაში თითოეულ ვაზზე ვტოვებთ ერთ სამამულეს 2 კვირტით და 2 სანაყოფეს თითოს 5-6 კვირტით;

მეორე შემთხვევაში — 2 სამამულეს, თითოს ორი კვირტით და 2 სანაყოფეს, თითოს 8-10 კვირტით;

მესამე შემთხვევაში კი — ორ სამამულეს, თითოს 2-3 კვირტით და 2 სანაყოფეს, თითოს 10-14 კვირტით.

თუ ვაზი საშუალოზე სუსტი განვითარებისაა, მაშინ დატვირთვა უნდა შევამციროთ; ხოლო თუ ვაზი ძლიერი ზრდა-განვითარებისაა, მაშინ მისი დატვირთვა უნდა გავზარდოთ, შეიძლება მასზე მესამე სანაყოფე რქაც დავტოვოთ და ის შპალერის მეორე მავთულზე დავაკავოთ.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულია ვაზის კულტურის სისტემა — ტალავერი, რომელიც ყურძნის მოსავლიანობის გადღების თვალსაზრისით დადებით ეფექტურ აგროტექნიკურ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს. ხში-

რად კითხულობენ, ტალავერს უნდა თუ არა ყოველ წელს გასხვლაო. აუცილებლად უნდა, როგორც გასხვლა, ისე ზედმეტი მწვანე ნაწილების შეცლა-გაფურჩქვნა. ტალავერის გასხვლის დაწყებამდე მისი ერთწლიანი რქები კარგად უნდა შევითვალთ-ეროთ და, თუ მათი უმრავლესობის სიმსხო ჯიშისთვის დამახასიათებელ სიმსხოზე შესამჩნევად მეტია, მაშინ ვაზის დატვირთვა წინა წელთან შედარებით უნდა გავადიდოთ მისი ზრდა-განვითარების შესაბამისად, და პირიქით, თუ რქების სიმსხო შესამჩნევად ნაკლებია, მაშინ დატვირთვა უნდა შევამციროთ და სავეგეტაციო პერიოდში (მაის-ივნისში) მივცეთ ორგანულ-მინერალური სასუქების ნარევიტ გამოკვება.

ტალავერი, ძირითადად, ორი

წესით ისხვლება: პირველი — კორდონის წესით, როცა შტამბზე გამოგვყავს მრავალწლიანი მხრები, სასხლავი რგოლებით, და მეორე — როდესაც მუდმივი მხრები არ გამოგვყავს და სანაყოფედ და სამამულედ ყოველ წელს (მხრების გარეშე) ერთწლიან რქებს ვტოვებთ. კორდონის წესით გასხვლის დროს მუდმივი მხრების სიგრძე მოსაზღვრე ვაზებს შორის დატოვებული მანძილის ნახევარს უნდა უდრიდეს ისე, რომ ტალავერზე სანაყოფე რქების გაკერის შემდეგ ისინი ერთიმეორეს უნდა უერთდებოდეს და მთელი ტალავერის ერთ მთლიან ჰორიზონტალურ სიბრტყეს ქმნიდეს. მუდმივ მრავალწლიან მხრებზე კი ტალავერის განის მიხედვით 8-10 სასხლავი რგოლის გამოყვანა შეიძლება. როგორც კორ-



დონის, ისე ჩვეულებრივი წესით სხვლის დროს ერთწლიან სამამულე რქებზე 2-3 და სანაყოფეზე, მათი სიგრძის მიხედვით, 4-8 კვირტს ვტოვებთ. ვაზის გასხვლის დროს არ უნდა დაგვავინდეს მისი მავნებლის — ტკიპების (ვაზის აბლაბუდიანი ტკიპა, კვირტის ტკიპა და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლა. ეს მავნებელი ძალზე საშიშია და მასთან ბრძოლის ყველა საშუალება დროულად და ხარისხიანად უნდა შევასრულოთ.

რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ გაზაფხულზე ბაღებში



ჩვენი რჩევა-დარიგება მებაღეებს, გაზაფხულის პერიოდში ბაღებში თუ რა აგროტექნიკური ღონისძიებანი უნდა გაატარონ, უთუოდ წაადგებათ.

* ხეხილის ბაღში ნიადაგი შემოდგომით, ფოთოლცვენის შემდეგ უნდა მოიხნას ან დაიბაროს, ბარვის სიღრმე ხეხილის ძირების ახლოს 15 სანტიმეტრს არ უნდა

აღემატებოდეს, რათა დაბარვისას მსხვილი ფესვები არ დაზიანდეს, რიგთა შორის კი დაბარვა 20-22 სანტიმეტრ სიღრმეზე წარმოებს.

* დაბარვის წინ ახალგაზრდა ხეხილის ბაღებში სასუქი ძირების ირგვლივ უნდა მოიფანტოს.

* პირველი გაფხვიერება ნიადაგის ზედაპირის გამოშრობისას უნდა ჩატარდეს, შემდეგ კი — საჭიროების მიხედვით;

* მორწყვის ან წვიმის შემდეგ ხეხილის ძირებში დარჩენილი ფართობი თოხით უნდა გაფხვიერდეს.

* იმ ადგილებში, სადაც სარწყავი წყალი არ ჰყოფნით, სასურველია, გამოიყენონ მულჩირება, რომელიც ხელს უწყობს ტენის დაგროვებასა და მის ხანგრძლივად შენარჩუნებას. მულჩად, ძირითადად, შეიძლება გამოყენებული იქნეს თივა, ჩალის ნარჩენები, ნამჯა და სხვ. სამულჩე მასალა გაზაფხულზე, ნიადაგის დამუშავებისთანავე ეფინება, მულჩი დადებითად მოქმედებს, აგრეთვე, გაზაფხულზე დარგული ნერგის გახარებაზე.

* ხეხილის ნამყენის დარგვა უმჯობესია შემოდგომით, როდესაც მცენარე ამთავრებს ზრდას და

გაზაფხულზე, კვირტების დაბერვამდე.

*ნამყენის დარგვისას ორმოში უნდა წაეკვეთოს დაზიანებული და გახლეჩილი ფესვები.

*ნამყენის დარგვისას ნიადაგი კარგად უნდა მოიტკეპნოს, ირგვლივ გაუკეთდეს ჯამები, მოირწყას და აიკრას სარზე.

*თუ ხეხილის ბალის რემონტი შემოდგომით ვერ მოხერხდა, ეს სამუშაო საჭიროა ადრე გაზაფხულზე შევასრულოთ, ვიდრე ხეებში წველის მოძრაობა დაიწყებოდეს.

გაზაფხულის გვიანი ყინვებისგან მცენარის დაცვის ერთ-ერთი პროფილაქტიკური ღონისძიებაა ბაღების ადრე გაზაფხულზე მორწყვა. ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში ხეხილის ბაღში საჭიროა ჩამოცვენილი ფოთლების, დაავადებული ნაყოფების შეგროვება და დანვა.

ხავსმღიერების მოსპობის მიზნით, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, საჭიროა, მცენარეებს შევასხუროთ 5 პროცენტიანი რკინის შაბიამნის ხსნარი ანუ ძალა, მაგრამ ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ფარიანებისა და ცრუფარიანების მოსპობის მიზნით აუცილებელია ხეხილის შესხურება ნავ-



თობის ზეთის ან პრეპარატ №30-ის 4-5 პროცენტიანი ემულსიით. ნავთობის ზეთი უნდა შესხურდეს ზამთარში იმ ვარაუდით, რომ ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსზე დაბალი არ იყოს, ხეების დამუშავება ხდება გაბანვის წესით.

4-პროცენტიანი ნავთობის ზეთის ემულსიის სამუშაო ნაზავის დასამზადებლად ყოველ 96 ლიტრ წყალზე იღებენ 4 კილოგრამ ნავთობის ზეთის ემულსიას, ხოლო პრეპარატ №30-ის შემთხვევაში კი — 5 კილოგრამს. ერთ ჰექტარ-

ზე თესლოვნებისათვის საჭიროა 1500-2000, კურკოვნებისათვის კი 1000-1200 ლიტრი სამუშაო ხსნარი. მინაფრთიანას მოსასპობად ბაღებში აუცილებელია 2 პროცენტიანი კარბოფოსის ემულსიის შესხურება, ისე, რომ შტამბი და დედა ტოტები კარგად დასველდეს. თუ ხეხილის ბაღში ერთდროულად გვხვდება ფარიანები და მინაფრთიანა, მაშინ შესხურება ნავთობის ზეთისა და კარბოფოსის ემულსიების ნარევით ტარდება, ამისათვის ჯერ მზადდება ნავთობის ზეთის სამპროცენტიანი ან პრეპარატ №30-ის 4 პროცენტიანი სამუშაო ემულსია, შემდეგ მას ემატება 2-პროცენტიანი კარბოფოსის კონცენტრატი, რომელიც ცალკე მცირე რაოდენობის წყალში განზავდება. კარბოფოსით ხეხილის შესხურების დროს ჰაერის ტემპერატურა 10 გრადუსზე დაბალი არ უნდა იყოს. კარბოფოსის 2-პროცენტიანი ემულსიის დასამზადებლად ყოველ 98 ლიტრ წყალზე საჭიროა 2 კილოგრამი კარბოფოსი.

ზამთარ-გაზაფხულზე ხეხილის ბაღებში აბრტყენი-კური ღონისძიებების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება ხელს შეუწყობს ნარგავების გაძლიერებას, მავნებლებისა და დაავადებების კერების შემცირებას და მოსავლიანობის გაზრდას.



საადრეო ჩითილი: იაფიზ, ხარისხიანი



ბოსტნეულის საადრეო და ხარისხიანი ჩითილის წარმოება შესაძლებელია პოლიმერული ფირის სათბურებში ხელოვნური გათბობის გარეშე.

ბოსტნეულის ადრეული ჩითილის გამოსაყვანად მოსახერხებელია პოლიმერული ფირის მარტივი კონსტრუქციის სათბურ-კვლების მოწყობა. ამისათვის ქარებისაგან დაცულ სწორზედაპირიან ნაკვეთის მთელ სიგრძეზე, სადაც გრუნტის წყალი არ არის ახლოს, ყოველი ორი მეტრის დაშორებით უნდა გაიჭრას არხი. არხში, უშუალოდ ლაფეტიდან, უნდა ჩაიყაროს წინასწარ შეხურებული ნაკელი და მოსწორდეს არხის პირზე დატკეპნის გარეშე და ზემოდან დაეყაროს 12-12 სანტიმეტრის სისქის გაცრილი მიწა-ნაკელი და მოსწორების შემდეგ პამიდორი დაითესოს. თესვის წინ პოამიდორის თესლის ერთმანეთისაგან განცალკავებისა და კარგად გამოთესვის მიზნით საჭიროა მზეზე გაშრეს. ამასთანავე, თესლს უნდა შეერიოს 3-4-ჯერ მეტი მოცულობის სილა ან გრანულირებული სუპერფოსფატი.

მეცნიერულად და პრაქტიკუ-

ლად დამტკიცდა, რომ სათანადო კვების დაცვით გადაჩითილების გარეშე ჩითილის სამრეწველო საფუძველზე გამოყვანა შეიძლება. ამასთან მიიღება ხარისხიანი ჩითილი და ამავე დროს აღარ არის საჭირო გადაჩითილებისათვის საჭირო ხელით შრომა.

პამიდორის გადაუჩითილებლად თესვის შემთხვევაში მწკრივებს შორის მანძილი 12 სანტიმეტრი უნდა იყოს. ბადრიჯნის და წინაკის თესვა საჭიროა 6 სანტიმეტრიანი მწკრივთაშორისებით.

90 სანტიმეტრი სიგანის ნათეს ზოლზე ყოველი ერთი მეტრის დაშორებით უნდა დაისოს 160 სანტიმეტრის სიგრძისა და 4-6 მილიმეტრის კვეთის მავთულისაგან დამზადებული 90 სანტიმეტრი სიგანის რკალი, ისე, რომ რკალის წვერების ნიადაგში ჩასმის შემდეგ მისი სიმაღლე 35-40 სანტიმეტრი იყოს. რკალებზე საჭიროა გადაეფაროს 160 სანტიმეტრის სიგანის და 60-100 მიკრონის სის-

ქის პოლიეთილენის გამჭვირვალე ფირი, რომლის ნაპირები 15 სანტიმეტრის სიგანე ნიადაგზე უნდა დაეფინოს. ფირის ბოლოები საჭიროა შეიკრას ხეზით, დამაგრდეს პალოზე, რომლებიც ისობა ზოლის ბოლოებში. ასეთი სათბურ-კვლის შედარებით ქარიან მხარეზე დაფენილ ფირის ნაპირებს ეყრება 10-15 სანტიმეტრის სისქის და სიგანის მიწის ფენა. მიწა ასევე ეყრება ფირის ნაპირებს სათბურ-კვლის ბოლოებში. სათბურ-კვლის მეორე მხარეს ფირზე ეწყობა ვენახის შპალერის მწყობრიდან გამოსული ბეტონის ბოძები, რაც საშუალებას იძლევა საჭიროებისამებრ აიხადოს ან დაეფაროს ფირი.

აღმონაცენს მოვლა ისევე ესაჭიროება, როგორც კვალსათბურში, იმ განსხვავებით, რომ დასჭირდება უფრო მეტი განიავება. კვალსათბურისაგან განსხვავებით ფირიან სათბურ-კვალს არ ესაჭიროება გვირგვინი და ჩარჩოები, ნათესის განიავება შეუძლია ერთ ადამიანს. მცენარეები უფრო ნაკლებად იწონება. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება ჩითილის თვითღირებულება. გარდა ამისა, შესაძლებელია ასეთი საჩითილე მეურნეობის ყოველწლიურად ახალ ადგილზე მოწყობა, რაც მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მავნებელ-ავადმყოფების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საშუალო პერიოდის ჩითილის გამოყვანას არ ესაჭიროება ახალი ნაკელი, მისთვის საკმარისია მზისთბიერების ფირის სათბურ-კვლები, მხოლოდ არხისა და ბიოთბიერების ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს კარგად განოყიერებული და დამუშავებული საჩითილე კვლები. ჩითილის გადარგვის შემდეგ ასეთი კვლები უნდა გამოვიყენოთ კიტრისა და მწვანილების მოსაყვანად.

კავკასიური ნაგაზი — პატრონის ერთგული ჟოგაზი

ეზოში ძაღლის ყოლა თუ გადაწყვეტიტე და თანაც კავკასიური ნაგაზის (ცხვრის ძაღლის), ამ საქმის მცოდნეებს მიმართეთ. ჩვენებური, ჩვეულებრივი ცხვრის ძაღლის ლეკვის შეძენა მეცხვარეებთანაცაა შესაძლებელი, თუმცა არის კი კავკასიური ნაგაზი ჩვეულებრივი?

კინოლოგების აზრით, იგი სამსახურებრივი ძაღლების მსოფლიოში ცნობილ არც ერთ ჯიშს არ ჩამოუვარდება. გერმანელი კინოლოგის — მიულერის აზრით, რომელსაც 1890-იან წლებში საქართველოში კავკასიური ნაგაზების შესასწავლად უმოგზაურია და გამოკვლევები ადგილზევე ჩაუტარებია, ეს ძაღლი ერთ-ერთი საუკეთესოა.

აი როგორ აღწერა მან მამალი კავკასიური ნაგაზი: სიმაღლე (თხემამდის) 80 სანტიმეტრი, გამოირჩევა ძლიერი აღნაგობით, ადვილად უმკლავდება მგელსა და სხვა მტაცებლებს, არ არის ზედმეტად ნერვიული და მოძრავი, რაც ამცირებს საკვებზე მის მოთხოვნილებას, სქელი, გრძელი (10-15 სმ სიგრძის) და ლამაზი ბეწვი უადვილებს სიცხე-სიცივის ატანას. მიულერი აღნიშნავს, რომ კავკასიური ნაგაზის საუკეთესო ნაირსახეობა გავრცელებულია საქართველოში და მის მრავალ კარგ თვისებათაგან გამოარჩევს პატრონისადმი არაჩვეულებრივ ერთგულებასა და მომხდურთა წინაშე შეუზოგრობას. სხვა უცხოელი კინოლოგებიც აღნიშნავენ, რომ იგი ბერძნული მოლოსების ერთ-ერთი პროტოტიპია და განსაკუთრებით შეუცვლელია მეცხვარეობაში. მას განვითარებული აქვს ცხვრის პატრონობის ინსტიქტი. მიულერი აღწერს შემთხვევას, როცა უმწყემსოდ დარჩენილი ფარა ცხვრის ძაღლებს უდანაკარგოდ გამოუზამთრებიათ. ცნობილია, რომ ცხვრის ძაღლი ცხვარს, როცა მოშივდება, მაშინაც არ ერჩის. თავს გარეულ ცხოველებზე ნადირობით ირჩენს.

სამამულო ომის პერიოდში სპეციალურად განვრთნილი კავკასიური ნაგაზები საბრძოლო დავალებებსაც ასრულებდნენ, გადაჰქონდათ

საჭურველი, აფეთქებდნენ მტრის ტანკებსა და საომარ ტექნიკას.

ქართველები უხსოვარი დროიდან ანდობდნენ მას ეზო-კარმიდამოს დაცვას. სულხან-საბას განმარტებით, საყარაულო ძაღლს თართი ეწოდება. დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა ჩვენი რესპუბლიკისა და საერთოდ კავკასიის ცხოველთა სამყაროს ამ შესანიშნავი წარმომადგენლის სასარგებლო თვისებები.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ საქართველოში ცხვრის ძაღლის მოშენება თვითდინებით წარიშვია. ამან გამოიწვია ძაღლების საერთო პოპულაციაში კავკასიური ნაგაზის წილის შემცირება. უჯიშო ძაღლებთან შერევა-შეჯვარებამ ლამის მისი მთლიანად გადაშენება გამოიწვია. მოგვიანებით კი კავკასიური ნაგაზის მოშენება გერმანელებმაც დაიწყეს და ლაიპციგის გამოფენაზეც წარმოადგინეს.

ლეკვის სახლში მოყვანის პირველივე წუთებიდან უნდა დაამყაროთ სწორი ურთიერთობა მასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ უნდა დაიქვემდებაროთ ძაღლი და იყოთ მისი ლიდერი, მოსიყვარულე და თბილი, მაგრამ ძლიერი და შეუბრალებელი, როცა საქმე მის მიერ ჩადენილ არასწორ მოქმედებას ეხება. კონფლიქტურ სიტუაციებში აუცილებლად უნდა დასაჯოთ, მაგრამ არა ძლიერად. დასჯის პროცესი უნდა გაგრძელდეს რამდენიმე წამი. არ დაგავინყდეთ, რომ კავკასიურს, ერთი მხრივ, ძალიან დაბალი ტკივილის ბარიერი აქვს, ხოლო მეორე მხრივ, თანდაყოლილი თვისება, რომ მკაფიოდ გამოხატოს მისი პატრონისადმი პატივისცემა და მორჩილება.

მაგალითად, თუ ლეკვი ჩაგებლა-



უჭათ ხელზე, თქვენ კი მის მოსაგერიებლად არცთუ ძლიერად მოარტყით ხელი და მან „კივილი“ დაიწყოს, არ დაიჯეროთ, რომ თქვენ მას რამე დაუზიანეთ ან ისე ატკინეთ, რომ მართლაც „საკივლელი“ იყო. ეს მხოლოდ უბრალო თავის მოჩვენებაა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა სცადოთ ჩადენილის გამოსწორება, ვინაიდან გამოსასწორებელი არაფერი გაქვთ. შემდგომში მასთან ურთიერთობა უფრო გაგიადვილდებათ, თქვენს ბრძანებებს პირველივე ჯერზე შეასრულებს და არა მარტო გაიგებს, არამედ ემახსოვრება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

თუ თქვენი და თქვენი ძაღლის ურთიერთობა სწორად ყალიბდება, რამდენიმე ხნის შემდეგ, პრაქტიკულად, ყველა ბრძანებას უპრობლემოდ, პირველივე ჯერზე შეასრულებს. მაგრამ თუ მასთან მყარი კავშირი არ გაქვთ, თქვენს ბრძანებებს ლეკვი ყურადღებასაც არ მიაქცევს. ხოლო თუ მოზრდილ ძაღლთან გვაქვს საქმე, პირველი ბრძანებისას ისიც არ მოგაქცევთ ყურადღებას, მეორე ბრძანებისას კი მტრულად განწყობა თქვენდამი, ხოლო ეს როგორ დამთავრდება, ღმერთმა იცის. ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ კავკასიური ნაგაზი დაუფიქრებლად ასრულებს ბრძანებებს, რომელიც ეხება მის სამუშაოს. მისი სამუშაო კი ერთია — დაცვა.

ფიროსჰანის დახატული თბილისი

მხატვარი მიხეილ ლე-დანტიუ, ლადო გუდიაშვილი, ილია ზდანევიჩი და რამდენიმე ქართველი სტუდენტი ზაფხულობით პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდიოდნენ, გატაცებულნი იყვნენ ეროვნული ხალხური ხელოვნებით და ყოველგვარ მის გამოვლინებას ეძებდნენ საქართველოში. იმ დროს, XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ოსტატები სახლებს, ავეჯს, ჭურჭელს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს ამშვენებდნენ ორნამენტებით, რომლებიც შესრულებული იყო მცენარეების, გეომეტრიული ფიგურების, ვარსკვლავებისა და ჯვრების სხვადასხვა კომბინაციით. „მაგრამ ჩვენ უფრო მეტის მოლოდინში ვიყავით და მალე აღმოვაჩინეთ მხატვარ ნიკო ფიროსმანიშვილის არაჩვეულებრივი და ორიგინალური ხელოვნება“, — იგონებს კირილე ზდანევიჩი. აი როგორ მოხდა ეს.

„სალამოთი, როცა მზე მთებს იქით ჩაესვენება, თბილისში ფარნები ინთება. სტუმართმოყვრულად გაღებულია სამიკიტნოს კარები... ისმის ზურნის და ხრინჩიანი არღნის ხმა, ქართული სამზარეულოს ცხარე სურნელი დგას ჰაერში... ჩვენ სამივენი ვდგავართ სადგურის ახლოს და ვათვალიერებთ სამიკიტნო „ვარიანის“ აბრას, სადაც გამოსახულია კრეისერი, რომლის სახელსაც ატარებს ეს სამიკიტნო. კრეისერი ებრძვის მტერს. გადავწყვიტეთ შესვლა, ქუჩიდან ჩანს რაღაც სურათები... დახლთან დგას მიკიტანი. ერთბაშად დავინახეთ კედლებზე არეულ-დარეულად ჩამოკიდებული სურათები. პირველად სამიკიტნოს სიბნელეში კარგად ვერ ვარჩევდით, მაგრამ, როდესაც თვალი მიეჩვია, დავინახეთ ახოვანი, უღვაშებგადაგრეხილი ყარაჩოლელი, რომელსაც ხელში ღვინით სავსე ყანწი უკავია. დიდრონი შავი თვალები, ხშირი შავი წარბები. მისი თეთრი სახე ანათებს ლურჯ ცაზე. ჩვენ დავინახეთ ისეთი ფერწერა, რომელიც სრულიად არა ჰგავს ასეთ სამიკიტნოებში ჩამოკიდებულ ჩვეულებრივ ოლეოგრაფიებს. უბადრუკ სამიკიტნოში ასეთი შესანიშნავი და ლამაზი სურათები! ხარბი ცნობისმოყვარეობითა და გატაცებით ვათვალიერებთ სხვა სურათებს და ჩვენ წინაა შავ ნა-

ბადში გამოხვეული, ფაფახიანი „მწყემსი“. წითელ ფონზე კონტრასტულად გამოიყურება შავი ფიგურა. მეცხვარეს ერთ ხელში უკავია კომბალი, მეორეში — გრძელი მბოლავი ჩიბუხი... როცა კარგად დავაკვირდით სურათს, შევამჩნიეთ, რომ შავი ფერი მუშამბაა, რომელიც საღებავით არაა დაფარული. რა დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ ასე მუშაობდეს მხატვარი! როგორი ძლიერი და გამომსახველი ნახატია! ამ სურათს იქით, სამიკიტნოს სიღრმეში მოჩანს კიდევ სხვა სურათები...

...ვიდექით ფენომენალური მოვლენის წინ. ჩვენ ვნახეთ ის, რაზედაც ოცნებაც კი არ შეგვეძლო. სამიკიტნოს პატრონმა, შეამჩნია თუ არა ჩვენი გაკვირვება და აღელვება, დაგვინყო ახსნა-განმარტების მოცემა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ახსნა ორიგინალური ყოფილიყო, მასში გამოიხატებოდა ფერწერის იმდროინდელი გაგება. მაგრამ ჩვენ სულ სხვა რამ გვაინტერესებდა, სახელდობრ, ვინ არის ამ სურათების ავტორი, საიდან არის იგი? ახლა მთელმა სამიკიტნომ გაკვირვებით შემოგვხედა: „ვა! მაშ თქვენ არ იცნობთ ჩვენს მღებავ ნიკალას! ეს მაგის დახატულია. ქალაქის გარეუბნების დუქნები და სამიკიტნოები სულ მაგის დახატულია!“

— სად ცხოვრობს?

— მართალი გითხრათ, არავინ



ავტოპორტრეტი

იცის. ისეთი ღარიბია, რომ საცხოვრებელი ოთახიც კი არ აქვს. მოხეტიალე კაცია, აიღებს თავის ყუთს საღებავებით და დადის! რას დადის, სად დადის, ვერავინ გეტყვით.

უფრო დიდი ყურადღებით ვაკვირდებით ამ კონკრეტულ ფერწერას, მკვირვ, ბრწყინვალე ფერებს, რომლებიც ასე ძუნწად და ლამაზადაა განლაგებული, სიბნელეში განათებულ სახეებს, ცოცხალ შავ თვალებს და ისეთ ტანსაცმელში გამონყობილ ადამიანებს, რომელსაც ახლა აღარ ატარებენ...

დადგა ნასვლის დრო, მიკიტანი თავის სამიკიტნოს კეტავდა და გამოთხოვებისას ასეთი სიტყვებით მოგვმართა: „ეძებთ ნიკალა, ძალიან უბედურია, მარტოხელა და ღარიბი. თუ იმას ეტყვით, რაც აქა თქვით, ძალიან გაეხარდება. ეძებთ ნიკალა!“

უკანასკნელად შევცქერით ნიკოს მიერ დახატულ სურათებს და პორტრეტებს, გულითადად ვემშვიდობებით ჩვენს ახალ ნაცნობებს და ქუჩაში გახარებულები და აღელვებულები გამოვდივართ — ჩვენ ხომ საოცარი რამ აღმოვაჩინეთ!

ილია ზდანევიჩის სპეციალურ რეველში შეჰქონდა ყველა ცნობები ნიკო ფიროსმანიშვილის და მისი სურათების შესახებ. ჩვენ დავინყეთ მხატვრის ძებნა და ილიამ რეველში ჩაწერა: „მოვძებნეთ მხატვარი. მივედი მაღაკნების ქუჩაზე ერთ სახლთან, აქ გვიჩვენეს, — აგერ, ნიკალა ქვაფენილზე დგასო. მას ფუნჯით გამოყავდა წარწერა: „სარძეო“, ჩვენსკენ მობრუნდა, ღირსეულად თავი დაგვიკრა და განაგრძო მუშაობა. ეს შეხვედრა დამამახსოვრდა: თეთრ კედელთან დგას მხატვარი დახეულ შავ პიჯაკში, თავზე ახურავს რბილი ფეტრის ქუდი. მაღალი, მშვიდი, ამაყი, მაგრამ გულში ჩამარხული რაღაც მწუხარებით. ჩვენ ვიდექით ფიროსმანიშვილთან და გაფაციცებით ვუყურებდით ამ არაჩვეულებრივ მხატვარს, რომელიც კედელზე ასოებს ხატავდა. კონტრასტი იყო საოცარი — მისი სურათები და ასოები.

ფიროსმანიშვილის სახეზე ალბექდილი იყო სიმშვიდე, გულკეთილობა, ეს იყო მისი ბუნებრივი მდგომარეობა. გაცნობისას, ჯერ სრულიად მშვიდად, გულგრილად ცი შეგხვდა. მივიპატიჟეთ უახლოეს სამიკიტნოში სასაუზმოდ და სალაპარაკოდ. დაგვეთანხმდა და ლე-დანტიუ ეუბნება ნიკოს:

— იცით, რომ თქვენ დიდი ოსტატი ხართ და თქვენი სურათები ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშებია?

ნიკო თავშეკავებით და მშვიდად პასუხობდა. იგი აშკარად ჩვენზე უფროსი იყო, უსიხარულო ცხოვრების გამოცდილებით დამძიმებული. ნიკო დაინტერესდა, ვინა ვართ და რას ვაკეთებთ?.. პასუხით დაკმაყოფილდა. ილია ალევებით ეუბნებოდა:

— ნიკო, თქვენს სურათებშია ქართული ხელოვნების ძვირფასი შეგრძნება, თქვენ აღმოაჩინეთ და გზა უჩვენეთ ქართველ მხატვრებს. თქვენი სურათებით ქართული ფერწერა ისევ ჩადგება ქართული ხელოვნების ისტორიაში.



„ფუნჯიკულიორი“

რიულ კალაპოტში, გარდა ამისა, თქვენ აგვიხილეთ თვალები მშვენიერ საქართველოზე, რომელიც ასე ძლიერად და სიყვარულით აგისახავთ. სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარული ემჩნევა თქვენს ყველა სურათს და ამისათვის დიდება და პატივი თქვენ!

საუბარი გრძელდებოდა და თანდათან ნიკოს თვალებში სითბო ჩადგა. იგი მიხვდა, რომ მასთან ისხდნენ მისი ნამდვილი მეგობრები. გავაცანით ჩვენი გეგმები, რაც მას შეეხებოდა, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვეგროვებინა მისი სურათები, შეგვედგინა ყველა მისი ნაწარმოების კატალოგი, მოგვეწყო თბილისში და მოსკოვში გამოფენები, დაგვებეჭდა მის შესახებ წერილები. შემდეგ ვთხოვეთ, ეამბნა თავის თავზე.

ფიროსმანიშვილმა ჩუმი ხმით გვიამბო კახეთში გატარებულ ბავშვობაზე, თბილისში ცხოვრების შესახებ, თავის სურათებზე, თუ როგორ ესმის მას ფერწერა და სხვა. „მე უბრალო ადამიანების

ხატვა მიყვარს: გლეხები, ყარა-ჩოხელები, მუშები, მეეზოვეები, ქალები, ბავშვები, ვხატავ ცხოველებსაც. მდიდრებს არ უყვართ ჩემი სურათები, მათ თავიანთი მხატვრები ჰყავთ!“ ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: „თქვენ დიდი საქმე წამოიწყეთ, იგი დიდ გარჯას მოითხოვს. მე გეტყვით, სადაა ჩემი საუკეთესო სურათები“.

ნიკომ კარგად იცოდა ქართული წერა-კითხვა, იგი ჩიოდა საშინელ სიღარიბეზე, ცუდ ტანსაცმელზე, შემკვეთების უვიცობაზე.

„შაში პანოს“ სამიკიტნოში


1912 წლის აგვისტო თბილისში მეტად ცხელი იყო, მაგრამ ფიროსმანის „აღმოჩენით“ გატაცებული, ჩვენ ვერ ვამჩნევდით სიცხე-პაპანაქებას და ფიროსმანიშვილის ახალი სურათების ძებნას განვაგრძობდით. ჩვენ მარტონი აღარა ვართ, შემოგვიერთდა პოეტი კოლაუ ჩერნიავესკი და მხატ-

ვარი ზიგა ვალიშევსკი, რომლებიც ბლოკნოტებით ხელში ქუჩა-ქუჩა დაიარებიან, ათვალიერებენ დუქნებს, სამიკიტნოებს, ბაზრებს.

ნიკო ფიროსმანაშვილი ლე-დანტიუს საყვარელი მხატვარი გახდა. მთელ თავისუფალ დროს თბილისში იგი იყენებდა „არაჩვეულებრივი თვითნასწავლი მხატვრის, გენიალური ქართველი ჯოტოს“ სურათების ძეგლისთვის. ერთხელ გადაწყვიტა საბურთალოს რაიონის დათვალიერება. ხმები დადიოდა, რომ იქ, ქალაქის განაპირას, სადაც სამხედრო გზა იწყებოდა, ნიკოს სურათები უნახავთ. ლე-დანტიუ გავიდა მტკვრის ნაპირას, ბორანთან. აქვე ახლოს, ჩამომხმარ ხევში ორსართულიანი სახლი იდგა — „შავი ვანოს“ სახელგანთქმული სამიკიტნო. „შავი ვანო“ შფოთიანი ხასიათისა იყო, ჩხუბისთავი.

მდინარის მეორე ნაპირზე მოჩანდა მალაკნების სახლები. ესენი, უკვე ასწელზე მეტია, რაც რუსეთიდან გადმოსახლებულან და ახლა, თითქმის უმეტესობა, მეეტლეები არიან... ცისფერი და ვარდისფერი ხალათები, ოქროსლილეებიანი შავი ჟილეტები, კუპრით გაპოხილ ჩაქმებში ჩატანებული შარვლები — აი, მათი გარეგნობა. ასე დაჰყავდათ მათ ეტლები ქალაქში.

„შავი ვანოს“ მოსწონდა შრომისმოყვარე მალაკნები, ამიტომ რამდენიმე სურათი შეუკვეთა ფიროსმანაშვილს, რომლის გმირები ეს სექტანტები უნდა ყოფილიყვნენ. სწორედ ეს სურათები ნახა ლე-დანტიუმ „შავი ვანოს“ სამიკიტნოში. ლე-დანტიუ მიუჯდა მაგიდას და დაიწყო სურათების ჩანერა რვეულში. „შავ ვანოს“ რატომღაც არ მოეწონა მიხეილი, ეჭვის თვალით უყურებდა მას და მალე სამიკიტნოს დატოვებაც მოსთხოვა. ძმაბიჭების მხარდაჭერით გათამამებული მიკიტანი თავს დაესხა ლე-დანტიუს, არ იცოდა, რომ იგი კარგი სპორტსმენი იყო. როცა მეორე დღეს მე და ჩემი ძმა ილია ვანოსთან მივედით, იგი დაბნეული გვიხსნიდა, რომ მას რაღაც ეჭვი



ილია ზდანევიჩის პორტრეტი

დაებადა ჩვენი მეგობრისადმი. ვანოს თვალი შეხვეული ჰქონდა, რაც მომხდარი შეტაკების მჭევრმეტყველ საბუთად მივიჩნიეთ. ეს იყო ერთადერთი ასეთი შემთხვევა ქალაქში ჩვენი ხეტილის დროს. სხვა ადგილას მეპატრონენი კარგად გვეპყრობოდნენ.

ლე-დანტიუს მიერ აღმოჩენილი „მალაკნების სერია“ მეტად საყურადღებო აღმოჩნდა. საუკეთესოა მათ შორის სურათი „მალაკნების ქეიფი“...

უნდა ითქვას, რომ ნიკოს სურათების მფლობელნი, ზოგიერთი გამოწკლისის გარდა, სიამოვნებით გვითმობდნენ თავის „საკუთრებას“; ამბობდნენ: „ნიკალა კიდევ დაგვიხატავს ამაზე უკეთესს“ და, მართლაც, ასეც ხდებოდა...

გადავწყვიტეთ, რომ ილია ზდანევიჩი ზამთრის არდადეგებზე ჩამოვა თბილისში, რადგან ნიკო

დაჰპირდა, რომ მის პორტრეტს დახატავს. ფიროსმანაშვილს უნდოდა დაეხატა ილია მთელი ტანით, სტუდენტურ ქურთუკში გამოწყობილი, მის გვერდით იქნება გადაშლილი წიგნი. ასეც განხორციელდა ამ პორტრეტის დახატვა. მივემგზავრებით პეტერბურგს. გზაში რამდენიმე ხნით გავჩერდით მოსკოვში მხატვრებთან: მიხეილ ლარიონოვთან და ნატალია გონჩაროვასთან. ჩვენმა მოხსენებამ ფიროსმანაშვილზე და მისი ორი სურათის დემონსტრაციამ მოსკოვში დიდი სენსაცია გამოიწვია. **გადაწყდა მოსკოვში ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენის მოწყობა...**

1916 წელს ლადო გუდიაშვილი და მიხეილ ჭიაურელი შეხვდნენ ნიკო ფიროსმანაშვილს. აი, რას გვიაზივს ამის შესახებ მიხეილ

ჭიაურელი: „დიდი ძეხვის შემდეგ ნიკო ფიროსმანაშვილი ვიპოვეთ დიდუბეში ნახევრად სარდაფში. ოთახში რომ შევედით, გოცებულნი გავუშეშდით. ნახევრად სიბნელეში პატარა სარკმელთან ნავთქურა ბუბუკავდა, მასზე მინები ელაგა — მხატვარი მჭვარტლს აგროვებდა შავი საღებავისთვის. ჭვარტლით იყო მოფენილი მთელი ოთახი, ჭვარტლი დაფრინავდა ჰაერში, ჭვარტლში იყო გახვეული ნიკოც. ის დუმდა და დიდი ანთებული თვალებით გვიყურებდა. ბოლოს, გონს რომ მოვედით, გავუმხილეთ მოსვლის მიზანი, მხატვართა კავშირის სხდომაზე გინვეთ-თქო, ვუთხარით. გაუკვირდა: „მე კი მეგონა, ყველას დავავინწყდი“. შემდეგ დასძინა: „კარტონს ვფერავ ჭვარტლით, შავ გრუნტზე მივეჩვიე ხატვას...“ მერე ტანსაცმელზე დაიხედა და გვითხრა, რომ ახლა ჩემთვის ძნელია კავშირში წამოსვლაო. „ასეთი სახით ჩემი თავი უკანასკნელ კაცად მიმაჩნიაო!“...

...1913 წლის იანვარში საზამთრო არდადეგებზე თბილისში ჩამოვიდა ილია ზდანევიჩი. მან მოძებნა ნიკო ფიროსმანაშვილი და თავისი პორტრეტი შეუკვეთა. ილია ზდანევიჩი ხშირად ხვდებოდა მხატვარს და დაწვრილებით ინერდა ყველაფერს. მის შავ მუშამბისყდიან რვეულს რომ გადაფურცლავთ, შემდეგს ამოიკითხავთ:

„1913 წლის 27 იანვარი. კვირა. დილით ჯერ მესხივთან (ჩერქეზიშვილი, 70) ვიყავი, რომლისგანაც ვიყიდე ბიჭის პორტრეტი — „მდიდარი კინტოს ვაჟიშვილი“. იქიდან ნიკოსთან წავედი, ის იჯდა და ჩემს პორტრეტს ხატავდა. გამომკითხა ნაყიდი სურათის შესახებ. ჩემს სურათზე ჯერ მხოლოდ კონტურები იყო გავლებული, სხვა სურათზე, რომელსაც, აგრეთვე, ჩემთვის ხატავდა, ირემი უკვე დაეხატა, ფონი ჯერ არ დაემთავრებინა. ირემი შესანიშნავად იყო შესრულებული. ნიკომ ჯერ განზე გამიყვანა და მკითხა: „როდისაა გამოფენა? ოთახს რომ მომცემდ-



„მდიდარი კინტოს ვაჟიშვილი“

ნენ, სადაც შემეძლებოდა მუშაობა, ტილოც რომ მქონდეს, ერთ თვეში ათ-თხუთმეტ სურათს დაგიხატავდით, იმაზე უკეთესებს, რომ მაქვს, „შერეშეტივის ბაღზე“ (ორთაჭალა) უკეთესს. შემდეგ დაუმატა: „აი, ესენი კი ჩემს სურათებს აფუჭებენ, მაგალითად, ამ სურათზე კურდღელია დახატული, რა საჭიროა კურდღელი, ვის რაში სჭირდება?! მაგრამ ვინც შემიკვეთა, მითხრა: „ჩემი ხატორით დახატე კურდღელიო“. მეც ვხატავ — ჩხუბი არ მინდა. აი, ასე მიფუჭებენ ყველა სურათს“.

ჩემს კითხვაზე, დაუხატავს თუ არა ხატი, მან მიპასუხა: „ხატისმწერელი, ფერმწერი, მღებავი, მხატვარი სულ სხვადასხვაა. ხატისმწერელი მე არა ვყოფილვარ. მხოლოდ ერთხელ დავხატე წმინდა გიორგი. ფერმწერლებმა, მართალი გითხრა, ხატვა სულ არ იციან“. მერე შემომჩივლა, ძალზე ღარიბად ვცხოვრობო. საძაგელი ტანისამოსი მაქვს, სურათების შემკვეთები ძალზე უმეცრები არიან და მთხოვა, დავხმარებოდი. იმას, რომ ოთახი მჭირდება, ნურც ერთ მედუქნეს ნუ ეტყვიო. „ოთახი სინათლიანი უნდა იყოს, აქ კი სიბნე-

ლეო“ (ნიკო მაშინ მუშაობდა და ცხოვრობდა დროებით ღვინის საწყობის ნახევრად სარდაფში, მაღაკნის ქუჩაზე). როცა ხატავდა, მარცხენა ხელს მარჯვენის ქვეშ ამოიდებდა ხოლმე, რომ ძალიან არ აკანკალებოდა. რუსულს თვითონ სწავლობდა — „რუსულად თარგმნილი ქართული წიგნი ვიყიდე“. „აქ არ შეიძლება კარგად მუშაობა, ღვინოს მაძალებენ“.

ნიკოს ჰქონდა ავტოპორტრეტი. „მაშინ კარგი ტანსაცმელი მეცვა, ასეთი ცუდი კი არა“, მაგრამ ვილაცას მიჰყიდა. გუშინ მითხრა: „ბევრნაირი სურათი არსებობს: კაცმა შეიძლება ხატოს მთელ თვეს, მთელ წელიწადსაც, ისე რომ დასახატი არ გამოეღიოს“. შემდეგ დაუმატა: „ბერადეს რომ აქვს, ის სურათები, გამოგიტყდები, არ მომწონს, მე შემიძლია უკეთესი დაგიხატოთ“.

28 იანვარი. დილით ვიყავი ნიკოსთან. ნასვამი იყო. ჩემი პორტრეტისათვის მიუხატავს ხე, ირმისთვის — ბალახი. ნიკომ მითხრა, შენზე გაბრაზებული ვარ, იმიტომ, რომ დაიგვიანეო. ახლა მას მიუღია შეკვეთა, რომელზედაც უნდა იმუშაოს და მიიღებს 60 კაპიკს. ვეკითხები, რა უნდა დახატო-მეთქი. ის კი სახლის ფარანს მიჩვენებს, რომელზედაც უნდა დაწეროს — მაღაკნის 1. და სხვა; რას იზამ, შეკვეთაა. თუ უბრალო სამუშაოს არ გავაკეთებ, აბა, როგორ შევძლებ დიდის შესრულებას! იძულებული გავხდი, დავთანხმებულიყავ. შემდეგ ნიკომ მითხრა, რომ რკინიგზის სამმართველოში ვმუშაობდი დამტარებლად და სამხედრო სამსახური არ გამივლიაო. სადილობის წინ მეორედ შევედი სარდაფში, მაგრამ ნიკო ვერ ვნახე. მას ეძინა. წავედი იაქივთან — რიყის ქ. 40 — მანეთნახევრად ვიყიდე ნატურმორტი. იქიდან ისევ ნიკოსთან წავედი, სახლის პატრონმა მითხრა, რომ ასეთ რამეში ერთ შაურსაც არ მივცემდიო. სხვათაშორის სანდრომ მითხრა: „მას სურს ხის დახატვა, ხეზე კი — თქვენი ხელისა და წიგნების. მე მივუგე, მაგიდა-

ზე დაადებინე-მეთქი ხელი. ირემ-ზე კი მითხრა: საჭიროა ხის და-ხატვა, რომ ირემი ეყრდნობოდეს მას. მე ვუთხარი, რომ ნიკოს შე-უძლია ხატოს ისე, როგორც სურს, ბრძანება არ შემოიძლია“. შემდეგ იმ სურათზე დაიწყო ლა-პარაკი, რომელიც უნდა ეჩუქნათ ჩემთვის. ის სარდაფი, სადაც მე ვიყავი, სანდროს ეკუთვნოდა, იგი სულ აქებდა იმ სურათს და მითხ-რა: „ყველაზე უკეთესი იქნება თქვენს გამოფენაზეო. მასზე გა-მოსახულია ერთი თავადი, რო-მელსაც შეუძლია სადილზე სამი ვედრო ღვინის დაღევაო“.

ნიკო გავაღვიძე. ნამოდგა და მითხრა: „არაქათი გამომელია თქვენი ლოდინით, მე დილით გე-ლოდით, თქვენ კი დაიგვიანეთ“. ორი მანეთი მთხოვა. ნატურმო-ტი გასინჯა: „რა თქმა უნდა, ეს ჩე-მი ერთი საუკეთესოთაგანია. ჩემ-თვის დავხატე. რა უჭირს, რომ პა-ტარაა — ასი მანეთი ღირს თამა-მად“.

29 იანვარი. დილით ვიყავი მას-თან და მხატვად. ირემი მზად არის. ნიკო ბეგო იაქიევთან მუშა-ობდა უფასოდ, საჭმლისათვის მხოლოდ (15 სურათი). მისი ნახა-ტები „თეთრ დუქანშია“ მანგლი-სის შარაზე და ქალაქის გარეუბ-ნებში. სანდრო კოჭლაშვილი ერე-ოდა ლაპარაკში და ხან ხეს მო-ითხოვდა, ხან ფოთლებს და სხვ. დიდი გაჭირვებით დავიყოლიებ-დი ხოლმე. საერთოდ კი, ეტყობა, ნიკო ვერც ერთ ნახატს ვერ ხა-ტავს დამოუკიდებლად, გარეშე პირის ჩარევის გარეშე: „მე რომ ასი მანეთი მაინც მქონოდა, კარგ ტანსაცმელში გამოვეწყობოდი, ოთახს დავიქირავებდი, მაშინ კი ვხატავდი და ვხატავდი!“ მე ვუთხარი, რომ მის შესახებ გა-ზეთში წერილს დავბეჭდავ. გა-მომშვიდობებისას მან მითხრა: „მერე შემოიარეთ, ყვავილები უნ-და დაეხატო“. შემდეგ დასძინა: **„ყველაზე უკეთესი შეკვეთა იყო ბაქოს რკინიგზის უფროსის ყი-ფიანისა. 30 მანეთი მომცა. ხან-დახან მემანქანეები და მეწვრილ-მანე მედუქნეებიც კარგად იძლე-**



„სამი თავადი მოლზე“

ვიან ფულს, საერთოდ კი, პურის ფულად ვმუშაობ“.

30 იანვარი. დღეს დილით ვიყა-ვი მასთან, თან წავიყვანე ახალ-გაზრდა მხატვარი ზიგა (ვალიშე-სკი). ვნახეთ „**სამი თავადი მოლ-ზე**“. ამ სურათის გამო ჩხუბი ატყ-და. სანდროს ნაცნობებს არ უნდო-დათ მისი მოცემა. ჩარჩოს შესახებ ნიკომ თქვა: „თუ კედელი თეთრია, შავი ჩარჩოა საჭირო, თუ მუქია — ღია ფერის — თორემ ცუდადა ჩანს“. „სამ თავადს“ ცხრა დღე ვხატავდიო. ეს თავადი გულბაა-თია და მისი ბიძაშვილები — ჭავ-ჭავაძეები. ჩემზე ბრაზობდა, რა-ტომ გაპარსული არა ხარ, ამის გა-მო კი შეიძლება სურათში შენს თავს არ დაემგვანოო. შემდეგ ვი-დაც მოგვიახლოვდა და ჰკითხა მას, პორტრეტის დახატვაში რამ-დენს გამომართმევო, ნიკომ უთხ-რა: „სამ თუმანს“. პოზაში დამაყე-ნა — სახით ძალიან ვგავდი ნა-ხატს. ხვალ ამთავრებს ხატვას. მან დასძინა, მოსკოვში ყველა მეზუ-ფეტე იყიდისო ამას, მხოლოდ ძა-ლიან ცოტას ნუ დააფასებთო. თუ

კიდევ რაიმე დაგჭირდეთ, წერილი მოიწერეთ“. „შემდეგ მე და ზიგამ დუქნებს ჩამოვუარეთ, სურათებს ვათვალიერებდით. „ვარიაგში“ შემოგვთავაზეს „**თამარ მეფის**“ პორტრეტი სამ მანეთად. სალა-მოს მეორედ მივედით მე და ჩემი ძმა. ნიკო დუქნის სიღრმეში, სკამ-ზე იჯდა და მბჟუტავ ნალვერ-დალზე ითბობდა ხელს. ლაპარაკ-ში სანდრო ჩაერია. მან სახისა და ირმის გამო დავა ატეხა; დაგვინყო დარწმუნება, რომ მთვარეაო საჭი-რო. ნიკომ განაცხადა, მთვარე არ შეიძლებაო და გაბრაზდა. მთხოვს — ფუნჯები მომიტანე და შენი ძმის ნამუშევრები მაჩვენეო. დამ-პატიჟა.

31 იანვარი. დილით ვიყავი ნი-კოსთან და პოზაში ვიდექი. პორ-ტრეტი თითქმის მზად იყო. „ირ-ემს“ უკვე ცა ჰქონდა მოხაზული, მალე მე „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციაში წავედი, რომ გამეგო, მოიწონეს თუ არა წერილი ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ, მით-ხრეს, ხვალინდელ გაზეთში იქნე-ბაო. იქიდან ისევ ნიკოსთან მივე-

დი. მხატვარი მელაპარაკებოდა თავის ცხოვრებაზე, სამსახურზე, ვაჭრობაზე, გაკოტრებაზე. 1904 წელს ოთახი დაუქირავებია „კალიუჩაია ბალკაზე“, ახლა არც იმის თავი აქვს, აგერ უკვე ცხრა წელიწადია და მხატვრობით ცხოვრობს. „აი, წინათ მდიდარი ვიყავი, ახლა კი ტანისამოსიც არა მაქვს“. კახეთში მამა-პაპეული მამული აქვს, მაგრამ იქ ვერა ცხოვრობს, რადგან „მინათმოქმედი“ არ არის. წამოსვლას რომ ვაპირებდი, ვილაცხევი მოვიდნენ და დაიწყეს ჩემი პორტრეტის კრიტიკა. ნიკომ მითხრა: „ამათ ნუ უგდებთ ყურს, ესენი სულელები არიან და არაფერი გაეგებათ“.

1 თებერვალი. დილით ნიკოსთან ვიყავი. პორტრეტი დაუმთავრებია. გულბათის პორტრეტში სანდროს უნდა მივცე ორი მანეთი, რომელიც თითქოს მეგობრების დასამშვიდებლად მივართვა. ნიკომ შემახსენა თავისი თხოვნა (მოსკოვის შეკვეთაზე). საღამოს მხატვარ გ. და ჟურნალისტ ა. სთან ერთად ვიყავი, ვნახეთ ნიკოს სურათები, მხატვარმა თქვა: „სპარსელ მხატვრებს მაგონებს, მაგრამ უფრო ტლანქია, არავითარი ფერები არა აქვს, საერთოდ კი არაფერია აქ შესანიშნავი“. საზოგადოდ გაურკვეველი და გულგრილი აზრებია. ამას ისიც უნდა



„თამარ დედოფალი“

დავუმატოთ, რომ ეს ერთი იშვიათი გამონაკლისია.

2 თებერვალი. გამოვართვი პორტრეტი და ირემი. ნიკომ პროტესტი გამოთქვა: „ირემში ნურაფერს მომცემთ, საკმარისია. თუ მოსკოვში შეგიკვეთათ ვინმემ, მომწერეთ“. როცა ვუთხარი, თქვენს სურათებს მოსკოვში გამოფენაზე მოვათავსებთ-მეთქი, გაიხარა, დაიმედიანდა. ყველას გულითადად ვემშვიდობები და ვაგზალზე მივდივარ. მატარებელი დაიძრა, იქ კი, დიდი ქალაქის სიღრმეში

გაღვივებულ ნაკვერცხლებთან იჯდა და სევდაჩადგმული თვალებით იყურებოდა მარტოხელა, მოხეტიალე დიდი მხატვარი, რომელმაც ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ახლა, ფიროსმანაშვილის გაცნობის შემდეგ, უკვე ვიცი, რა არის ცხოვრება“.

ამით მთავრდება 1913 წლის ჩანაწერები.

„ილია ზდანევიჩის პორტრეტი“, „ირემი“ და სხვა სურათები 1913 წელს მოსკოვში იყო გამოფენაზე. ილია ზდანევიჩი პეტერბურგში სწავლობდა, მე (კირილე ზდანევიჩი — რედ.) პარიზში გავემგზავრე, სურათები კი გაქრა. რამდენიმე წლის შემდეგ ამ სურათების კვალს ვილაპყველეც „კოლექციონერთან“ მიაგნეს.

გაზეთმა „სახალხო ფურცელმა“ 1913 წელს ქართულ პერიოდულ პრესაში პირველად გამოაქვეყნა სტატია ქართველ სახალხო მხატვარ ფიროსმანაშვილზე. მასში ლაპარაკი იყო მხატვრის ცხოვრებასა და მძიმე ხვედრზე, აქვე ნახსენები იყო ზოგიერთი სურათი და გაისმა მოწოდება იმის შესახებ, რომ ყურადღება მიექციათ ასეთი „არაჩვეულებრივი“ ოსტატისათვის.

კირილე ზდანევიჩი,

ნაწყვეტი წიგნიდან

„ნიკო ფიროსმანაშვილი“, თბ., 1963 წ.



„ქეიფი მხარლან დათიკო ზამელთან“, 1906 წ.

თამარ დედოფალი

სიკეთე

ნიკო ფიროსმანი —
„თამარ დედოფალი“





ISSN 1987-5908



9 771987 590006